ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 18 დეკემბერი 1999 №243 (1016) | ფასი 50 თეთრი


## 2 ჯერ გასინჯეთ, მერე განსაჯეთ

რევაზ ძოძუაშვილი „ლოკომოტივსა“ და საქართველოს ნაკრებზე



## 5 ლიბიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს არგენტინის პრეზიდენტობა სურს

რა აქვთ საერთო კარლოს ბილარდოს, მუამარ კადაფის, დიეგო მარადონას, ბენ ჯონსონს, ხუან და ევა პერონებს, მადონას, ენდრიუ ლოიდ ვებერს და ალან პარკერს

## 8 საქართველოს ნაკრების მეტოქე

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

## ძოფიდან ძოფამდე

## 13 იტალია — საქართველო: ახლა რაგბი ვნახოთ!

ჩვენები ფრანგ სორელს ისარდლებენ, იტალიელები ახალზელანდიელ ჯონსტონს

# ვაკეთოთ საქმე, ვიყოთ მართლები!

გუშინ, 17 დეკემბერს, თბილისის ჟურნალისტთა სახლში გაიმართა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია, რომელზეც ქართველ სპორტულ ჟურნალისტთა საკმაოდ მრავალრიცხოვანმა კოჰორტამ მოიყარა თავი.

იხილეთ მეცამეტე გვერდი



საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი კვლავაც ელგუჯა ბერიშვილია



# სამარანჩის თავი მგლის ხახაში

## თუმცა, თავად ასე არ ფიქრობს და კმაყოფილიცაა იქ მოხვედრით



REUTERS ვაშინგტონიდან

ამერიკელთა წინაშე გამოსვლისას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა ფიცით მისცა ჩვენებები და საგანგებოდ დაქირავებული ვექილის სამსახურითაც ისარგებლა

ისე, მართლაც მაგარი ვინმე ყოფილა სამარანჩი. რაც ამ ესპანელ მარკიზს დამსახურებულად თუ დაუმსახურებლად ტალახი ესროლეს და ლაფში ამოსვარეს, საკვირველია, პირში სული როგორღა უდგას. სხვა მის ადგილზე, მით უმეტეს 80 წელს მიკაკუნებულ კაცს, გული გაუსკდებოდა. ის კი ქედმოუხრელად დგას და მედგრად იგერიებს კრიტიკის ქარ-ცეცხლს. ერთი ასეთი ბრძოლა, როგორც ვიუწყებოდით, ახლაც გადაიტანა სოკ-ის 110-ე სესიაზე, სადაც ამ ორგანიზაციაში სოლტ ლეიკ სიტიდან აგორებული, კორუფციის თაობაზე იმსჯელეს და რეფორმისტული გადაწყვეტილებებიც მიიღეს.

მიიღეს ტაშის გრიალში. ამით გულმოცემული ხუან ანტონიო სამარანჩი გავარდა აშშ-ში და იქაურ კონგრესის წინაშეც წარსდგა. იქ დაკითხვებით, როგორც იტყვიან, ნემსის ყუნწში გაატარეს სამარანჩი. ამ დაკითხვების მთავარი თემა იყო ოლიმპიურ მოძრაობაში გავრცელებული მექრთამეობა.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

— ახლა ხუთიოდ დღეს დავისვენებ. მინდა, დავივიწყო არაბული კოშმარი. მერე ვნახოთ. სამუშაოდ რამდენიმე ვარიანტი მაქვს, რომელთაგან ყველაზე რეალური ისევ რიგაში დაბრუნება მგონია. ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გიუნტის ინდრიკსონი ყოველდღე მირეკავს, აუცილებლად ჩამოდიო, მეუბნება. ისე, საქართველოშიც მთავაზობენ რამდენიმე კლუბის გაწვრთნას, არ გამოვრიცხავ, ეროვნულ გუნდსაც დავუბრუნდე — ეს სიტყვები რევაზ ძოძუაშვილმა საუდის არაბეთიდან ჩამოსვლის შემდეგ, საღამოს გვითხრა.

მაშინ ძოძუაშვილმა ზუსტად არ იცოდა, მუშაობას სად გააგრძელებდა. ის საქართველოში 2 დეკემბერს დაბრუნდა. მთლად ხუთი დღე არა, მაგრამ... 10 დეკემბერს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა განაცხადა — საქართველოს ნაკრებს მწვრთნელთა ტანდემი უთავკაცებს — რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანიო.

ოთხი დღეც და რევაზ ძოძუაშვილი თბილისის „ლოკომოტივის" მწვრთნელადაც დანიშნეს.

მისივე სიტყვების არ იყოს — ნაკრებიც ჩააბარეს და ერთ-ერთი ქართული გუნდი „ლოკომოტივიც".

დაბრუნდა და სამუშაოც უმალ გამოუჩნდა. ასეთი მწვრთნელები უმუშევრად არ რჩებიან... თურმე არც საქართველოში.

გუშინდელი ჩვენი საუბარი კი მხოლოდ თბილისის „ლოკომოტივის" გარშემო იყო. ძოძუაშვილი ნაშუადღევს რკინიგზელ ფეხბურთელებს მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ პირველად შეხვდა.

ეროვნული გუნდი კი... ნაკრების მწვრთნელები დღეს პრესკონფერენციას გამართავენ და მათ ნათქვამსაც სამშაბათის „სარბიელში" იხილავთ.

მაშ ასე. მთავარი თემა: რევაზ ძოძუაშვილი და თბილისის „ლოკომოტივი.

# ჯერ გასინჯეთ, მერე განსაჯეთ

**— ახლა მაინც აღარ ღირს დამალვა. საქართველოს ნაკრებისა და „ლოკომოტივის" მწვრთნელად დანიშვნამდე რომელი კლუბები გეპატიჟებოდნენ?**

— უხერხულია და ამას არ გეტყვით საქართველოში რომელი გუნდები მიწვევდნენ. უცხოეთიდან კი... როგორც ადრე გითხარით, ლატვიიდან დღეში რამდენჯერმე მირეკავდნენ, იქ ჩასვლას და ყოფილი „დაუგავას", ამჟამად „რიგის" გაწვრთნას მთხოვდნენ. იყო შანსი, მოსკოვის „დინამოშიც" მემუშავა, საუდეთში ნიკოლაი პისარევიც კი გამომიგზავნა „დინამოს" პრეზიდენტმა ნიკოლაი ტოლსტიხმა და... ვუთხარი, ცოტა ხანი მაცალეთ-მეთქი. გერმანიიდან, ჰოლანდიიდანაც მირეკავდნენ, თუმცა ისეთი გუნდები, სათქმელადაც არ ღირს.

**— „ლოკომოტივი"? ახლა მათი მიზანი ერთია, სამომავლო 12 გუნდში მოხვედრა. ჩემპიონობისთვის, პრიზიორობისთვის ვეღარ იბრძოლებენ.**

— რატომ? თასი?

**— ჰო, თასიც...**

— მართალია, დღეს „ლოკომოტივი" უძლიერეს რვა გუნდს მიღმა დარჩა, მაგრამ, როცა კლუბის ხელმძღვანელობას, რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე აკაკი ჩხაიძეს შევხვდი, დავრწმუნდი, რომ „ლოკომოტივი" წინ იხედება. მათ ჩაფიქრებული აქვთ კარგი გუნდის შექმნა, ამისთვის შეძლებისამებრ ყველაფერს აკეთებენ. ამის საფუძველს კი დღეს ქმნიან. ბუნებრივია, ამით ფეხბურთის ფედერაციაც არის დაინტერესებული და ამიტომაც ისინი წინააღმდეგნი არ ყოფილან, „ლოკომოტივი" ჩამებარებინა.

**— თქვენი ნათქვამიდან იგრძნობა, რომ „ლოკომოტივში" დიდხანს დარჩენას აპირებთ.**

— არა, ჯერჯერობით სეზონის ბოლომდე ვიმუშავებ „ლოკომოტივში".

**— მერე?**

— არ ვიცი. შედეგი ყველაფერზე მეტყველებს.

**— „ლოკომოტივთან" კონტრაქტი უკვე გააფორმეთ?**

— მხოლოდ სიტყვიერად შევთანხმდით. რკინიგზის ხელმძღვანელობას თუ ჩემი მუშაობა დააკმაყოფილებს, შესაძლოა მომავალ სეზონშიც ამ კლუბთან ვიმუშაო. ოღონდ ამან ნაკრების მწვრთნელობაში ხელი არ უნდა შემიშალოს.

**— თქვენი ხელმძღვანელობით რომ ნორმალურ შედეგს მიაღწევს „ლოკომოტივი", ამაში დარწმუნებული არ ხართ?**

— აბა, როგორ გითხრათ? ვნახოთ, ვეცდები, იმედი მაქვს.

**— დღეს გუნდის წევრებს რომ შეხვდით, რა უთხარით?**

— მომავალზე ველაპარაკე. შანსი ყველას გექნებათ, ვინც იყოჩაღებთ, სიამოვნებით, ითამაშებთ, ვინც არა და, სხვა გუნდი ეძიეთ-მეთქი, ვუთხარი.



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

რევაზ ძოძუაშვილი

**— გუნდში ბევრი რამის შეცვლას აპირებთ?**

— რასაც საჭიროდ ჩავთვლი, ყველაფერს შევცვლი, რაც არასწორია.

**— ბევრს თუ ცოტას?**

— ჯერ ვერ გეტყვით. ხვალიდან მომზადებას ვიწყებთ და ნელ-ნელა გამოჩნდება, რა კარგია, რა — ცუდი. ერთი რამ კი ახლავე შემიძლია გითხრათ — ფეხბურთელები რეჟიმში იქნებიან. ვინც ჩემს მოთხოვნებს არ შეასრულებს, გუნდს დატოვებს. მგონია, რომ მე ფეხბურთელებს შრომისუნარიანობას ვმატებ, დანარჩენი კი თქვენ განსაჯეთ, თქვენ შეაფასეთ.

**— „ლოკომოტივის" მწვრთნელობას რატომ დათანხმდით?**

— ეროვნულ გუნდს უახლოესი ოფიციალური თამაში სექტემბერში ექნება, იქამდე კი... მგონია, რომ კარგია ჩემი „ლოკომოტივში" მუშაობა. მირჩევნია, ჩემი ცოდნა-გამოცდილება ქართულ გუნდს მოვახმარო. მე დავრწმუნდი — „ლოკომოტივი" საქმეს სერიოზულად უდგება, ის არაა ერთწლიანი გუნდი, მას ფინანსურად ძლიერი პატრონი ჰყავს — ამ გუნდმა ძველი სახელი უნდა დაიბრუნოს, უნდა აღორძინდეს, ეროვნულ გუნდს გამოადგეს.

**— „ლოკომოტივი" საქართველოს ნაკრების საბაზო გუნდად წარმოგიდგენიათ?**

— არა, უფრო „დინამო". დღესდღეობით ჩემპიონს ვერც ერთი გუნდი შეედრება. გინდ კონტინგენტით, გინდ ბაზით, პირობებით... ნაკრების საბაზო გუნდად კვლავაც თბილისის „დინამო" მესახება.

**— ნაკრების შემადგენლობას არ გაახალგაზრდავებთ?**

— თავად ნახავთ. ამაზე მეტად მე და ყიფიანი ნაკრების შედეგის გაუმჯობესებაზე, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრაზე ვფიქრობთ. ახალწვეულების გვარებს კი შეკრებამდე არ გეტყვით. ამან, შესაძლოა, კანდიდატებზე ცუდად იმოქმედოს. ყველაფერს კონკრეტულ თამაშამდე ოთხი-ხუთი დღით ადრე გაიგებთ.

**— დაბოლოს, არ გიჯობდათ, ისევ ლატვიაში დაბრუნებულიყავით, თუნდაც რუსეთში გემუშავათ?**

— არა. მე ორი შვილიშვილი მყავს. მათ ვჭირდები, საქართველოს მომავალზე ვფიქრობ, ქართველი ვარ.

კობა ინასარიძე

# დემეტრაძის ტრანსფერი 14 იანვრამდე გადაიდო

კიევიდან მოსული ბოლო ცნობების მიხედვით, გიორგი დემეტრაძის ტრანსფერი ვლადიკავკაზის „ალანიიდან" კიევის „დინამოში" სავარაუდოდ 14 იანვრამდე გადაიდო. მიუნხენში, როცა „დინამო" — „ბაიერნის" მატჩი დამთავრდა, მართალია, დემეტრაძემ წინასწარ შეთანხმებას ხელი მოაწერა „დინამოში" გადასვლის თაობაზე, მაგრამ ბოლო მომენტში „ალანიამ" გამოაცხადა, რომ ფეხბურთელს აღარ ჰყიდის.

„დინამო" და „ალანია" კვლავაც ვერ თანხმდებიან დემეტრაძის ფასზე, რომელიც ჩვენი მონაცემებით 3-იდან 4,5 მილიონ დოლარამდე მერყეობს.

უკრაინული მედია ვარაუდობს, რომ კიევის „დინამო" „ალანიას" დემეტრაძის ფასს გაუქვითავს, როცა 14 იანვარს ვლადიკავკაზური კლუბი შეკრებას მოაწყობს „დინამოს" ბაზაზე — კონჩე-ზასპაში. აქ „ალანია" ორ კვირას დაჰყოფს და ამხანაგურადაც შეხვდება „დინამოს".

სიმონ მენაბდე

# საქართველო კვიპროსზე

## მეტოქეებს კუნძულზე დახვდებიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ორმწვრთნელა ნაკრები დამდეგ ახალ წელს — 31 იანვრიდან 8 თებერვლამდე — კვიპროსის საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ეს უკვე გადაწყვეტილია.

ჩვენებურთა გარდა მასპინძლებს კიდევ ექვსი გუნდი შეუგულებიათ — ლატვია, მოლდოვა, სლოვაკეთი, უკრაინა და საქართველოს ნაკრების ორი მომავალი მეტოქეც — რუმინეთი და ლიტვა.

ტურნირის ჩატარების რეგლამენტი ჯერჯერობით უცნობია. კვიპროსელებს ამის თაობაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის არაფერი შეუტყობინებიათ. ფაქსის ფურცელზე მხოლოდ ეწერა, ტურნირზე გეპატიჟებითო, რასაც ჩვენებურებმა თანხმობით უპასუხეს.

ვისთან მოუწევს ჩვენს ეროვნულ გუნდს თამაში, ამას ახლო მომავალში გაცნობებთ.

კობა ინასარიძე

# ჭეიშვილი და სვანაძე 18-წლამდელებს გაწვრთნიან

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს — შოთა ჭეიშვილი. იგი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინადადებას დათანხმდა და გუშინ მის ჩინოსნებს თავი დაუკრა — მზად ვარ, 18-წლამდელებს ვუმწვრთნელოო. სავარაუდოა, რომ შოთა ჭეიშვილს, რომელიც თითქმის ხუთი თვე უმუშევრად იყო, თანაშემწე შვედეთიდან ახალდაბრუნებული, ძიდი თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი ზაურ სვანაძე იქნება.

რაც შეეხება ვახტანგ კოპალეიშვილს, ის ახალგაზრდულ ნაკრებში ხურციძე ლავას დაეხმარება.

ყველაფერს ბეჭედი ოფიციალურად 24 დეკემბერს დაესმება. ამ დღეს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი შეიკრიბება.

კობა ინასარიძე

# კახა ცხადაძე რამდენიმე თვე ვერ ითამაშებს

გუშინ მანჩესტერის საავადმყოფოდან ოდნავ უკეთესი ცნობები მოვიდა კახა ცხადაძის თაობაზე — განუცხადა მედიას „სიტის" მენეჯერმა ჯო როილმა. ცხადაძეს ექიმთა დიაგნოზით მუხლის თავი გაუტეხია, თუმც მყესები გაწყვეტილი არა აქვს და რამდენიმე თვის შემდეგ უკვე შეიძლება მსუბუქი ვარჯიშის დაწყება. როილის განცხადებით, მას გულზე მოეშვა, როცა გაიგო, რომ ცხადაძის კარიერას საფრთხე აღარ ემუქრება. „ჩვენ კვლავაც გვერდში დავუდგებით კახას" — თქვა მან.

ცხადაძე გასულ კვირას „მანჩესტერ სიტის" სარეზერვო გუნდში თამაშისას დაშავდა, როცა „სტოკ სიტის" ეთამაშებოდნენ.

სიმონ მენაბდე

# პრეზიდენტისგან დაფასებული

საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ ჯემალ გაბისონიას ახლახან 60 წელი შეუსრულდა.

ბატონმა ჯემალმა ფეხბურთს თავისი მომავალი ბავშვობიდანვე დაუკავშირა. სულ პატარამ დაიწყო იმდროინდელი პოპულარულ საფეხბურთო სკოლაში (ფშმ) ვარჯიში. მისი პირველი მასწავლებლები გიორგი ბაქანიძე და ასირ გალპერინი იყვნენ. თავიდანვე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ ჯემალ გაბისონიას. პერსპექტიულ ფეხბურთელად თვლიდნენ, თბილისის „დინამოშიც" მიიწვიეს, მაგრამ მძიმე ტრავმამ საქართველოს საამაყო გუნდის მაისურას მორგების საშუალება აღარ მისცა, იძულებული გახადა, აქტიური კარიერა დაესრულებინა, თუმც უფეხბურთოდ მაინც ვერ გაძლო, მწვრთნელთა სკოლაში ჩააბარა და 1961 წელს წარმატებითაც დაამთავრა. იგი ქართული ფეხბურთის სამსახურში ჩადგა. ჯემალ გაბისონიას ნიჭი და უნარი გრიგოლ გაგუამ მაშინვე შენიშნა და „ნორჩ დინამოელში" მწვრთნელად მიიწვია. ბატონმა ჯემალმა ბავშვები ჩაიბარა და ბევრი სასახელო ფეხბურთელიც გამოზარდა — ალექსანდრე ჩივაძის, ვლადიმერ გუცაევის, ფირუზ კანთელაძის, დავით მუჯირის (უფროსი), გიორგი ჭილაიას, გოჩა ტყებუჩავასა და სხვების ფეხბურთელებად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის. სწორედ მან დააფრთიანა ერთადერთი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი გელა კეტაშვილი.

იგი ბავშვებს 14 წელი ემსახურა. მერე კი... სპორტსაზოგადოება „დინამოს" საბჭოს დადგენილებით, ჯემალ გაბისონიამ ბავშვთა ფეხბურთიდან შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაინაცვლა სამუშაოდ — ფიზიკური მომზადების უფროსად დაინიშნა. ამ თანამდებობაზე ორი წელიწადი დაჰყო, მერე კი ოპერატიულ სამსახურში გადაიყვანეს, სადაც ორ ათეულ წელზე მეტი იმუშავა და პოლკოვნიკის ჩინიც მიიღო.

„იმ პერიოდშიც კი, როცა შინაგან საქმეთა სამინისტროში ვმუშაობდი, მუდამ ფეხბურთზე ვფიქრობდი. უფეხბურთოდ ცხოვრება ვერც კი წარმომიდგენია" — გვითხრა ბატონმა ჯემალმა, როცა ამას წინათ შევხვდით. მას დიდი სურვილი აქვს, ბავშვთა ფეხბურთს დაუბრუნდეს, მაგრამ...

— რომ ვუყურებ, რაც ხდება, ყველაფრის სურვილი მეკარგება. ბავშვი ფეხბურთელად რომ ჩამოყალიბდეს, მწვრთნელმა რაღაც სტიმული, ბიძგი უნდა მისცე. რა სტიმულზეა საუბარი, როცა იმის საშუალებაც კი არ არის, ფორმა შეიძინო. მინდვრებზე ხომ აღარაფერს ვამბობ.

ბავშვთა ფეხბურთში არსებული პრობლემები ჯემალ გაბისონიას დიდი გულისტკივილია. მართლაც დასანანია, რომ მისებრ სპეციალისტს ვერ ვიყენებთ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ცოტა ხნის წინ მიიწვია, ბატონი ჯემალი რეგიონალური ლიგის მატჩებზე დელეგატის ფუნქციას ასრულებს.

ქართული ფეხბურთის წინაშე მისი დამსახურება სულ ერთი თვის წინ თავად საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემაც დააფასა: „საქართველოს ფეხბურთის განვითარებაში, მოზარდთა შორის მისი პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი წვლილისთვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მუშაკი ჯემალ გაბისონია დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით" — ვკითხულობთ პრეზიდენტის ბრძანებულებაში.

ვფიქრობთ, ამით ჯემალ გაბისონიას შესახებ ყველაფერია ნათქვამი.

გორდა — «ბ» ზონა — მეხუთე ადგილი

საქართველოს 11 ჩემპიონატი — I

# ბაზარი თუ შეივსო...



იასონ ალადაშვილი

ბოლო წლების მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, მეხუთე ადგილი რუსთავის „გორდას" უთუოდ საპატიოდ და დიდ მიღწევად ჩაეთვლებოდა, მაგრამ, მეხუთეცაა და მეხუთეც. საქართველოს ჩემპიონატში წლეულს დამკვიდრებულ ზონურ პრინციპს თუ გავითვალისწინებთ, მეხუთე ადგილის მოპოვება ვერაფერი ნუგეშია ნებისმიერი გუნდისთვის. „ბ" ზონაში „გორდა" ოთხეულს მიღმა აღმოჩნდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაზაფხულიდან რუსთაველები რჩეულთა შორის დარჩენისთვის იბრძოლებენ. არადა, ჩემპიონატის დასაწყისი საერთო ჯამში საშიშროებას არ უქმნიდა „გორდას"...

პირველ ორ ტურში დამარცხებას ისედაც შეგუებულნი იყვნენ რუსთაველები, რადგან შემადგენლობაგადახალისებული მეფოლადეები ძნელად თუ გაუჭირვებდნენ „ტორპედოს" და ზღვისპირელ კოლხებს, ასეც მოხდა. ორი თამაში, ამდენივე წაგება და ნული ქულა, მაგრამ მესამე ტურიდან „გორდას" თავის ხელი დაატყო ვარლამ კილასონიამ და მოგებებიც მოვიდა. დიდი ანგარიშით ძლეულ „ხობს" (4:1), რუსთაველებმა „დილაც" მიაყოლეს (2:0) და საპატიო მესამე საფეხურზე აინაცვლეს.

ჩვენში ბევრ გუნდს უჭირს ეკონომიურად, გამონაკლისი არც „გორდაა". გეხსომებათ, ამ გუნდმა დიდი გაჭირვებით შეძლო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლების მიღება. საწევრო 10000 ლარი ხომ, ბოლო წუთს („ტორპედოსთან" მატჩის წინ) ხელით მიუტანა ქალაქის მომავალმა მერმა ლაშა მინდელმა სფფ-ს წარმომადგენელს. მაგრამ შემდეგ მყვარებელიც გამოუჩნდა გუნდს.

ამ კაცის წყალობით (მან ინკოგნიტოდ ირჩია ყოფნა), „გორდას" ფეხბურთელებს კვების მხრივ პრობლემები არ შექმნიათ, ეს იყო და ეს. რას აკეთებდა გუნდის ხელმძღვანელობა? ქალაქის თავკაცობამ მას გუნდის შენახვისთვის რუსთავის ბაზრის (სტამბოლის ბაზარს რომ ეძახიან რუსთაველები) მოგების 40 პროცენტი გამოუყო. მაგრამ დახეთ ბედის სიმუხთლეს, 600-ადგილიანი სტამბოლივით დიდი და ჭარბი ბაზარი უცებ 80 (უკეთეს შემთხვევაში 100) ადგილამდე შემცირდა. გამყიდველთა რაოდენობის შემცირებას აბა, რა მოგება უნდა მოეტანა გუნდისთვის და ფეხბურთელებსაც სიმბოლური ხელფასები დაუწესდათ 50-დან 100 ლარამდე. მოთამაშეთა უმრავლესობა 50 ლარს იღებდა. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ გუნდს თვეში ოთხი თამაში და ოთხჯერ მეტი ვარჯიში უწევს, ფეხბურთელის ერთი სამუშაო დღის შემოსავალი ორ ლარ ნახევარი გამოდის. ერთიცაა, კუთვნილ ხელფასს ფეხბურთელები არაპერიოდულად იღებდნენ და რა გასაკვირია, რომ ასეთი გუნდი ოთხეულს მიღმა აღმოჩნდა. მოკლედ, კრიზისი გარდაუვალი ჩანდა. ეს პროცესი კილასონიას ტრავმამაც დააჩქარა და ორმოქმედებიანი წარმატების შემდეგ „გორდამ" მომდევნო ექვს შეხვედრაში ერთადერთი ქულის აღება და ამდენივე გოლის გატანა შეძლო. ამაში თავისი „მოკრძალებული" წვლილი გუნდის ხელმძღვანელობასაც მიუძღვის. საქმე იმაშია, რომ მესამე ტურის შემდეგ გაჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ „გორდას" ორი, უდავოდ ანგარიშგასაწევი ფეხბურთელი დაემატებინა. საუბარი იყო გუნდში გიორგი კილასონიას და სანდრო ბურნაძის გადასვლაზე. ორივე თანახმა იყო კლუბს დახმარებოდა, მაგრამ ვინაიდან განაცხადში მათი შეყვანა დაგვიანდა, კლუბის ხელმძღვანელობამ ჩვენი ბედოვლათი დებულების გვერდისაუქცევლად ჭკუა იხმარა და გენიალური სვლა გააკეთა. საქმე ის გახლავთ, რომ ჩემპიონატის დებულება საფეხბურთო სეზონის მიმდინარეობისას ფეხბურთელს ერთი ქართული გუნდიდან მეორეში გადასვლას უკრძალავს, თორემ უცხოეთიდან დაბრუნებული მოთამაშის დამატების არანაირი პრობლემა არ არსებობს, ვინაიდან ბურნაძე და გიორგი კილასონია გასულ წელს „სამგურალში" თამაშობდნენ, რჩებოდა უცხოეთის ვარიანტი. აქ კი დახმარების ხელი რუსთაველებს მეზობელმა „შამქირმა" გაუწოდა და კილასონია-ბურნაძის დუეტი სომხურ გუნდში გადავიდა. რა თქმა უნდა, ეს გადასვლა ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რადგან ერთ-ორ კვირაში „გორდა" ორივე მათგანს ნათხოვრობის წესით დაიბრუნებდა. გუნდის გაძლიერებით იმედმოცემული რუსთაველი გულშემატკივრებიც ხელებს იფშვნეტდნენ, მაგრამ... საქმე საქმეზე რომ მივიდა, „გორდას" სატრანსფერო ხარჯებისა და ფეხბურთელთა იჯარის სანაცვლო თანხა არ აღმოაჩნდა. ეს ის პერიოდია, როცა საოცრად შეუთხელდა „სტამბოლის" ბაზარს მყიდველ-გამყიდველი და მშვენიერ დასაწყისს ცუდი დასასრული მოჰყვა. ვერც გუნდი გაძლიერდა და გიორგი კილასონია-ბურნაძის დუეტიც უსაქმოდ (ანუ უფეხბურთოდ) დარჩა, მაგრამ „გორდას" ჰყავდა თავისი კილასონია და ისიც ერთგულად, უდრტვინველად ეწეოდა ჭაპანს. ვარლამ კილასონიას მხარი აუბეს ახალგაზრდა ფეხბურთელებმაც და „გორდამ" მეთერთმეტე ტურში რკინის ქალამნები ჩაიცვა, ხელშიც რკინისავე ჯოხი დაიჭირა და გორში სენსაციური გამარჯვება გამოჭედა (2:1) „დილასთან". წარმატებით აღფრთოვანებულმა რუსთაველებმა მომდევნო ტურში უშუალო კონკურენტი „იბერია" გაანადგურეს „ფოლადზე", ოთხი უპასუხო გოლი გაუტანეს სტუმრებს და, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ორლარნახევრიანფეხბურთელებიან გუნდს ოთხეულში მოხვედრის შანსი გაუჩნდა. საჭირო იყო სტუმრად პრეზიდენტმიტოვებული „მერანის" დამარცხება, მაგრამ ტრანსპორტელებმა უპრიზედენტოდაც მშვენივრად მოუმთავრეს საქმე გულმოცემულ სტუმრებს, 2:1 სძლიეს და „ხობი" — „იბერიას" მატჩის შედეგის ამარა დატოვეს რუსთაველები. შემდგომ განვითარებულ მოვლენებს წვრილად აღარ მივუბრუნდები. „გორდამ" თსუ-ს სძლია, „იბერიამ" „ხობი" დაამარცხა და ოთხეულის გზასაც სამტრედიელები შეუდგნენ.

გუნდის სათამაშო რგოლებზეც ვთქვათ. მეკარით დავიწყოთ. მამუკა ქორიძე, თქმა არ უნდა, ერთ-ერთი გამოცდილი და შინაურ პირველობას მორგებული მეკარეა. მარტო მას არაერთხელ გადაუწყვეტია თამაშის ბედი და წარმატება მოუტანია გუნდისთვის, მაგრამ XI ეროვნული ჩემპიონატის პირველ ეტაპზე თავდაჯერება აკლდა ქორიძეს. მისი შეცდომებით გუნდი განსაკუთრებით „კოლხეთთან" საშინაო მატჩში და „მერანთან" საბედისწერო შეხვედრაში დაზარალდა. რაც შეეხება დაცვას, იასონ ალადაშვილმა, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, ამ რგოლის დაკომპლექტებისას მაქსიმალურად გამოიყენა თავისი შესაძლებლობები. შეთანხმებულად მოქმედებდა გაბელაია-ბექაურის დუეტი. მარცხენა ფლანგზე კი დავით ინასარიძის მონდომება მართლაც რომ აღნიშვნის ღირსია, ეს ფეხბურთელი უშუალო მოვალეობას თავს წარმატებით ართმევდა, ნახევარდაცვასაც ზურგს უმაგრებდა და შეტევებშიც ეფექტურად ერთვებოდა. შედეგიც სახეზეა, მის ანგარიშზე 14 თამაშში 4 გოლია, ეს კი საშუალო დონის გუნდის მცველისთვის მართლაც კარგი მაჩვენებელია. ნახევარდაცვაში არსებულ ხარვეზებს ალექსანდრე კიტეიშვილი და ვარლამ კილასონია ავსებდნენ, მაგრამ რადგან კილასონია უფრო შეტევის ხაზზე იყო გადართული, კიტეიშვილს მეტი ჯაფა დააწვა. თუმცა პირველი ჯგუფის დებიუტანტი ფეხბურთელი ურიგოდ სულაც არ გამოიყურებოდა. ხშირად მახვილგონივრულ პასებსაც უნაწილებდა პარტნიორებს და გოლებიც გაჰქონდა. 4 გოლია თავდამსხმელ ლაშა ალადაშვილის ანგარიშზე. იგი ძალისმიერი, ამავე დროს ტექნიკური ფორვარდია, მაგრამ საგოლე მომენტების გამოუყენებლობის საოცრად მაღალი მაჩვენებელი აქვს. გუნდის საუკეთესო ფეხბურთელი კი მაინც ვარლამ კილასონიაა. ძნელი სათქმელია, უიმისოდ რამდენი ქულით შეხვდებოდნენ რუსთაველები ჩემპიონატის მეორე ეტაპს. ისიც არავინ იცის, დარჩება თუ არა კილასონია რუსთავში, რადგან მის ამბიციებს უმოტივაციო გუნდში თამაში ძნელად თუ დააკმაყოფილებს.

გაზაფხულიდან კი „გორდას" დიდი ბრძოლა ელის პირველ ჯგუფში დასარჩენად. იასონ ალადაშვილის საფიქრალი გუნდის ძირითადი ბირთვის შენარჩუნებაცაა. თუკი ეს მოახერხა ღირსების მედალოსანმა მწვრთნელმა, მეფოლადეებს წესით არ უნდა გაუჭირდეთ, მერე კი იქნებ „სტამბოლის" ბაზარიც შეივსოს სანახევროდ.

**ბაატა ძვანტალიანი**



„მერანი" — „გორდა" 2:1. ვარლამ კილასონიას (№6) საჯარიმო დარტყმა მასპინძელთა კარს ასცდა

### პირველი ეტაპის შედეგები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო | 0:2 შ | |
| 2 | კოლხეთი | 0:2 ს | |
| 3 | ხობი | 4:1 შ | ალადაშვილი 2, კიტეიშვილი 2 |
| 4 | დილა | 2:0 შ | კილასონია, ინასარიძე |
| 5 | იბერია | 0:1 ს | |
| 6 | მერანი | 0:0 შ | |
| 7 | თსუ | 0:1 ს | |
| 8 | ტორპედო | 0:1 ს | |
| 9 | კოლხეთი | 0:1 შ | |
| 10 | ხობი | 1:5 ს | ინასარიძე |
| 11 | დილა | 2:1 ს | ალადაშვილი, კილასონია |
| 12 | იბერია | 4:0 შ | ინასარიძე, ალადაშვილი, კიტეიშვილი, კილასონია |
| 13 | მერანი | 1:2 ს | კილასონია |
| 14 | თსუ | 3:1 შ | კილასონია 2, ინასარიძე |

| | თ | გ | ყ | წ |
|---|---|---|---|---|
| ლაშა ალადაშვილი | 14 | 4 | 3 | 0 |
| მიხეილ გაბელაია | 14 | 0 | 1 | 0 |
| ალეკო თელიაშვილი | 14 | 0 | 2 | 0 |
| დავით ინასარიძე | 14 | 4 | 2 | 0 |
| ალეკო კიტეიშვილი | 14 | 3 | 1 | 0 |
| მიხეილ სახვაძე | 14 | 0 | 2 | 0 |
| მამუკა ქორიძე | 13 | -17 | 2 | 0 |
| ხვიჩა მჭედლიძე | 12 | 0 | 1 | 1 |
| გიორგი მიშველიძე | 11 | 0 | 0 | 0 |
| სპარტაკ ბაჩილავა | 9 | 0 | 0 | 0 |
| დავით ბერიძე | 9 | 0 | 2 | 0 |
| ვარლამ კილასონია | 9 | 6 | 0 | 0 |
| პავლე ბექაური | 8 | 0 | 2 | 0 |
| ალეკო ბუკია | 8 | 0 | 2 | 0 |
| კობა ჩიგოშვილი | 4 | 0 | 0 | 0 |
| ზაზა პატარიძე | 3 | 0 | 1 | 0 |
| ზურაბ ლაბაძე | 2 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ხიზანიშვილი | 2 | 0 | 1 | 0 |
| გია გონგაძე | 1 | -1 | 0 | 0 |
| გიორგი ჩიტაური | 1 | 0 | 0 | 0 |




თ - თამაში; გ - გოლი; ყ - გაფრთხილება; წ - გაძევება

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 14 | 11 | 3 | 0 | 33:5 | 28 | 36 | 7 | 5 | 2 | 0 | 18:4 | 14 | 17 | 7 | 6 | 1 | 0 | 15:1 | 14 | 19 |
| 2 | კოლხეთი | 14 | 8 | 1 | 5 | 19:15 | 4 | 25 | 7 | 5 | 1 | 1 | 10:3 | 7 | 16 | 7 | 3 | 0 | 4 | 9:12 | -3 | 9 |
| 3 | დილა | 14 | 6 | 2 | 6 | 19:24 | -5 | 20 | 7 | 4 | 1 | 2 | 11:10 | 1 | 13 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:14 | -6 | 7 |
| 4 | იბერია | 14 | 5 | 3 | 6 | 9:20 | -11 | 18 | 7 | 4 | 1 | 2 | 7:7 | 0 | 13 | 7 | 1 | 2 | 4 | 2:13 | -11 | 5 |
| 5 | გორდა | 14 | 5 | 1 | 8 | 17:18 | -1 | 16 | 7 | 4 | 1 | 2 | 13:5 | 8 | 13 | 7 | 1 | 0 | 6 | 4:13 | -9 | 3 |
| 6 | თსუ | 14 | 4 | 4 | 6 | 13:18 | -5 | 16 | 7 | 3 | 1 | 3 | 9:9 | 0 | 10 | 7 | 1 | 3 | 3 | 4:9 | -5 | 6 |
| 7 | მერანი | 14 | 3 | 6 | 5 | 14:15 | -1 | 15 | 7 | 2 | 3 | 2 | 7:6 | 1 | 9 | 7 | 1 | 3 | 3 | 7:9 | -2 | 6 |
| 8 | ხობი | 14 | 2 | 4 | 8 | 15:24 | -9 | 10 | 7 | 1 | 2 | 4 | 9:11 | -2 | 5 | 7 | 1 | 2 | 4 | 6:13 | -7 | 5 |

### მეორე ეტაპი

IX-XVI ადგილები

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | ლოკომოტივი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 9 |
| 10 | გორდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 8 |
| 11 | თსუ | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 8 |
| 12 | მერანი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 8 |
| 13 | თბილისი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 7 |
| 14 | სამგურალი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 6 |
| 15 | ხობი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 5 |
| 16 | არსენალი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 5 |

# სიმართლე, მხოლოდ სიმართლე!

ეროვნული ბიბლიოთეკა




№4

*ილიკო ჭელიშვილი*

ვიდრე დანარჩენზე ვისაუბრებდეთ, ერთ დოკუმენტს გაგაცნობთ.

### საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის რეზოლუცია

1. 1990 წლის 15 თებერვალს დაფუძნდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, რომელიც წარმოადგენს რესპუბლიკის პროფესიული საფეხბურთო კლუბების, სამოყვარულო გუნდების, აგრეთვე ფეხბურთის სპეციალისტთა და მსაჯთა საზოგადოებრივ კავშირს.

ფედერაცია ხელმძღვანელობს ფეხბურთის განვითარებასთან დაკავშირებულ საქართველოს სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი სპორტული ორგანიზაციების საქმიანობას.

2. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება მხოლოდ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის იურისდიქცია და უფლებამოსილება.

3. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მუშაობს პროფესიული კლუბების ფუნქციის განსაზღვრისათვის. პროფესიონალ ფეხბურთელთა და მსაჯთა სტატუსის შემუშავებისათვის და საბოლოოდ თვისებრივად ახალი პროფესიული საფეხბურთო ლიგის ჩემპიონატის ჩატარებისთვის.

4. ფიფა-ს წესდების შესაბამისად, მხოლოდ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ამყარებს კავშირს ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციებთან (ფიფა, უეფა და სხვა), ამასთანავე წარადგენს საქართველოს ცალკეულ კლუბებსა და ეროვნულ ნაკრებ გუნდებს ამ ორგანიზაციების ეგიდით გამართულ შეჯიბრებებში.

5. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია საქმიან ურთიერთობას ამყარებს საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ საფეხბურთო ფედერაციებთან, კლუბებთან და სხვადასხვა საფეხბურთო ორგანიზაციებთან.

6. ყრილობის გადაწყვეტილებით 1990 წლის საფეხბურთო სეზონიდან საქართველოს არც ერთი საფეხბურთო გუნდი არ მონაწილეობს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში, თასის გათამაშებაში და საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ჩატარებულ სხვა ოფიციალურ შეჯიბრებებში.

7. ყრილობის გადაწყვეტილებით 1990 წლის საფეხბურთო სეზონიდან საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა საფეხბურთო გუნდი მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში.

8. ყრილობა ავალებს ფედერაციას მიმდინარე წლის 10 მარტისთვის წარმოადგინოს საქართველოს ჩემპიონატისა და თასის გათამაშების დებულება.

9. ყრილობა თვლის, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ჩატარებული ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი და თასის გათამაშება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საფეხბურთო ცხოვრების აღორძინებას და წინსვლას.

10. ყრილობა თხოვნით მიმართავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უახლოეს დღეებში რეგისტრაციაში გაატაროს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, როგორც იურიდიული პირის სტატუსით აღჭურვილი, სრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე მომუშავე დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

11. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის გადაწყვეტილებების შესახებ ეცნობოს საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმს.

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა*

### რაც მოხდა, მერე მოხდა

ჭადრაკის სასახლიდან რედაქციამდე ორიოდ ნაბიჯია. პირველივე შემხვედრი მეკითხება: „რა მოხდა, როგორ დამთავრდა?.. რას ამბობ, კაცო, მართლა?".

რედაქტორი შეცბუნებული ჩანს: „ნომერი მზად არის, ნუ ვიჩქარებთ, ხვალისთვის გაამზადე ინფორმაცია".

დავიყოლიე — ინფორმაცია ნომერში დაიბეჭდა, სულ ოცი საგაზეთო სტრიქონი: „გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა, რომელსაც ესწრებოდა 391 დელეგატი. ყრილობამ დაამტკიცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, როგორც დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წესდება. ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი. დაამტკიცეს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის სტატუსი. გადაწყდა, რომ რესპუბლიკის ყველა საფეხბურთო გუნდი წლევანდელი სეზონიდან საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში იასპარეზებს".

ეს იყო პირველი ოფიციალური ცნობა, რომელიც საღამოს „მოამბემ" სიტყვასიტყვით გადასცა. ორი დღის შემდეგ, 18 თებერვალს „კომუნისტში" ყრილობის ვრცელი ანგარიში გამოვაქვეყნე.

საქინფორმის მასალა გაავრცელეს „ლელომ" და სხვა გაზეთებმა.

ორშაბათს, 19 თებერვალს ჟურნალისტთა სახლში ახალკაცის პრესკონფერენცია დაინიშნა. თადარიგი დავიჭირე და გაზეთში ორასამდე სტრიქონი „შევანახვინე", მაგრამ პრესკონფერენციიდან რომ მოვბრუნდი, ახალი ამბავი დამხვდა:

— მასალა არ დაიბეჭდება, — მეუბნება რედაქტორი, — გეყოფათ შენ და ახალკაცს, ისედაც ბევრ უსიამოვნებას გადამკიდეთ. ბარქაია, ნოდია და სხვები იყვნენ, წერილი მოიტანეს. ცეკადანაც დარეკეს... წაიკითხე და ჩაუშვი ასაწყობად.

რა მიხვედრა უნდა — საქმეს სხვა პირი უჩანს. მე რომ დამთავრებული მგონია, „ყრილობა" თურმე გრძელდება და შეიძლება ყველაფერი თავდაყირა დადგეს.

20 თებერვალს „კომუნისტში" და „ლელოში" ერთდროულად იბეჭდება ვრცელი წერილი — „სიმართლე, მხოლოდ სიმართლე!" „კომუნისტშიც" და „ლელოშიც".



ყრილობის „მთავარი რეჟისორი" დავით კვინიკაძე

ალექსანდრე ქოთოლაშვილის ფოტო

ხელს აწერს 47 კაცი — ქართული ფეხბურთის ელიტა.

### „სიმართლე, მხოლოდ სიმართლე!"

კინორეჟისორმა ა. ელენტმა ამ რამდენიმე თვის წინ საპოლემიკოდ წამოჭრა საკითხი, საჭიროა თუ არა საქართველოს გუნდებმა მონაწილეობა მიიღონ სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში. რესპუბლიკურ პრესაში, კერძოდ გაზეთ „ლელოში" გაიშალა ფართო პოლემიკა, თავიანთ მოსაზრებას გამოთქვამდნენ მრავალნი, მაგრამ ფეხბურთის სპეციალისტებმა და ვეტერანებმა გარკვეული ინერტულობა გამოიჩინეს აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, რაც განპირობებული იყო მხოლოდ იმით, რომ ჩვენ ერთად ვცდილობდით ყოველმხრივ გაგვეანალიზებინა ეს რთული საკითხი და ისეთი დასაბუთებული პროგრამა შეგვემუშავებინა, რომელიც ზიანს კი არა, მხოლოდ სარგებლობას მოუტანდა ჩვენს მშობლიურ, საყვარელ, თვითმყოფად ქართულ ფეხბურთს. შესაძლოა. ამას ისიც დაემატა, რომ ფეხბურთის სპეციალისტთა და ვეტერანთა აზრები, მათი მოსაზრებანი წლების განმავლობაში იგნორირებული იყო ადმინისტრაციული ორგანოების მხრივ, რამაც გარკვეულად ხელი შეუწყო ჩვენში ამგვარი სტერეოტიპის გამომუშავებას.

პრესის ფურცლებზე წარმოებული პოლემიკის პასუხად საქართველოს სპორტსახკომში 8 დეკემბერს გაიმართა ფეხბურთის სპეციალისტთა შეკრება, სადაც გულდასმით, სერიოზულად იმსჯელეს იმის თაობაზე, თუ როდიდან და როგორ შეიძლებოდა საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის, თასის გათამაშებისა და სხვა შეჯიბრებათა ჩატარება. გამოითქვა აზრი, რომ საქართველოს თასის გათამაშებაში მონაწილეობა უნდა მიეღო საქართველოს უკლებლივ ყველა გუნდს, ხოლო ეროვნული ჩემპიონატის საკითხი ეტაპობრივი პრინციპით გადაგვეწყვიტა მას შემდეგ, რაც გადაწყდებოდა ამგვარი დიდი შეჯიბრებისთვის საჭირო მნიშვნელოვანი პრობლემები. გარდა ამისა, ისიც გადაწყდა, რომ საჭიროა დამოუკიდებელი ეროვნული ფეხბურთის ფედერაციის ჩამოყალიბება, რესპუბლიკის სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოსა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა თაოსნობით გადაწყდა მოწყობილიყო შეხვედრა სპორტულ ჟურნალისტებთან, სადაც განიხილავდნენ ზემოხსენებულ საჭირბოროტო საკითხებს.

ასეთი შეხვედრა გაიმართა, სპეციალისტებისა და ვეტერანთა მიერ შემოთავაზებული ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის ეტაპობრივი კონცეფცია საზოგადოებრიობის ერთმა ნაწილმა არ მოიწონა. რაც შეეხება ეროვნული დამოუკიდებელი ფედერაციის შექმნას, იგი ერთხმად მიიღეს სხდომის მონაწილეებმა. ამავე სხდომაზე შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელსაც დაევალა ყრილობის მოწვევა, შეიქმნა აგრეთვე საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელობა დაევალა ფეხბურთის სამმართველოს უფროსის მოადგილეს დ. კვინიკაძეს.

15 თებერვალს თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაინიშნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ იგი ფაქტობრივად ჩაიშალა და ეს მხოლოდ ჩვენი აზრი არ არის. ამაში ყრილობის მონაწილეთა დიდი ნაწილი ფარულად უთუოდ დაგვეთანხმება. ფარულად იმიტომ, რომ თითქმის 9 საათის განმავლობაში გარკვეული მორალური ზემოქმედების შემდეგ ადამიანებს საშუალება არ მიეცათ თავიანთი აზრი და სურვილი გამოეხატათ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამგვარ მორალურ ზემოქმედებას განიცდიდა ყრილობის დამსწრე დელეგატთა ნახევარზე მეტი. ჩვენ კი, საქართველოს სპორტული ღირსებისთვის მრავალი წლის განმავლობაში მებრძოლმა ეფხბურთელებმა ზედმეტად ჩავთვალეთ ყრილობაზე გამოსვლა, ვინაიდან ისეთ პატივსაცემ პიროვნებებსაც კი, როგორებიც არიან ბორის პაიჭაძე, ნესტორ ჩხატარაშვილი, გიორგი ბაქანიძე, გივი ნოდია, ომარ უშვერიძე ჩვენთვის უცხო ადამიანებმა ობსტრუქცია მოუწყვეს და ნორმალური გამოსვლის საშუალება არ მისცეს.

აურზაური არსებითად ყრილობის თავმჯდომარეების არჩევნებით დაიწყო, თითქმის ერთ საათს გაგრძელდა ამ საკითხის გადაწყვეტა. ჩვენთვის სრულიად გაუგებარი იყო, რატომ გამოიწვია თავმჯდომარეთა არჩევნებმა ასეთი ცხარე კამათი. თუმცა გამოირკვა, რომ ეს ყოფილა წინასწარ შემუშავებული სცენარი, რომლითაც შემდგომში მთელი ყრილობა წარიმართა. დაძაბულობა თანდათან მატულობდა, სხვადასხვა, სრულიად შემთხვევითი პირები წამდაუწუმ დაუკითხავად მირბოდნენ მიკროფონთან, ზოგიერთმა მათგანმა კი აშკარა შეუფერებელი სიტყვებით მიმართა ქართველ სპორტსმენებს, ფეხბურთელებს, შეუფერებელი სიტყვებით ამკობდნენ იმათ, ვინც გაბედავდა თუნდაც რეპლიკის სახით გამოეთქვა მათი აზრისგან განსხვავებული მოსაზრება, სწორედ ამიტომაც ჩაიგდეს ხელში მათ ყრილობის სადავეები.

ყრილობის ერთ-ერთმა თანათავმჯდომარემ თავისი თანამზრახველების ხელისშეწყობით შეძლო ბოლომდე განეხორციელებინა წინასწარ შემუშავებული სცენარი. საერთო დაძაბულობა აშკარა შეურაცხყოფაში გადაიზარდა, როცა ჩვენი ვეტერან ფეხბურთელებსა და სხვა სახეობათა სახელმოხვეჭილ წარმომადგენლებს „გაუცხოებული ქართველები" პატრიოტიზმის გრძნობას მოკლებული ადამიანები და ერის მოღალატეები გვიწოდეს. ამ ფონზე ერთადერთ შვებად მოგვევლინა ჩვენი კოლეგის, გივი ნოდიას მიერ წარმოთქმული სიტყვები, სადაც ხაზგასმული იყო ის უდიდესი სიყვარული, პატივისცემა და მოწიწება, რაც ყრილობამდე რამდენიმე დღით ადრე ჩვენს მიმართ გამოხატეს ეროვნული მოძრაობის ჭეშმარიტმა ლიდერებმა სპორტსახკომში გამართულ შეხვედრაზე.

დარწმუნებული ვართ, რომ იგივე დამოკიდებულებას გამოხატავდნენ ჩვენს მიმართ სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარე ბატონი ნოდარ ნათაძე და მისი თანამოაზრეები ჩვენთვის იმ ღირსშესანიშნავ შეხვედრაზე რომ შესძლებოდათ დასწრება. ამის საფუძველს გვაძლევს ბატონი ნ. ნათაძის ფრიად საქმიანი და კორექტული გამოსვლა ფედერაციის დამფუძნებელ ყრილობაზე.

ჩვენ ღრმად გვწამს ისიც, რომ დელეგატების „აგრესიულად" განწყობილი ნაწილი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის დავით კვინიკაძის, ზურაბ და გურამ პეტრიაშვილებისა და მათი თანამოაზრეების მიერ წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით მოქმედებდა. ეჭვი არ გვეპარება, რომ თითოეულ მათგანს შეეძლო ქართული ფეხბურთისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება მიეღო, მაგრამ მათ არჩიეს თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ დარბაზში მსხდომნი. ამის დასტურია ის ერთსულოვნება, რომელიც მათ ჩვენთან ერთად გამოავლინეს დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაციის შექმნის საკითხში. ჩვენი გულისწყრომა გამოიწვია იმან, რომ მათ უფლება მისცეს საკუთარ თავს არ გაეზიარებინათ სპეციალისტებისა და ვეტერან ფეხბურთელთა მიერ ჩამოყალიბებული ეროვნულ ჩემპიონატზე ეტაპობრივი გადასვლის იდეა.

აღნიშნული იდეისგან განსხვავებული, მაგრამ ამავე დროს სრულიად დაუსაბუთებელი, ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები გამოთქვა თავის მეტად „ეფექტურ" გამოსვლაში ნ. ახალკაცმა! ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ მის მიერ წარმოთქმული სიტყვის ძირითადი მოტივი დამსწრეთა პატრიოტულ გრძნობებზე ზემოქმედება იყო. რაც შეეხება კონკრეტულად ქართული ფეხბურთის მომავალს, მისი განვითარების გზებს და ჩვენი საფეხბურთო მეურნეობის პროგრამას, ამაზე მას კონკრეტულად არაფერი უთქვამს.

დარბაზში შექმნილმა არანორმალურმა ვითარებამ აიძულა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატები ვ. ბარქაია, მ. მაჩაიძე, კ. ასათიანი, ი. დათუნაშვილი მოეხსნათ თავიანთი კანდიდატურები და დატოვეს კიდეც დარბაზი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს იყო ყრილობის ყველაზე დიდი შეცდომა, რაც განსაზღვრა. ზურაბ და გურამ პეტრიაშვილების, ლევან ტატიშვილისა და დავით კვინიკაძის (მთავარი რეჟისორი) სცენარმა.

სამწუხაროდ, საღმა აზრმა ვერ გაიმარჯვა. ყოველივე ეს ქართული ფეხბურთისთვის შეიძლება საბედისწერო გამოდგეს. საკითხავია, ვინ უნდა აგოს პასუხი ქართველი ერის წინაშე მისი უსაყვარლესი სპორტის სახეობის დაღუპვისათვის?

ყოვლად მიუღებელია ამგვარ პირობებში ასეთი არადემოკრატიული, ემოციებზე თამაშით მიღწეული ქართული ფეხბურთისთვის ეგზომ მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრა.

საკითხავია, თუ როგორ აირჩიეს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ნ. ახალკაცი, როგორ მოაგროვა მან წესდებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა, როცა დარბაზში ამ დროისთვის ჩვენი აზრით, ყრილობის დელეგატთა ნახევარიც კი არ დარჩა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ არჩევნების დროს ფეხბურთის სპეციალისტებს და ვეტერანებს თითქმის მთლიანად დატოვებული ჰქონდათ დარბაზი.

რა გამოდის? ის, რომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ფეხბურთის სპეციალისტებსა და ვეტერან ფეხბურთელებს ფაქტობრივად არ აურჩევიათ. ქართული ფეხბურთის ვეტერანები და სპეციალისტები მოვითხოვთ:

1. ჩვენი წერილი ყოველგვარი კოსმეტიკის და „შელამაზების" გარეშე გამოქვეყნდეს პრესაში.

2. მოვითხოვთ, როგორც ეს სხვა დარგებში ხდება, სწორედ ფეხბურთის ვეტერანებმა და სპეციალისტებმა განვსაზღვროთ ქართული ფეხბურთის მომავალი.

3. ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების ვადის საკითხი გადაწყდეს საკითხის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლის, სათანადო მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ.

4. გაუქმდეს 15 თებერვალს არანორმალურ ვითარებაში, საპროფესიო წესების დარღვევებით გამართული ყრილობის შედეგები.

5. მოეწყოს სრულუფლებიანი, დემოკრატიული საფეხბურთო ყრილობა, სადაც გადამწყვეტი სიტყვა ექნებათ ფეხბურთის სპეციალისტებს, ვეტერანებს, ამჟამად მოქმედ ფეხბურთელებს.

ჩვენ, ქართველ ვეტერან ფეხბურთელებს და სპეციალისტებს არასოდეს გვიღალატია ეროვნული მოძრაობისათვის. სწორედ ამიტომაც უფლებას არავის მივცემთ შელახოს ჩვენი ღირსებები, რამეთუ მიგვაჩნია, რომ წლების განმავლობაში პირნათლად ვიხდიდით ვალს ქართველი ერის წინაშე.

*ბ. პაიჭაძე, ნ. ჩხატარაშვილი, ა. კოტრიკაძე, ა. პაიჭაძე, ს. კოტრიკაძე, ვ. ბარქაია, ბ. სიჭინავა, რ. ურუშაძე, ს. კუტივაძე, დ. გოგია, მ. მაჩაიძე, ვ. მაჩაიძე, ნ. ხიზანიშვილი, გ. ნოდია, ლ. ნოდია, თ. სულაქველიძე, მ. მესხი, რ. შენგელია, გ. ჭილაია, კ. ასათიანი, გ. პეტრიაშვილი, ვ. ჭელიძე, დ. ყიფიანი, შ. ხინჩაგაშვილი, ზ. ებრალიძე, რ. ძოძუაშვილი, გ. გავუა, ა. ჩივაძე, ვ. გუცაევი, მ. ხურცილავა, ზ. კალოევი, ო. გაბელია, გ. სიჭინავა, ვ. ელოშვილი, ვ. ქორიძე, ვ. ჟვანია, ნ. კაკილაშვილი, ი. დათუნაშვილი, ჯ. ზეინკლიშვილი, თ. კოსტავა, გ. თავაძე, დ. მუჯირი, რ. ჩელებაძე, ლ. ჟორდანია, გ. ბაქანიძე, მ. ჯოჯუა, შ. ჯოჯუა"*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხრეთ ამერიკა

## მერკოსურის თასი. ფინალი. პირველი მატჩი

**ფლამენგო (ბრაზილია) 4:3 პალმეირასი (ბრაზილია)**

1:0 ჟუანი (5), 1:1 ჟუნიორ ბაიანო (45), 1:2 ასპრილია (68), 2:2 კაიო (70), 2:3 პაულო ნუნეში (73), 3:3 კაიო (75), 4:3 რეინალდო (85)

ფლამენგო: კლემერი, მაურინიო, ჟუანი, სელიო სილვა, ატირსონი, ლეანდრო ავილა, მარსელო (როდრიგო მენდესი 64), ირანილდო (კაიო 46), ლეონარდო ინასიო, ლეანდრო, რეინალდო

პალმეირასი: მარკოსი, ფრანსისკო არსე, ჟუნიორ ბაიანო, გალეანო, ჟუნიორი, სეზარ სამპაიო (ედმილსონი 85), როჟერიო, ზინიო, ალექსი (ეულერი 55), ასპრილია (ჯექსონი 82), პაულო ნუნეში

მერკოსურის თასის ფინალის პირველი მატჩი რიო დე ჟანეიროს ცნობილ „მარაკანაზე“ გაიმართა. გულშემატკივრებმა ტრიბუნები სანახევროდაც ვერ შეავსეს. ამას თავისი ობიექტური მიზეზი აქვს. „მარაკანას“ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატისთვის ამზადებენ და მასზე ინდივიდუალური სკამების სამონტაჟო სამუშაოები მიმდინარეობს. ამიტომ მაყურებლებს მხოლოდ პირველი იარუსი დაეთმოთ.

წლევანდელი ფინალი პირწმინდად ბრაზილიური აღმოჩნდა. ანგარიში უკვე მეხუთე წუთზე მასპინძელთა ცენტრალურმა მცველმა ჟუანმა გახსნა. პალმეირასელებს გასათანაბრებლად 40 წუთი დასჭირდათ. ტაიმის მიწურულს ბრაზილიის ნაკრების ყოფილმა მცველმა ჟუნიორ ბაიანომ საპასუხო გაიტანა. შესვენების შემდეგ თამაში სტუმართა უპირატესობით წარიმართა. გაიბრწყინა ყოფილმა ნიუკასლელმა ფაუსტინო ასპრილიამ. მან ჯერ თავად დააწინაურა „პალმეირასი“, შემდეგ თანაგუნდელ პაულო ნუნესს საგოლე პასიც მიაწოდა. თუმცა კოლუმბიელის დასჯას გუნდისთვის სარგებელი არ მოუტანი. ფლამენგოელმა კაიომ ორჯერვე შეძლო წონასწორობის აღდგენა. მატჩის მიწურულს რეინალდომ სტუმრებს მეოთხეც გაუტანა.

ორშაბათს სან პაულუში საპასუხო შეხვედრა გაიმართება. „ფლამენგოს“ ჩემპიონობის მოსაპოვებლად ფრეც ჰყოფნის. პალმეირასელებმა, რომლებიც მერკოსურის თასის ამჟამინდელი მფლობელები არიან, აუცილებლად უნდა მოიგონ. ამ შემთხვევაში, გათამაშების რეგლამენტის თანახმად, მესამე მატჩი ჩატარდება, რადგან ბურთების სხვაობას ყურადღება არ ექცევა. თუ გადათამაშება ფრედ დამთავრდა, გატანილ და გაშვებულ გოლებს მაშინ დაითვლიან.



„უნივერსიდად დე ჩილე“ ჩემპიონობას ზეიმობს

ჩილეს ჩემპიონის ტიტული „უნივერსიდად დე ჩილემ“ ვადამდე მოიგო. ამიტომ თანაქალაქელ „კოლო კოლოსთან“ შეხვედრის შედეგს მისთვის პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა. თუმცა მატჩი მეტად დრამატული გამოდგა და გვარიანი თავპირისმტვრევით დასრულდა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ „უნივერსიდადის“ ფეხბურთელებმა მოედნის გარშემო საპატიო წრის შემოვლა განიზრახეს. როგორც კი მეტოქე გუნდის გულშემატკივართა ტრიბუნას გაუსწორდნენ, მათ მძიმე საგნები დაუშინეს.

ცხადია, უსიამოვნებები ამით არ დასრულებულა. ჩემპიონი გუნდის ქომაგები თავიანთ ფეხბურთელებს გამოექომაგნენ და ნამდვილი ომიც გაჩაღდა. ჩხუბი მატჩის შემდეგაც გაგრძელდა. ქუჩები დალეწილი ვიტრინებით და ავტომანქანებით გაივსო. პოლიციას ათასზე მეტი ხულიგნის დაპატიმრება მოუხდა.

გულშემატკივრების საბრძოლო განწყობა მოთამაშეებსაც გადაედოთ და არბიტრს სამი მათგანის გაძევება მოუხდა. უნივერსიდადელთაგან მეკარე რობერტო როხასი და მცველი რონალდო ფუენტესი დაისაჯნენ, „კოლო კოლოდან“ — დევიდ ენრიკესი. თამაში „კოლო კოლომ“ 3:0 მოიგო და ბოლოდროინდელი ცუდი შედეგების გამო შელახული თავმოყვარეობა ერთგვარად აღიდგინა.

გოლები ბრაზილიელმა მარკინოსმა, იგნასიო კინტეროსმა და ხოსე ლუის სიერამ შეაგდეს.

„უნივერსიდენ დე ჩილე“ ჩემპიონი კი გახდა, მაგრამ როგორი ზეიმიც გამოუვიდა, თავად განსაჯეთ.

## პერუ

ამჟამინდელ ჩემპიონ „უნივერსიტარიოს“ ტიტულის შენარჩუნების ჩინებული შანსი აქვს. სხვა ლათინოამერიკული ქვეყნების მსგავსად, აქაც საგაზაფხულო და საშემოდგომო ჩემპიონატების გამარჯვებაში ერთმანეთთან არკვევენ ქვეყნის ჩემპიონის ვინაობას. ფინალის პირველ მატჩში „უნივერსიტარიომ“ „ალიანსას“ 3:0 მოუგო. შეხვედრაში ანგარიში მე-20 წუთზე ბრაზილიელმა ედუარდო ეზიდიომ გახსნა. შესვენების შემდეგ რობერტო ფარფანმა უპირატესობა გაზამტკიცა, ხოლო 75-ე წუთზე ყოფილმა ტენერიფელმა ნახევარმცველმა ხოსე დელ სოლარმა საჯარიმო დარტყმით მესამეც შეაგდო. ასე რომ, საპასუხო შეხვედრას „უნივერსიტარიო“ სოლიდური უპირატესობით ხვდება.

# ლიბიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს არგენტინის პრეზიდენტობა სურს

## რა აქვთ საერთო კარლოს ბილარდოს, მუამარ კადაფის, დიეგო მარადონას, ბენ ჯონსონს, ხუან და ევა პერონებს, მადონას, ენდრიუ ლოიდ ვებერს და ალან პარკერს

ამ ბოლო დროს ჩრდილოეთაფრიკული ქვეყნის — ლიბიის ექსტრავაგანტური დიქტატორი მუამარ კადაფი სპორტული სამყაროს ყურადღების ცენტრში მოექცა. ლიბია რომ საერთაშორისო ტერორისტთა სამოთხეა, პოლიტიკურ ცნობარებში შეგიძლიათ ამოიკითხოთ. ჩვენ სხვა რამ გვაინტერესებს. კადაფის სპორტით გატაცების შესახებ „სარბიელი“ უკვე წერდა და ისტორიას მოკლედ შეგახსენებთ. დიქტატორის საყვარელ ვაჟს პოლიტიკა ნაკლებად აინტერესებს და ძირითადად ბურთის გორაობით ირთობს თავს. სახელოვან მამას ეს ამბავი თავიდან დიდად არ გახარებია. ალბათ, იფიქრა, ჩემს შვილს ჭკუა ფეხებში არ წაუვიდესო. მაგრამ ყმაწვილი კადაფი გაჯიუტდა. ურჩთა მოსარჯულებლად დიქტატორს თავისი მეთოდები აქვს, მაგრამ საკუთარ შვილზე ხომ არ გამოცდიდა? ამიტომ მან ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და მემკვიდრეს იტალიიდან მწვრთნელი გამოუწერა. ეუჯენიო ბერსოლინის (იტალიელი სპეციალისტის სახელია) თავის დროზე „ინტერშიც“ კი უმუშავია. შესაბამისად კარგი და ცუდი ფეხბურთელების ერთმანეთისგან გარჩევაც შეეძლო. მაგრამ ბერსოლინის მუამარ კადაფის ხუშტურების ამბავი გაგონილი ჰქონდა. ჭკვიანმა იტალიელმაც დიდ დიქტატორს დიპლომატიურად უთხრა, ისეთი პოტენციის (საფეხბურთო პოტენცია იგულისხმება) მქონე ბიჭი შენი შვილი რომ არის, არსად შემხვედრია, ოღონდ მასთან ბევრი მუშაობაა საჭიროო. კადაფის შვილს მინდორზე ბურთისართმევას ვინ გაუბედავდა, ამიტომ მის ერთადერთ ნაკლად დაბალი სისწრაფე მიიჩნიეს. მოსიყვარულე მამამ თავის ვეზირებს უმალ დაავალა, ისეთი ვინმე მომგვარეთ, ქარზე უსწრაფესად დაქროდესო. ვეზირები ბენ ჯონსონს მიადგნენ. შეეხვეწნენ, თუ არ ჩამოხვალ, მამა და მარჩენალი თავებს დაგვაყრევინებსო. უსაქმოდ მყოფ კანადელ სპრინტერს ვეზირები შეეცოდა თუ გვარიან ანაზღაურებას დახარბდა, მემატიანე ამის თაობაზე დუმს. ყოველ შემთხვევაში, ჯონსონი თავის ისტორიულ სამშობლოს — აფრიკას დაუბრუნდა. აი, ეს ისტორია გვეწერა „სარბიელში“. ახლა კი ამ ამბის გაგრძელებაც ვნახოთ.

საერთაშორისო იზოლაციიდან თავდაღწეული ლიბია ფიფამ თავის წევრად აღადგინა. შესაბამისად, 7 დეკემბერს ტოკიოში გამართულ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრისას ერთ-ერთ ბურთულაზე ჩადებულ ქაღალდზე ამ ქვეყნის სახელიც ეწერა. პირველ ეტაპზე ლიბიის მეტოქე მალის ნაკრები იქნება. შემდეგ წრეში კი... თუმცა არა, სპეციალისტთა აზრით, ლიბიამ მალის ბარიერი ვერ უნდა გადალახოს. მაგრამ კადაფის ამის შესახებ ვინ ეტყვის? პასუხი მარტივია, ვერავინ. ამიტომაც, დიქტატორს თავისი ფეხბურთელები უძლეველნი რომ ჰგონია, ნაკრების მთავარი მწვრთნელიც სათანადო უნდა. ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელთ, კადაფის საყვარელი ფეხბურთელი ჰყავს — დიეგო არმანდო მარადონა. მგონი, სადღაც წაუკითხავს, მარადონა 1986 წელს მსოფლიოს ჩემპიონი რომ გახდა. ჰოდა, უკითხავს, მარადონას მწვრთნელი რად უნდა, მაგრამ მაინც ვინ ავარჯიშებდაო? უპასუხეს, კარლოს ბილარდოო.

როდესაც ტრიპოლიში, პრეზიდენტის სასახლეში, ეს საუბარი მიმდინარეობდა, შორეულ ბუენოს აირესში კარლოს ბილარდო თავის სამუშაო კაბინეტში ჩაფიქრებული იჯდა. საფიქრალი კი ლვანლმოსილ მწვრთნელს მართლაც რომ ჰქონდა. საქმე ისაა, რომ ბილარდოს არგენტინის პრეზიდენტობა სურს. არგენტინელმა ხალხმა თავისი არჩევანი ახლახან გააკეთა, პრეზიდენტმა ფერნანდო დე ლა რუამ (რომელიც ყველა არგენტინელის მსგავსად, ფეხბურთის დიდი თაყვანისმცემელია), 10 დეკემბერს ქვეყნის და ხალხის წინაშე ერთგულების ფიცი დადო. შესაბამისად, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე მთელი ოთხი წელია დარჩენილი. ბილარდო კი თადარიგის დაჭერას აქედანვე აპირებს.

მოგეხსენებათ, საარჩევნო კამპანიის წარმართვა დიდ ფულს მოითხოვს. რა ოდენობის ჰონორარი მიიღო ბილარდომ ცამეტი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებისთვის, არ ვიცი. ისე მგონია, რომ ის ფული დიდი ხნის წინ უნდა ჰქონდეს დახარჯული. ალბათ, მიხვდით, თავის სამუშაო ოთახში მჯდომი კარლოს ბილარდო სწორედ ფულის შოვნის წყაროებზე ფიქრობდა. ეს მეტად სასარგებლო საქმე ანუ ფიქრი სატელეფონო ზარმა გააწყვეტინა. საერთაშორისოა — ჩაილაპარაკა თავისთვის ბილარდომ. არც შემცდარა.

არაბული აქცენტის მქონე უცნობმა მამაკაცმა მას მუამარ კადაფის სურვილი გააცნო. წავიდე თუ არ წავიდე — კვლავ ჩაფიქრდა პრეზიდენტობის კანდიდატი. ძნელია მიატოვო სახლი, წახვიდე უცხო ქვეყანაში, სადაც ყოველი ქუჩის კუთხეში ჩასაფრებული ტერორისტი გელოდება, ჩაიბარო ნაკრები, რომელიც ჩემპიონი ვერასდროს გახდება. მაგრამ, ფული?! თუ კარგად გადაიხდიან, რატომაც არა?

ბილარდო ლიბიაში მიდის. ის კადაფის ორ მოთხოვნას წაუყენებს. ერთი ძალიან მაღალი ხელფასია. მეორეც, ბილარდო საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად თვეში ერთი კვირით სამშობლოში უნდა დაბრუნდეს. თუ ლიბიელები დათანხმდნენ, ბილარდო მუშაობას 4 იანვრიდან შეუდგება. ლიბიური ფეხბურთის განვითარების რა გითხრათ, მაგრამ ბილარდო თავის გაპრეზიდენტებაში დარწმუნებულია. ის ამბობს: „არგენტინაში ორი ურთულესი თანამდებობაა — ეკონომიკის მინისტრობა და ეროვნული ნაკრების მწვრთნელობა“. როგორც ჩანს, ახალგამომცხვარი პოლიტიკური მოღვაწე პრეზიდენტობას ასეთად არ თვლის.

ქვესათაურში კიდევ რამდენიმე პიროვნების სახელია, აქამდე რომ არ გვიხსენებია. ხუან პერონი არგენტინის პრეზიდენტი იყო. ევა პერონი, ქალიშვილობაში დუარტე, მისი მეუღლე გახლდათ. არგენტინის მსოფლიოს ჩემპიონატამდე ცოტაოდენი ხნით ადრე ქვეყანაში სამხედრო გადატრიალება მოხდა და პერონებიც ხელისუფლებას ჩამოაცილეს. მათი სიკვდილის შემდეგ არგენტინაში მათი კურსის მომხრე — პერონისტული პარტია შეიქმნა, რომლის წევრიც კარლოს ბილარდოა. კომპოზიტორმა ენდრიუ ლოიდ ვებერმა მათ ცხოვრებაზე როკ-ოპერა „ევიტა“ დაწერა. შემდეგ ალან პარკერმა მისი ეკრანიზაციაც განახორციელა, სადაც ევა პერონის როლს მადონა ასრულებს.

**გიორგი დარჯანია**

## ბელგია

### თასის მერვედფინალის წილისყრა

18 დეკემბერი

ანტვერპენი (I) — ლიერსი, ლოკერენი — მეხელენი, მუსკრონი — სენტ ტრუიდენი

19 დეკემბერი

მონსი (III) — ლომელი, ვარეგემი (IV) — გენტი, გენკი — ინგელმუნსტერი (II)

## იტალია

### თასის მერვედფინალი

საპასუხო მატჩი

***იუვენტუსი* 1:0 ნაპოლი (3:1)**

1:0 ესნაიდერი (26)

## ამხანაგური მატჩი

**საბერძნეთი 2:0 მოლდოვა**

1:0 გეორგიადისი (62), 2:0 ფრანცესკოსი (64)

საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, გუმასი, მავროგენიდისი, ლიბეროპულოსი, ამანატიდისი, ფრანცესკოსი, პურსანიდისი, გეორგიადისი, კიპარისისი, ანცასი, ვენეტიდისი

შეცვლაზე შევიდნენ: დაბიზასი, ბასინასი, მარკოსი, სტოლტიდისი, ხუტოსი, უზუნიდისი

მოლდოვა: დინოვი, კოვარელკო, კატინსუსი, გუზუნი, ოპრეა, ბორეცი, კაპირსუსი, მიტერევი, ბელოუსი, ფისტიკანი, კლეშჩენკო

შეცვლაზე შევიდნენ: რომანენკო, გატსიუ, ლუგი, რუზნეკი

# დროა, შევისვენოთ

შობა-ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით ევროპის ბევრი საფეხბურთო ქვეყანა შეისვენებს. ქვემოთ გთავაზობთ ცხრილს, სადაც მოცემულია ზოგიერთ ჩემპიონატში ზამთრის არდადეგების დაწყებისა და დასრულების თარიღები:

| | | |
|---|---|---|
| ავსტრია | 30 ნოემბერი | 1 მარტი |
| ბელგია | 15 დეკემბერი | 12 იანვარი |
| გერმანია | 19 დეკემბერი | 5 თებერვალი |
| დანია | — | 12 მარტი (ახალი სეზონი) |
| ესპანეთი | 22 დეკემბერი | 5 იანვარი |
| თურქეთი | 26 დეკემბერი | 7 იანვარი |
| ინგლისი | შესვენება არ აქვს | |
| იტალია | 19 დეკემბერი | 6 იანვარი |
| ლიტვა | — | 25 მარტი (ახალი სეზონი) |
| ნორვეგია | — | 9 აპრილი (ახალი სეზონი) |
| პოლონეთი | 7 ნოემბერი | 5 მარტი |
| პორტუგალია | 19 დეკემბერი | 10 იანვარი |
| საფრანგეთი | 19 დეკემბერი | 18 იანვარი |
| უკრაინა | 3 დეკემბერი | 19 მარტი |
| უნგრეთი | 18 დეკემბერი | 1 მარტი |
| შოტლანდია | 27 დეკემბერი | 22 იანვარი |
| შვედეთი | — | შუა აპრილს (ახალი სეზონი) |
| შვეიცარია | 12 დეკემბერი | 11 მარტი |
| ჩეხეთი | 5 დეკემბერი | 18 თებერვალი |
| ჰოლანდია | 21 დეკემბერი | 1 თებერვალი |


## იყიდება

ოროთახიანი, ორაივნიანი ბინა
დიდ დიღომში, მე-3 მიკრორაიონის
დასაწყისში, მე-6 სართულზე



☎ 66 48 12

# ეშმაკებთან მინდა ყოფნა

„მანჩესტერ იუნაიტედში“ მოასპარეზე იტალიელი მეკარე მასიმო ტაიბი, „ოლდ ტრეფორდის“ გულშემატკივარს უკვე კარგა ხანია, არ უნახავს. უფრო ზუსტად, ბოლო შეხვედრა მან ოქტომბრის თვეში ჩაატარა „ჩელსის“ წინააღმდეგ და არცთუ სახარბიელოდ — ხუთი უპასუხო გოლი გაუშვა. არადა, სეზონის დასაწყისში იტალიური „ვენეციიდან“ ნისლიან ალბიონზე 4,5 მილიონ გირვანქად გადაბარგებულ გოლკიპერზე ალექს ფერგიუსონი დიდ იმედებს ამყარებდა. მემკვიდრეობა ტაიბის ნამდვილად სასახელო დახვდა, მას ხომ ლეგენდარული პეტერ შმაიხელის წასვლის შემდეგ უნდა დაეცვა „წითელ ეშმაკთა“ კარი.

„მანჩესტერმა“ ტაიბის შეძენამდე „ასტონ ვილადან“ ავსტრალიელი მეკარე მარკ ბოსნიჩი გადაიბირა, რომელიც აგრეთვე საკმაოდ ძლიერად ასპარეზობდა. მათ გუნდში კიდევ ჰოლანდიელი რაიმონდ ვან დერ გოუ დახვდათ. ასე რომ, გოლკიპერებს შორის წამდვილი ჯანსაღი კონკურენცია გაჩაღდა.

სანამ გუნდს შეეჩვეოდა, ტაიბიმ შეხვედრებში ერთიორი შეცდომა დაუშვა და ადგილი დროებით დაკარგა. ინგლისურ პრესას ეს უნდოდა? წამსვე ალაპარაკდა — მასიმო გუნდიდან წასვლას აპირებსო...

„ჭორებია, არსადაც არ ვაპირებ წასვლას. მანჩესტერში თავს მშვენივრად ვგრძნობ, ჩემი ოჯახი ბედნიერია. ასე რომ, არავითარი პრობლემა არ მაქვს — აცხადებს თავად მასიმო — ერთადერთი, რაც მისტერ ფერგიუსონს ვთხოვე, ის იყო, რომ ცოტა ხნით იტალიაში გავეშვი, რადგან გუნდს ჩემპიონთა ლიგის მატჩი ელოდა „ვალენსიასთან“ (შეგახსენებთ, რომ ტაიბის ლიგაში თამაშის უფლება მარტამდე არა აქვს), შაბათ-კვირას კი გუნდს პრემიერლიგის ტური არ ჰქონდა.“

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში, ტაიბიმ გუნდში ადგილის დამკვიდრებასთან დაკავშირებით ოპტიმიზმი გამოთქვა: „ვგრძნობ, პრობლემა უახლოეს პერიოდში მოიხსნება. გაზაფხულიდან ჩემპიონთა ლიგაში თამაში შემეძლება, თანაც ფორმას ალვიდგენ. ასე რომ, ჭორები იმის შესახებ, თითქოს გუნდის დატოვებას ვაპირებ, სიმართლეს არ შეეფერება.“



მასიმო ტაიბი

# სამი ქვეყნის მოქალაქე

წლეულს „ბარსელონა“ დაარსებიდან 100 წლისთავს აღნიშნავს. სწორედ ამ თარიღს მიეძღვნა გულშემატკივართა გამოკითხვა, რომელმაც კატალონიური კლუბის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი გამოავლინა. ბევრისდა მოულოდნელად, ეს საპატიო წოდება წილად ხვდა წარმოშობით უნგრელ ლასლო კუბალას, რომელიც „ბარსაში“ 50-იან წლებში ასპარეზობდა. გამოკითხვაში მან თვით იოჰან კრუიფსა და დიეგო მარადონას აჯობა, რომლებმაც შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები გაინაწილეს.

ახალი თაობისთვის კუბალას სახელი თითქმის უცნობია. მაინც ვინ იყო იგი, „ბარსას“ საუკუნის რჩეული? მივყვეთ თანმიმდევრობით. ლასლო 1927 წლის 10 ივნისს დაიბადა ბუდაპეშტში. მამა წარმოშობით უნგრელი ჰყავდა, დედა — ჩეხი. ფეხბურთის თამაში 12 წლისამ დაიწყო. მისი პირველი გუნდი ადგილობრივი „განცი“ გახლდათ, რომელიც მესამე ლიგაში ასპარეზობდა და მეტალურგიულ ქარხანას წარმოადგენდა. ერთ-ერთი სადებიუტო თამაშის დროს კუბალამ ორი ბურთი გაუტანა ცნობილ მტკ-ს და საყოველთაო დაინტერესება გამოიწვია. კუბალამ ყველას „ფერენცვაროში“ არჩია და მის რიგებში ჩაირიცხა.

ლასლო სულ 18 წლის იყო, როცა უნგრეთის ეროვნულ ნაკრებში მიიწვიეს. მალე მამა გარდაეცვალა და დედას ბრატისლავაში გაჰყვა, სადაც ცოლად შეირთო ჩეხოსლოვაკიის მაშინდელი ნაკრების მწვრთნელის და, ანა ვიოლა. მალე შვილიც შეეძინა. ერთი შეხედვით ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ სამშობლოს ნოსტალგიამ ისევ ბუდაპეშტში დააბრუნა. ბუდაპეშტი კი კომუნისტების ხელში მოხვედრილიყო და ერთობ შეცვლილი დახვდა. მცირე ხანს „ვაშაშის“ მაისურით იასპარეზა, მაგრამ პოლიტიკური ვითარებით შეწუხებული, მალე ავსტრიაში გადაიპარა. დიდ ხანს არც იქ გაჩერებულა და აპენინებს მიაშურა, სადაც მისი მეუღლე და შვილი იმყოფებოდნენ. ერთ უმნიშვნელო იტალიურ კლუბში ჩაირიცხა და მალე აღიარებაც მოიპოვა. როცა მისით სერიოზული კლუბები დაინტერესდნენ, ადგილობრივმა ფეხბურთის ფედერაციამ აპენინებზე თამაში აუკრძალა პოლიტიკური შეხედულებების გამო. კუბალამ იძულებით დატოვა იტალია.

ბედმა ის ესპანეთში მიიყვანა და „ბარსელონასა“ და მადრიდის „რეალის“ ინტერესიც გაალვიძა. ამ ორს შორის უფრო მოხერხებული „ბარსა“ აღმოჩნდა. კლუბის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ენრიკე დაუდეტმა, მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის დადგენილებით ორწლიანი დისკვალიფიკაცია ჰქონდა მისჯილი, კუბალასთან კონტრაქტი გააფორმა.

„ბარსელონაში“ კუბალა 1951-60 წლებში თამაშობდა. 329 მატჩში 243 ბურთი გაიტანა. ოთხჯერ ესპანეთის ჩემპიონობა, ხუთჯერ ქვეყნის და ორჯერაც უეფას თასი მოიპოვა.

მაინც რითი გამოირჩეოდა კუბალა? სპეციალისტთა აზრით, მას უზადო ტექნიკა, შესაშური ფიზიკური მომზადება და ძლიერი დარტყმა ჰქონდა. ერთი პირობა, კუბალას ლეგენდარული ალფრედო დი სტეფანოს უშუალო კონკურენტადაც კი მიიჩნევდნენ. თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ კუბალამ საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოამჟღავნა.

ამ წარმატებების კვალად, კუბალამ ესპანეთის მოქალაქეობა მიიღო და იქაური ნაკრების მაისურაც მოირგო. შემდეგ ჯერ შვეიცარიაში, შემდგომ კი ოკეანის გაღმა, კანადაში გადასახლდა და მწვრთნელობას მიჰყო ხელი.

კუბალა კიდევ ერთი უნიკალური ისტორიითაა ცნობილი. კარიერის მანძილზე მან სამი ეროვნული ნაკრების (უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და ესპანეთის) ღირსება დაიცვა...

როცა გამოკითხვის შედეგები აცნობეს, 72 წლის ბერიკაცმა აღტაცება ვერ დაფარა: „გაოცებული და მადლობელი ვარ. „ბარსელონას“ ქომაგებს კიდევ ვახსოვარ და ეს ჩემთვის ყველაზე მთავარია“.

**გუერინ სპორტივო**

**თარგმნა მიხეილ ბერძენიშვილმა**



GUERIN SPORTIVO

ლასლო კუბალა



**ესპანური** მადრიდის „რეალის“ ინგლისელმა ნახევარმცველმა სტივ მაკმანამანმა საბოლოოდ მოიშუშა ტრავმა, რომელიც სექტემბრის თვეში, პორტუგალიურ „პორტუს“ წინააღმდეგ მატჩში მიიღო და აცხადებს, რომ მზადაა, თავის კლუბს დაეხმაროს. ერთი პერიოდი ინგლისელი ნოემბრის თვეშიც გამოჩნდა გუნდის შემადგენლობაში, თუმც მიღებული ტრავმა აშკარად ეტყობოდა. „ახლა კარგ ფორმაში ვარ, მოვმჯობინდი და შემიძლია, გუნდს დავეხმარო. ერთადერთი პრობლემა ამჟამად „რეალის“ უსუსური ასპარეზობა გახლავთ, ახლა ჩვენ მხოლოდ გამარჯვებები გვჭირდება, რასაც ყოველ მხრივ ვეცდებით“ — განაცხადა მაკმანამანმა ერთ-ერთ ინტერვიუში.

**გერმანული ბერლინის „ჰერტას“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ვეტერანი მცველი ტომას ჰელმერი, რომელიც მათ ინგლისური „სანდერლენდიდან“ აგვისტოში ითხოვეს, ამიერიდან აღარ ესაჭიროებათ და დაახლოებით 31 დეკემბრისთვის შეუწყვეტენ კონტრაქტს. მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ 34 წლის ჰელმერმა ტრავმა მიიღო და თამაშს დაახლოებით თებერვლამდე ვერ შეძლებს, კონტრაქტის თანახმად ჰელმერს ბერლინურ კლუბში 2000 წლის 30 ივნისამდე უნდა ესასპარეზა. შეგახსენებთ, რომ მიუნხენის „ბაიერნის“ ყოფილ კაპიტანს ქვეყნის ეროვნულ გუნდში 63 შეხვედრა ჩაუტარებია. შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მან საბოლოოდ დაასრულა თავისი სანაკრებო კარიერა.**

**გერმანული** „შალკეს“ ხელმძღანელობამ გუნდის ჩეხ ფეხბურთელ ირჟი ნემეცს სეზონის ბოლომდე გერმანიაში დარჩენა შესთავაზა. ფეხბურთელი წლის ბოლოს სამშობლოში, კერძოდ პრაღის „სპარტაში“ დაბრუნებას აპირებდა. „ჩვენ შევთანხმდით, რომ ირჟი სეზონის ბოლოს თავისუფალი ტრანსფერით დატოვებს „შალკეს“. მანამდე იგი გუნდში დარჩება“ — განაცხადა კლუბის პრესატაშემ. ჩეხურ გუნდს 33 წლის ნემეცის დაბრუნება სურს. იგი ვიდრე „შალკეში“ გადავიდოდა, 1990 წლიდან 1993 წლამდე სწორედ „სპარტას“ ღირსებას იცავდა.

**ნიგერიის სპორტის მინისტრმა დამიში რანგომ განაცხადა, რომ თუ ქვეყნის ეროვნული ნაკრები იანვარში გასამართ აფრიკის ქვეყნების თასზე უხეიროდ იასპარეზებს, ამას ფეხბურთის ზოგიერთი მაღალჩინოსანი შეეწირება. ტელევიზიით გამოსვლისას მინისტრმა განაცხადა, თასი თუ არა, გუნდმა ნახევარფინალის საგზური მაინც უნდა მოიპოვოსო. „პრეზიდენტი ოლისეგულ ობასანიო ნაკრების წარუმატებლობას არ მაპატიებს, ასე რომ, ზოგიერთი საფეხბურთო დიდმოხელის დათხოვნა მომიწევს“ — აცხადებს რანგო. გუნდის მთავარი მწვრთნელის, ბონფრერეს მიერ დასახელებული 22 ფეხბურთელი მოსამზადებელ პერიოდს ესპანეთის ქალაქ მალაგაში გაივლის. შეგახსენებთ, რომ ტურნირი მომავალი წლის 22 იანვარს დაიწყება.**

**იუგოსლაველ** მცველ რისტო ვიდაკოვიჩს, თითქმის 21 თვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ვარჯიშის განახლების საშუალება მიეცა. მას საკმაოდ სერიოზული ტრავმა აწუხებდა და შიშობდნენ, რომ კარიერას ვერ გააგრძელებდა. მას შემდეგ, რაც ექიმებმა 30 წლის ფეხბურთელს ვარჯიშის უფლება მისცეს, მისმა კლუბმა, ესპანურმა „რეალ ბეტისმა“, კვლავ შეიყვანა ოფიციალურ განაცხადში. „ტრავმის პერიოდში ვშიშობდი, რომ ველარ ვითამაშებდი, მაგრამ ახლა გახარებული ვარ, ყველაფერი სასიკეთოდ ჩაიარა“ — განაცხადა წარმოშობით ბოსნიელმა ვიდაკოვიჩმა.

**რუსეთის პირველი დივიზიონიდან გასულ სეზონში გავარდნილ იაროსლავლის „შინიკს“ მოსკოვის „დინამოდან“ გათავისუფლებული ალექსეი პეტრუშინი ჩაუდგა სათავეში. „უკანასკნელი 12 თვის მანძილზე გუნდი კვლავ პირველ დივიზიონში დავაბრუნო“ — განაცხადა ახალდანიშნულმა თავკაცმა.**

**გერმანიის** ნაკრების ყოფილმა მეკარემ ჰარალდ „ტონი“ შუმახერმა, რომელიც მეორედივიზიონულ „ფორტუნას“ ედგა სათავეში, წარუმატებელი მოღვაწეობის გამო პოსტი დაკარგა. ამჟამად კლუბი სასტიკ კრიზისში იმყოფება და კლუბის პრეზიდენტმა ამ ყველაფერში მთავარი მწვრთნელი დაადანაშაულა. სახელოვანმა გოლკიპერმა ნაკრების რიგებში 1980 წელს ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. 45 წლის შუმახერი „ფორტუნას“ გასული წლის ივლისიდან ავარჯიშებდა.

**ბულგარეთის ჩემპიონი „ლოვეჩი“ საკუთარ სტადიონზე მომდევნო შვიდ შეხვედრას ველარ ჩაატარებს. ფედერაციამ გუნდს სასჯელი მას შემდეგ გამოუტანა, რაც კლუბის, სპონსორმა გრიშა განჩევმა სათასო მატჩის დროს მთავარი არბიტრი გალახა. „ლოვეჩმა“ პირველ თამაში სოფიის „ლევსკის“ 3:1 მოუგო, თუმცა საპასუხოში 0:2 დამარცხდა. გარდა სადისციპლინო სასჯელისა, გუნდს 1500 დოლარის გადახდა დაეკისრა. „ლოვეჩის“ საშინაო დისკვალიფიკაცია ზამთრის არდადეგების შემდეგ განხორციელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მიმდინარე სეზონში კლუბი საკუთარ სტადიონზე ველარ იასპარეზებს. ამჟამად „ლოვეჩი“ ცხრილში მე-6 პოზიციაზე იმყოფება და ლიდერ „ლევსკის“ 15 ქულით ჩამორჩება. კლუბს არავითარი ინფორმაცია არ გაუვრცელებია იმის თაობაზე, აპირებს თუ არა განაჩენის გასაჩივრებას.**

**იტალიური** „პერუჯას“ ხელმძღვანელოამ არავითარი კომენტარის გაკეთება არ ისურვა გუნდის ერთ-ერთი მოთამაშის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟის შესახებ. „მივიღეთ ინფორმაცია, რომ გუნდის ერთ-ერთი წევრის დოპინგ-ტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა. ფეხბურთელის გვარს დანამდვილებით ვერ გეტყვით, კომენტარისგან თავს ვიკავებ. შემოწმების მეორე ტურს დაველოდოთ და ვნახოთ“ — განაცხადა „პერუჯას“ თავმჯდომარე ლუჩანო გაუჩიმ. 21 ნოემბერს, „ფიორენტინასთან“ მატჩის შემდეგ, გამოკვლევა მეკარე ანჯელო პაგოტოსა და იაპონელ ლეგიონერ ჰიდეტოში ნაკატასაც ჩაუტარდათ. განმეორებითი ტესტ-ტურის შედეგებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შესაბამისი სამსახური ახალ წლამდე გამოაქვეყნებს.

# ვიალის სასჯელი

**ალბათ** გახსოვთ, ჩემპიონთა ლიგის უკანასკნელ მატჩში ინგლისური „ჩელსი“ რომის „ლაციოს“ ხვდებოდა, ეს მატჩი დიდი ვერაფერი სანახაობა გამოდგა და უგოლოდაც დასრულდა. ყველაზე საინტერესო მომენტი მწვანე გაზონის გარეთ — „ჩელსის სამწვრთნელო სკამზე შეიქმნა, როდესაც ინგლისელთა თავკაცი ჯანლუკა ვიალი უეფას ოფიციალურ დელეგატთან შელაპარაკების გამო მთავარმა არბიტრმა, ჰელმუტ კრუგმა გასახდელში მიაბრძანა. შემდეგ შეხვედრის დარჩენილ ნაწილს ვიალი ეკრანიდან ადევნებდა თვალყურს. ამის შესახებ უეფამ იმსჯელა და დაადგინა, რომ „ჩელსის“ თავკაცს მარტში მარსელის „ოლიმპიკთან“ შეხვედრის ხილვა სტადიონის ტრიბუნებიდან მოუწევს.

# საქმის გარჩევა თურქულად

თურქეთში მეტად უსიამოვნო ამბავი მოხდა. ქვეყნის თასის გათამაშებაში „ფენერბაჰჩე" შინ 1:2 დამარცხდა. მისი მეტოქე მეორედივიზიონელი „ფენდიქსფორი" იყო. მატჩის შემდეგ განრისხებული სტამბოლელი გულშემატკივრები თავის მეკარე რუშთუ რექბერს თავს დაესხნენ, მისი მანქანა დაამტვრიეს. იგი მძიმე დაზიანებებით ჰოსპიტალში მოხვდა. „ფენერბაჰჩეს" დანარჩენი ფეხბურთელები გადარჩნენ, თუმცა გვარიანი შიში ჭამეს. ვაი-ქომაგები მათ დამუქრებიან, თუ კიდევ წააგებთ, უარესად გაგისწორდებითო. შემაშფოთებელია ისიც, რომ სტადიონის მახლობლად, სადაც რუშთუ სცემეს, უამრავი ხალხი იმყოფებოდა, მაგრამ ფეხბურთელის დაცვა ვერავინ გაბედა.

ამ ფაქტს პირველი „ფენერბაჰჩეს" რუმინელი ლეგიონერი ვიორელ მოლდოვანი გამოეხმაურა. მან თქვა: „სტამბოლში ერთი დღეც აღარ გავჩერდები. ჩემი მეუღლე ახლა სამშობიაროში იმყოფება და შვილს ველოდებით. არ მსურს, ხულიგნებმა, რომლებიც თავიანთ თავს გულშემატკივრებს უწოდებენ, რაიმე ზიანი მოგვაყენონ. ისიც დავინახე, რომ უსაფრთხოების არანაირი გარანტია არ არსებობს, ამიტომ კლუბის წინაშე ვალდებულებებს ვიხსნი და აქედან წასვლას ვაპირებ".

მოლდოვანი მართალია. როდესაც ოჯახს ემუქრებიან და დამცველიც არავინაა, კონტრაქტი რა სახსენებელია.


დევიდ ბექემი

# თვალში ნუ გვეჩხირები

დევიდ ბექემი ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელი ვერ გახდა. „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველს ბევრი მიიჩნევდა წოდების უპირველეს კანდიდატად, მაგრამ, როგორც 365-მა შეიტყო, მას ბრაზილიელმა სუპერვარსკვლავმა, რივალდომ აჯობა.

„ფრანს ფუტბოლის" ჩატარებულ გამოკითხვაში, რომელშიც ევროპელი ჟურნალისტები მონაწილეობდნენ, (ოფიციალური შედეგები სამშაბათს გამოქვეყნდება) პირველ ადგილზე სწორედ რივალდო გასულა, ხოლ მეორე ინგლისელს რგებია.

როგორც ამბობენ, ბექემმა ეს დამარცხება ერთობ განიცადა. მას ხომ შეეძლო გამხდარიყო „ოქროს ბურთის" პირველი ინგლისელი მფლობელი კევინ კიგანის (1978, 1979) შემდეგ. კიგანმა ამ დიდ აღიარებას გერმანულ „ჰამბურგში" თამაშის დროს მიაღწია.

ჟურნალ „უორლდ სოკერის" რედაქტორი გევინ ჰამილტონი ცდილობს ამოიცნოს ის მიზეზები, რომელთა გამო „ოლდ ტრეფორდის" გმირმა ვერ შეძლო კონტინენტის ჟურნალისტთა უმთავრესი სიმპატიის მოპოვება. ის ამბობს:

„ვგონებ მიზეზი ორი უნდა იყოს. პირველი იმიჯი გახლავთ. ბექემი ცოტა არ იყოს თვალშია გაჩხერილი. ხალხს, რომელმაც ხმა არ მისცა, აღიზიანებს მისი უზარმაზარი შემოსავალი და მოედანს გარე ცხოვრების წესი. მეორეც, მართალია ის ჩინებულად აწვდის ბურთს საჯარიმოში და კარშიც ბრწყინვალედ არტყამს, მაგრამ მარჯვენა ფრთაზეა გადატყორცნილი და ამიტომ შეხვედრებში თითქოს შეზღუდულად არის ჩართული. შთაბეჭდილების მოსახდენად ბექემი ცენტრში უნდა თამაშობდეს, თუმცა ეს ფუნქცია ჩემპიონთა თასის ფინალში რომ დააკისრეს, მაინცდამაინც ვერ გაართვა თავი.

რაც შეეხება რივალდოს, მისთვის გადამწყვეტი „კოპა ამერიკა" და „ბარსელონას" შემადგენლობაში აშკარა ლიდერის ფუნქცია გახლდათ. რივალდოსაც აქვს მისადმი დამოკიდებულების პრობლემები, მაგრამ 1999 წელს ნებისმიერ სხვა ფეხბურთელზე მეტი შეძლო. იგი გაცილებით უფრო სრულყოფილი ფეხბურთელია, ვიდრე დევიდ ბექემი".

**იან ძრუზი 365**

# ქინქლაძეს ახალი თანაგუნდელი ჰყავს

„დერბი ქაუნთის" ქართველ ლეგიონერს, გიორგი ქინქლაძეს ახალი თანაგუნდელი ჰყავს. კლუბის მენეჯერმა ჯიმ სმიტმა გასულ კვირას ბელგიაში იმოგზაურა და 3 მილიონ გირვანქად „გენკიდან" 29 წლის ბრანკო შტრუპარი აიყვანა.

ეს ნატურალიზებული ხორვატი ფეხბურთელია, რომელიც „გენკმა" ზაგრების „კროაციადან" შეიძინა. შემდეგ შტრუპარმა მოქალაქეობა შეიცვალა და ახლა ბელგიის ნაკრებში თამაშობს. შარშან მან 22 გოლი გაიტანა, სულ კი „გენკის" რიგებში 120 ბურთი შეუგდია. შტრუპარი ტანმაღალი თავდამსხმელია — 190 სანტიმეტრია.

სმიტს იმედი აქვს, რომ მისი დებიუტი 18 დეკემბერს შედგება.

ამ დღეს აუტსაიდერი „დერბი" ალმასვლის გზაზე მდგომ „ლესტერ სიტის" სტუმრობს. „ლესტერი" 29 ქულით მეექვსე ადგილზეა, „დერბის" კი 12 ქულით მეთვრამეტე ადგილი უჭირავს.

**სიმონ მენაბდე**

# ვუიადინ ბებერი

კვირას, ბრიუსელში გამართულ ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრაზე იუგოსლავიის ნაკრების ბრძენი თავკაცი, ვუიადინ ბოშკოვი, ვინ იცის, ბევრს სიბერისგან გონდასუსტებულიც კი ეგონა. თავიდან ვერავინ მიხვდა იმ მოულოდნელი სიცილის მიზეზს, 68 წლის პროფესიონალს რომ აუტყდა. ყველაფერი მოგვიანებით გაირკვა, თავად ახსნა:

„დიდებულია. ისეთი ჯგუფი შეიკრა კაცს სიზმრიდან გადმოსულად მოგეჩვენება. მე იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელი გახლავართ და ესპანეთთან და სლოვენიასთან, ანუ ხოსე კამაჩოს და სრეჩკო კატანეცის გუნდებს უნდა შევეჯიბრო. ეს ბიჭები კი სხვადასხვა დროს ჩემი ფეხბურთელები იყვნენ. რომ იცოდეთ რამდენს ნიშნავს ეს.

კატანეცი და კამაჩო დიდებული მოთამაშეები იყვნენ. ვგონებ ისინი ძალიან კარგ მწვრთნელებადაც ჩამოყალიბდნენ. სწორედ ეს მახარებს ძალიან და ამიტომაც ვიღიმები. შეხედეთ ამ ორ ადამიანს დღეს. მათ რომ ვუყურებ, თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობ. ვამაყობ, რომ გუნდი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ ჩემი ყოფილი შეგირდების გუნდებს უნდა შეხვდეს".

კამაჩო, უკიდურესად გამოცდილი ფეხბურთელი, რომელსაც ესპანეთის ეროვნულ გუნდში 81 მატჩი აქვს ჩატარებული, იუგოსლავიელის ხელმძღვანელობით 1979-1982 წლებში მადრიდის „რეალში" თამაშობდა. კატანეცისგან განსხვავებით იგი თავშეკავებული ჩანდა, სლოვენმა კი სიამოვნებით აუბა ყოფილ დამრიგებელს მხარი.

კატანეცი ბოშკოვის შეგირდი 1989-92 წლებში, გენუის „სამპდორიაში" თამაშის დროს გახლდათ, სანამ ახალშექმნილ სლოვენიიის ეროვნულ გუნდში ითამაშებდა, მას იუგოსლავიის ნაკრებში 31-ჯერ მოუხდა გამოსვლა და ამ შეხვედრებში ხუთი გოლიც გაიტანა.



ვუიადინ ბოშკოვი

„მართლაც ძალიან უჩვეულო მდგომარეობაა. ბატონ ბოშკოვს კი ძალიან დიდ პატივს ვცემ, მაგრამ სლოვენია იუგოსლავიის წინააღმდეგ მხოლოდ მოსაგებად ითამაშებს" — თქვა მან, პედაგოგმა კი ხელი აიქნია და ესპანურ-იტალიურად საუბარი და სიცილი განაგრძო.

კატანეცის მსგავსად იგიც ოპტიმისტურად უყურებს ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპს, მაგრამ განვლილი ცხოვრება მაინც სხვა ხედვას ავალდებულებს. ბოშკოვი 1960 და 1968 წლებშიც ხელმძღვანელობდა იუგოსლავიის ნაკრებს, რომელიც ევროპის პირველობის შესარჩევი ჯგუფიდან გავიდა, მაგრამ შემდეგ დამარცხდა.

„ვიცი, რისი იმედიც უნდა მქონდეს" — ამბობს ის — „ჩვენ ძნელი ამოცანის წინაშე ვდგავართ, მაგრამ გული კარგს მიგრძნობს. ძალიან მინდა ფეხბურთელებმა შეჯიბრებით ისიამოვნონ, ითამაშონ, და გაერთონ. თავის გამოჩენისთვის ხომ ჩინებული საშუალება ეძლევათ. ჩემს გუნდში ბევრი საუცხოო ფეხბურთელია, რომლებიც მთელ ევროპაში გახლავან მიმოფანტული. ჩემი ერთადერთი პრობლემა მათი თავმოყრაა. ჩვენ ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება გვჭირდება. ძალიან მინდა პრედრაგ მიატოვიჩი გამოჯანმრთელდეს და მოემზადოს. ის ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი ფორვარდი და გუნდის წამყვანი მოთამაშეა".

მიატოვიჩი, მოგეხსენებათ ის ფეხბურთელია, რომელმაც ჩემპიონთა თასზე „რეალის" მეშვიდე ტრიუმფში დიდი წვლილი შეიტანა — გადამწყვეტი გოლი შეაგდო, დღეს კი იტალიურ „ფიორენტინაში" გამოდის. ამასწინათ მან მუხლი დაიზიანა და ოპერაცია გაუკეთეს.

„ქირურგმა მითხრა, რომ მან სულ მცირე სამი თვის განმავლობაში ბურთს ფეხი არ უნდა მიარტყას, მაგრამ მე ვიცი, რომ ის დიდი ფეხბურთელია და დაველოდები. შევხედოთ, იქნებ მაისში კარგად იყოს".

გამოჩინებულ კარიერაში ბოშკოვმა, რომელიც მარად გამოწკეპილი ჩაცმულობისთვის უჩვეულო ხასიათის, მოსაუბრეთ და უცნაურად ენთუზიასტი გახლავთ, ყველაფერი ნახა. საკლუბო ფეხბურთში მოღვაწეობა შვეიცარიულ „იანგ ფელთუზში", 1962-66" წლებში დაიწყო. შემდეგ მუშაობდა ჰოლანდიაში, იუგოსლავიაში, ესპანეთსა და იტალიაში, თან ისეთ სახელმოხვეჭილ კლუბებში, როგორებიც გახლავან „ფეიენოორდი", „რეალი", „რომა", „ნაპოლი" და სხვა. მისი ხელმძღვანელობით ეროვნული ჩემპიონატის ტიტული მოიპოვეს „ვოივოდინამ", „რეალმა" და „სამპდორიამ".

სწორედ ბოშკოვმა მიიყვანა ქვეყნის ჩემპიონის ტიტულთან კამაჩო და კატანეცი, თავად კი ფეხბურთელობის წლებში, 57-ჯერ მოირგო ეროვნული გუნდის მაისურა.

„დიახ, დღეს მოხუცი გახლავართ, მაგრამ ეს ბიჭები პირტიტველობის დროიდან მახსოვს. კამაჩო ყოველთვის თავდადებული იყო. მან ყოველთვის იცოდა, რა უნდოდა. იგი ფეხბურთში საუცხოოდ ერკვევა. ეჭვი არ მეპარება, რომ მისი გუნდი ჩინებულად იქნება ორგანიზებული, თუმცა მოგება, მოგეხსენებათ, ყველას შეუძლია.

ფეხბურთი... ფეხბურთია. ყველაფერი ხდება".

**ტიმოთი კოლინზი, როიტერი**

## საჭირბოროტო კითხვა-პასუხი

— ***როგორც იქნა, სამართალმა პური ჭამა.***

— რომელ საკითხში?

— ***რივალდოს საკითხში. ოქროს ბურთს აიღებსო...***

— მართალი ხარ. შარშან უნდა აელო ეგ ოქროს ბურთი.

— ***წელს ხომ მაინც იღებს?***

— წელს სხვას უნდა აელო, მარამ გაუშვი, მისცენ მაგას...

— ***სხვას ვის, ვერონს?***

— ვერონს არა, დერტისიას...

— ***აბა, მაშ, ბატისტუტას. ბატისტუტას კი ერგება მთელი თავისი ცხოვრებისთვის.***

— ბატისტუტას ხუთი წლის წინ ერგებოდა.

— ***აბა, მაშ ვისა?***

— ვისა და, იცი ვისაც...

— ***მაიცა, რა. თუ ძმა ხარ. ბურთის დაკრუჩონებისთვის შეიძლება კაცს ოქროს ბურთი მისცე?***

— ვერონისთვის იმეტებდი და...

— ***დალოცვილო, რივალდოს შარშან ერგებოდაო და ზიზუს რაღას უშვრები? მსოფლიო ჩემპიონი გახდა, გოლები შეაგდო...***

— ვეა როდის გახდა მსოფლიო ჩემპიონი?

— ***ეგ რა შუაშია?***

— კლინსმანს ერგებოდა და ვეას მისცეს. შირერს ერგებოდა და ზამერს მისცეს...

— ***შირერს არა და ენდი ტაუნსენდს ერგებოდა...***

— კანტონას არ მისცეს.

— ***კანტონასთვის რომ მიეცათ, მერე იბრაჰიმ ბასთვის და მაურო ტასოტისთვისაც უნდა მიეცათ.***

— ერთი დონეა, არა?

— ***ტყუილად ჰიჰყინებ, ბექემი რივალდოს ვერ ჯობია.***

— ასე მგონია, რომ ფეხბურთს მარტო ამ შემოდგომაზე უყურებ. გაზაფხულზე სად იყო რივალდო?

— ***მე რა ვიცი, სად იყო.***

— მე ვიცი. „კამპ ნოუზე" იჯდა და ბექემის თამაშს უყურებდა. კი, გალსტუკიც ეკეთა.

— ***ეგ რა შუაშია? აქ მასშტაბზეა ლაპარაკი.***

— კი, გასაგებია. „ოლდ ტრეფორდი" უფრო პატარაა, ვიდრე „კამპ ნოუ".

— ***შარიანი კაცის ლაპარაკს...***

— ზიზუ ჩემპიონი გახდაო. ბექემმა რაც მოიგო წელს...

— ***ეგრე სტანდარტულად ნუ მიუდგები. აი, ბექემი რომ კუთხურს აწვდის, ისე უდგები.***

— ნეტა ყველა ეგრე მიუდგეს. ჯერ ეს ერთი, რივალდო მეტად ნაზია.

— ***ნაზი კი არა, დახვეწილია.***

— ბოდიში, ბალეტზე არ ვფიქრობდი.

— ***ჩვენ ვერ შევთანხმდებით.***

— კაცისთვის შარშან უნდა მიეცათ და წელს აძლევენ. შარშან ზიზუმ გაიტანაო, გაგონილა?

— ***მაგ ლოგიკით გაისად ბექემს მისცემენ. ამიტომ დაწყნარდი.***

— გაისად... გაისად ფიგუს მისცემენ, ან კიდევ რომელიმე ჰოლანდიელს.

— ***რატომ.***

— ევროპის ჩემპიონატის ფინალში გაიტანს გოლს.

— ***და გაზა?***

— ჰმ!

— ***ეგებ თქვა, გაზასაც ერგებოდაო.***

— იყო დრო და მომენტი...

— ***მერე?***

— მერე, გულიტიო და ვილაცეებიო.

— ***ის ვილაცა ვან ბასტენი იყო.***

— მაგ კაცს ყოველ წელიწადს მივცემდი, მაგრამ რივალდოს რომ შარშან ეკუთვნოდა...

— ***რონალდოზე რას იტყვი?***

— აი, მაგან არია.

— ***რატომ?***

— მაშინ ბატისტუტას მივცემდი.

— ***ახლა?***

— ახლა, ბატისტუტა რომ ვიყო, აღარ ავიღებდი. პენსიაში რომ გადიხარ და სამსახურში რომ მაცივარს გჩუქნიან, ისე გამოვა.

# ძოფიდან ძოფამდე

GUERIN SPORTIVO



იტალია'82 — მარცხნიდან დგანან: დინო ძოფი, ფრანჩესკო გრაციანი, ჯუზეპე ბერგომი, გაეტანო შირეა, ფულვიო კოლოვატი, კლაუდიო ჯენტილე;
სხედან: ბრუნო კონტი, პაოლო როსი, გაბრიელე ორიალი, ანტონიო კაბრინი, მარკო ტარდელი

1982 წელს, ესპანეთში, იტალიამ მესამედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა. მაფიოზური ჰაბიტუსის მწვრთნელის, ენცო ბეარზოტის გუნდმა ტურნირის განმავლობაში საოცარი სახეცვლილება განიცადა — უსახურობიდან სრულყოფილებამდე ალზევდა და მსოფლიო თასიც ღირსეულად წაიღო შინ.

იმ გუნდის კაპიტანი „სკუადრა აძურას" ახლანდელი მწვრთნელი დინო ძოფი გახლდათ. „პაპა დინო" მაშინ 41 წლის იყო და დიდი წვლილი დაიდო თავისიანების გამარჯვებაში, ისევე, როგორც თოთხმეტი წლით ადრე. 1968 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში, შინ, „სტადიო ოლიმპიკოზე", იტალიელებმა ურთულესი ორრაუნდიანი ბრძოლა გადაიტანეს იუგოსლაველებთან (1:1, 2:0) და კონტინენტის ჩემპიონის ტიტული ირგუნეს. ახალგაზრდა ძოფმა უამრავი კომპლიმენტი დაიმსახურა. „მსაჯის საფინალო სასტვენისას ბურთი დინო ძოფს ეჭირა. ამ ბედნიერ ბურთთან ერთად ახალგაზრდა მეკარე მოედნის ცენტრისკენ გაიქცა, მაგრამ ამაოდ ეცადა, პარტნიორებისთვის ჩემპიონობა მიელოცა. მინდორი გულშემატკივრებს გაევსოთ და გამარჯვებულებს გასაქანს არ აძლევდნენ. რაღა გასაკვირია, რომ დაჯილდოების პროცედურაც აღარ გამართულა" — ასე აღწერენ იტალიელი ჟურნალისტები იუგოსლავიასთან გამარჯვების ამბავს, ანუ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ „სკუადრა აძურას" პირველ ტრიუმფს. თოთხმეტი წლის მერე დაახლოებით იგივე მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუს" სტადიონზე განმეორდა. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ „აძურას" კაპიტანმა დინო ძოფმა უპრობლემოდ ალმართა მსოფლიო თასი...

როგორც ყოველთვის, 82-შიც უცნაური გუნდი იყო იტალია. ჯგუფიდან ისე გავიდა, თამაში არ მოუგია და კამერუნს მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობით აჯობა. ჯგუფის ბოლო, მესამე მატჩს „აძურა" სწორედ კამერუნთან ატარებდა და რომ არა აფრიკელთა მეკარე ტომას ნკონოს საბედისწერო შეცდომა და ფრანჩესკო გრაციანის გოლი, ეგებ ტურნირი იმავე დღეს, ქალაქ ვიგოს სტადიონ „ბალაიდოსზე" დაემთავრებინა. ხოლო რაც შემდეგ მოხდა, ფანტასტიკას უფრო წააგავდა. „აძურა" უცებ გარდაიქმნა, აგრესიული და მწყობრი ფეხბურთის თამაში დაიწყო. არადა, მეორე ეტაპზე ჯგუფში არგენტინასთან და ბრაზილიასთან მოხვედრილთ აუტსაიდერის რეცეპტი წინასწარ გამოუწერეს.

არგენტინის ძლევის შემდეგ იტალია ბრაზილიას დაუპირისპირდა. ბრაზილიას, რომელსაც მანამდე ტურნირის ოთხივე მატჩი მოეგო, ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტად ითვლებოდა და ნახევარფინალში გასასვლელად „აძურასთან" ფრეც ჰყოფნიდა. ზიკო, სოკრატესი, ფალკაო და მათი პარტნიორები ულამაზეს ფეხბურთს უჩვენებდნენ ესპანეთის სტადიონებზე. მაგრამ ისინი ზედმეტმა თავდაჯერებამ და, რა თქმა უნდა, იტალიამ იმსხვერპლა. ბრუნო კონტის გონივრულმა დირიჟორობამ და პაოლო როსის სამმა გოლმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. „წაგების არ მეშინოდა, თუმცა ბრაზილია-იტალიის 1970 წლის მატჩი სულ მახსოვდა, მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე 4:1 რომ მოგვიგეს. ვიცოდი, უნდა გაგვემარჯვა და ამით საბოლოოდ დავივიწყებდი იმ დამცირებას. მცველებს ერთთავად შეტევისკენ მოვუწოდებდი. გაცილებით იოლია, როცა იცი, შენიანები მხოლოდ შეტევაზე და მოგებაზე რომ ფიქრობენ" — თქვა ნამატჩევს ძოფმა. სხვათა შორის, იმ დრამატულ და ისტორიულ შეხვედრაში მან რამდენიმე უძნელესი შეტევა მოიგერია. ბოლო წუთებზე კი როგორ შეაჩერა კარის ხაზთან სოკრატესის თავით დარტყმული ბურთი, დღემდე გამოცანად რჩება.

ზედმეტი თავდაჯერებისთვის იტალიამ მეორედ დასაჯა ბრაზილია. პირველად 1938 წლის საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში. მაშინ სამხრეთამერიკელები არაფრად აგდებდნენ იმას, რომ მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონებთან უნდა ეთამაშათ, რომ იტალიელებს ჰყავდათ ჯუზეპე მეაცა, სილვიო პიოლა და ჩინებული მწვრთნელი, ყოფილი ჟურნალისტი ვიტორიო პოცო. თამაში მარსელში დაინიშნა, ფინალი კი პარიზში უნდა გამართულიყო. ბრაზილიელებს იმდენად სჯეროდათ საკუთარი წარმატებისა, რომ პარიზის მიმართულებით თვითმფრინავის ბილეთები წინასწარვე შეუკვეთეს და ვინაიდან იმ დღეებში მხოლოდ ეს ერთი რეისი სრულდებოდა, ნამატჩევს იტალიელებს პარიზამდე მატარებლით მგზავრობა მოუხდათ, თანაც მთელ გუნდზე სულ ხუთი საწოლი ადგილი შეხვდათ...

თამაში კი იტალიელებმა ტექნიკურ ბრაზილიელებს ტაქტიკურად მოუგეს (2:1). მერე, ფინალში, კოლაუსისა და პიოლას ორ-ორი გოლით უნგრეთს 4:2 სძლიეს და ჟიულ რიმეს თასი ზედიზედ მეორედ მოიპოვეს.

დავუბრუნდეთ ისევ ესპანეთის ჩემპიონატს. ბრაზილიელთა ძლევის შემდეგ იტალიელების გამჩერებელი აღარავინ იყო. ნახევარფინალში „აძურამ" პოლონეთს (2:0), გადამწყვეტ მატჩში კი დასავლეთგერმანელებს მოუგო (3:1). ფინალში კიდევ ერთხელ გამოჩნდა იტალიელების კლასი. პირველ ტაიმში ანტონიო კაბრინიმ პენალტი ვერ გაიტანა. ასეთი დონის მატჩში სხვა გუნდი, შესაძლოა ფსიქოლოგიურად გატეხილიყო, მაგრამ ბეარზოტის ნაკრები მხოლოდ შეტევაზე ფიქრობდა — პაოლო როსიმ, მარკო ტარდელიმ და სანდრო ალტობელიმ სამჯერ გაუტანეს გერმანელებს. ამათგან კი თამაშის მიწურულს პაულ ბრაიტნერმა პრესტიჟის გოლიღა შეაგდო — 3:1 და იტალიამ 44 წლის შემდეგ კვლავ დაიბრუნა მსოფლიო თასი. დინო ძოფი, ცხადია, ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანეს და დღემდე „აძურას" ყველა დროის ერთ-ერთ ყველაზე პატივსაცემ მოთამაშედ ითვლება.

ძოფი იტალიელებს 1978 წელსაც კაპიტნობდა, მაგრამ მაშინ ყველაფერი უკუღმა მოხდა. ჩინებული სტარტის შემდეგ იტალიელები მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდნენ.

1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე არცთუ წარმატებული გამოსვლის შემდეგ, ქართველთათვის კარგად ნაცნობი ჩეზარე მალდინი გაათავისუფლეს და „აძურას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დინო ძოფი დანიშნეს. ასეთი არჩევანის მთავარ არგუმენტად იტალიური ფეხბურთის მამები ძოფის დიდ ავტორიტეტს ასახელებენ. „პაპა დინომ" იცის, რაც უნდა გააკეთოს. პირველი გამოცდა ძოფის „აძურამ" ცოტა უსახურად, მაგრამ მაინც ჩააბარა, ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპზე მოხვდა. ძოფი არ მალავს, რომ სასურველამდე ჯერ კიდევ უამრავი სამუშაო აქვს. მიზანი კი უმაღლესია — იტალიის ნაკრებისთვის ძველი დიდების დაბრუნება. „აძურას" ხომ ძოფის თაობის შემდეგ არც ერთი ტურნირი აღარ მოუგია. მას მერე კი 17 წელიწადი გავიდა...

ახლა მთავარი ევრო 2000-ზე წარმატებით გამოსვლაა და თუ რაღაც წარმოუდგენელი არ მოხდა, „პაპა დინო" იტალიელებს, ალბათ, თბილისშიც ჩამოუძღვება.

**სოლომონ გულისაშვილი**



იტალია'99 — მარცხნიდან დგანან: პაოლო მალდინი, ფილიპო ინძაგი, კრისტიან ვიერი, პაოლო ნეგრო, კრისტიან პანუჩი, ჯანლუიჯი ბუფონი;
სხედან: დემეტრიო ალბერტინი, ეუსებიო დი ფრანჩესკო, ანტონიო კონტე, ფაბიო კანავარო, დიეგო ფუზერი

## საქართველოს ნაკრების მეტოქე

### იტალია

FEDERAZIONE ITALIANA GIUOCO CALCIO

ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა: 1898 წელს
ფიფას წევრი: 1905 წლიდან
უეფას წევრი: 1954 წლიდან
რეგისტრირებულ კლუბთა რაოდენობა: 19 966
რეგისტრირებულ მოთამაშეთა რაოდენობა: 1 143 000
ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი: ლუჩანო ნიცოლა
ეროვნული ნაკრების მწვრთნელი: დინო ძოფი
სტადიონი: „ოლიმპიკო", რომი (ტევადობა 80 000)
ქვეყნის უძლიერესი კლუბები: „იუვენტუსი", „მილანი", „ინტერი", „ლაციო", „რომა", „პარმა", „ფიორენტინა", „ბოლონია"
მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობდა (14): 1934, 38, 50, 54, 62, 66, 70, 74, 78, 82, 86, 90, 94, 98
ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობდა (5): 1968, 72, 80, 88, 96
მსოფლიოს ჩემპიონი (3): 1934, 38, 82
ფინალისტი (2): 1970, 94
მესამე ადგილი (1): 1990
ევროპის ჩემპიონი (1): 1968
ნახევარფინალისტი (1): 1988
ფერები: თეთრ-ცისფერ-თეთრი

### იტალია'99

| | | |
|---|---|---|
| ანჯელო პერუცი | 16.02.70 | ინტერი, მილანი |
| კრისტიან პანუჩი | 12.04.73 | ინტერი, მილანი |
| ფაბიო კანავარო | 13.09.73 | პარმა |
| მარკ იულიანო | 12.08.73 | იუვენტუსი, ტურინი |
| ჯანლუკა პესოტო | 11.08.70 | იუვენტუსი, ტურინი |
| დიეგო ფუზერი | 11.11.68 | პარმა |
| დინო ბაჯო | 24.07.71 | პარმა |
| დემეტრიო ალბერტინი | 23.08.71 | მილანი |
| ეუსებიო დი ფრანჩესკო | 08.09.69 | რომა, რომი |
| ალესანდრო დელ პიერო | 09.11.74 | იუვენტუსი, ტურინი |
| კრისტიან ვიერი | 12.07.73 | ინტერი, მილანი |
| ლუიჯი დი ბიაჯო | 03.06.71 | ინტერი, მილანი |
| რობერტო ბაჯო | 18.02.67 | ინტერი, მილანი |
| მიკელე სერენა | 10.03.70 | პარმა |
| ჯანლუიჯი ბუფონი | 28.01.78 | პარმა |
| პაოლო მალდინი | 26.06.68 | მილანი |
| მორენო ტორიჩელი | 23.01.70 | ფიორენტინა, ფლორენცია |
| ფილიპო ინძაგი | 09.08.73 | იუვენტუსი, ტურინი |
| ჯონათან ბაკინი | 05.06.75 | იუვენტუსი, ტურინი |
| ფრანჩესკო ტოტი | 27.09.76 | რომა, რომი |
| ჯუზეპე ფავალი | 08.01.72 | ლაციო, რომი |
| დამიანო ტომაზი | 17.05.74 | რომა, რომი |
| ენრიკო კიეზა | 29.12.70 | ფიორენტინა, ფლორენცია |
| ალესანდრო ნესტა | 19.03.76 | ლაციო, რომი |
| პაოლო ნეგრო | 16.04.72 | ლაციო, რომი |
| მარკო დელვეკიო | 07.04.73 | რომა, რომი |
| სანდრო კოისი | 09.06.72 | ფიორენტინა, ფლორენცია |
| ჯანლუკა ძამბროტა | 19.02.77 | იუვენტუსი, ტურინი |
| ანტონიო კონტე | 31.07.69 | იუვენტუსი, ტურინი |
| ჯულიანო ჯანიკედა | 21.09.74 | უდინეზე, უდინე |
| მასიმო ამბროზინი | 29.05.77 | მილანი |
| ჯუზეპე პანკარო | 26.08.71 | ლაციო, რომი |
| ვინჩენცო მონტელა | 18.06.74 | რომა, რომი |
| ანჯელო დი ლივიო | 26.07.66 | ფიორენტინა, ფლორენცია |

*მთავარი მწვრთნელი — დინო ძოფი*

## ევროლიგა

1 ჯგუფური ეტაპი. X ტური. 15-16 დეკემბერი

### A ჯგუფი

**პაოკ 83:87 ბარსელონა**

პაოკ: ალექსანდერი (23), ანგელიდისი (2), ბალოიანისი (14), ბაზარევიჩი (13), კოლდებელა (3), ედვარდსი (16), ნიკოლაიდისი, პერალი (12)

ბარსელონა: ალსტონი (16), დიგბო (18), დუენიასი (7), ელსონი (1), გასოლი (6), გოლდვაიერი (18), გუროვიჩი, ნავარო (15), როდრიგესი (6)

**ბენეტონი 61:81 ცსკა**

ბენეტონი: ბულერი (2), ედნი (11), მარკონატო (8), ნეესი (3), ნიკოლა (12), პიტისი (14), შეპარდი (7), ტრაინა (4)

ცსკა: ალანოვიჩი (2), დაინეკო (9), ეინიკისი (8), კარასიოვი (10), კირილენკო (20), კუდელინი (3), პანოვი (13), სკელინი (14), ვეტრა (2)

**ცრვენა ზვეზდა 56:64 შოლე**

ცრვენა ზვეზდა: ბოლიჩი (5), ბოშკოვიჩი (2), იესტრატიევიჩი (14), ლუკოვსკი (11), რადმანოვიჩი (2), რაკოჩევიჩი (8), სტანოევიჩი (12), ტოპალოვიჩი (2)

შოლე: ბილონი (5), დიუბო (11), ევოდო (6), გოტიე (16), ჰეიესი (11), ჟანო (5), მიკუ, მილერი (10)

### B ჯგუფი

**რეალი 77:73 თოფაში**

რეალი: ლ. ანგულო (9), ჯორჯევიჩი (18), გალილეა (4), ერეროსი (20), იტურბე (10), სკოტი (2), სტრიულენსი (14)

თოფაში: ბაში (3), ერდენი, გრიფიტი (19), ქონუქი (6), ოქური, ფარსი, რიმაცი (14), რივერსი (25), როჯერსი (6), ილმაზი

**პანათინაიკოსი 70:72 ალბა**

პანათინაიკოსი: ალვერტისი (5), ბოდიროგა (8), ბერკი (6), ფოცისი (18), კალაიძისი (5), კატაში (3), კოხი, რებრაჩა (15), როჯერსი (10)

ალბა: ალექსისი (18), ბოგოევიჩი (8), ფემერლინგი (14), გარისი (5), ჰამინკი (6), ოკულაია (5), პაპიჩი (3), როდლი (13)

**ოლიმპია 76:64 ჟალგირისი**

ოლიმპია: ბეჩიროვიჩი (11), ბრეჟეცი (6), დუშჩაკი, გოლემაცი (16), იასიკევიჩუსი (8), კოტნიკი (14), მილიჩი (6), ზდოვცი (15)

ჟალგირისი: მასიულისი (22), შესტოკასი (2), სლანინა (7), სტუმბრისი (1), ტიმინსკასი (15), ზიდეკი, ე. ჟუკაუსკასი (9), მ. ჟუკაუსკასი (8)

### C ჯგუფი

**ვარეზე 57:74 ოლიმპიაკოსი**

ვარეზე: აგაცონე, ფოიერა (1), მენეგინი (14), პოცეკო (15), სანტიაგო (9), ვესკოვი (12), ვუხერერი (2), ზანუს-ფორტესი (4)

ოლიმპიკოსი: დე მიგელი (2), გრანტი (11), პაპანიკოლაუ (10), რობინსონი (21), ტარლაჩი (17), ტომიჩი (10), ვუკჩევიჩი (3)

**ვილერბანი 70:65 მაკაბი**

ვილერბანი: ბილბა (4), ბლომი (9), ლარანიაგა (5), ლოვერნი (2), მაქსი (17), პერსევო (4), პლუვი (5), სილსი (18), სონკო (6)

მაკაბი: ბრისკერი (8), კომეგისი (13), ჰენფელდი (2), ჰაფმანი (14), მაკდონალდი (11), შარფი (2), შეფერი (8), შელეფი (7)

**პივოვარნა 84:95 ულქერი**

პივოვარნა: დრაგშიჩი (12), გოლოვიჩი (22), ჰაფნარი, იურაკი (7), კაზაფეროვიჩი (8), კუნცი (4), ლისიცა (12), მილეტიჩი (4), ნახბარი (15), ჟარკოვიჩი

ულქერი: ალენი (9), აიდინი (6), ერდენაი (20), გონლუმი (2), კოტუროვიჩი (18), ოზთურქი (8), სარიჯა (13), თოფსაკალი (12), ილდირიმი (7)

### D ჯგუფი

**ეფესი 69:60 ციბონა**

ეფესი: ბეშოქი (11), დალი, დრობნიაკი (10), ქუთლუაი (23), მულაომეროვიჩი (2), ონანი (4)

ციბონა: ალიპოჯიჩი (6), გირიჩეკი (11), კრსტიჩი (2), მარცელიჩი , ნიჩევიჩი (2), პრკაჩინი (10), სესარი (18), ი. ვრანკოვიჩი (11)

**პო ორტეზი 70:78 ფორტიტუდო**

პო ორტეზი: კალაბრია (14), ფატუ (6), დ. გადუ (4), ტ. გადუ (8), გულიაში (10), მაზინგი (6), რიზაშე (22)

ფორტიტუდო: ანკიზი, ბაზილე (11), ფუჩკა (5), გალანდა (6), გაი, კარნიშოვასი (23), მაიერსი (19), პილუტი (2), ს. ვრანკოვიჩი (12)

**ბუდუჩნოსტი 88:65 კახა სან ფერნანდო**

ბუდუჩნოსტი: ბრკიჩი (13), ბულატოვიჩი (5), კუზმანოვიჩი (4), პაიოვიჩი (8), რადონიჩი (1), შჩეპანოვიჩი (12), ტომაშევიჩი (12), ტოპიჩი (20), ვუკჩევიჩი (13)

კახა სან ფერნანდო: კარგოლი, კორალესი (6), დიესი (1), ფერნანდესი (4), ფორტიე (2), რომერო (12), სკოტი (17), სმიტი (2), სოლანა (13), ტერნერი (8)

| | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | | 75:67 | 69:51 | 76:55 | 71:62 | 90:67 | 9 | 1 | 780:685 | 19 |
| 2 | ცსკა | 76:72 | | 77:75 | 71:82 | 74:54 | 86:62 | 7 | 3 | 754:705 | 17 |
| 3 | ბენეტონი | 68:72 | 61:81 | | 69:66 | 73:57 | 88:63 | 6 | 4 | 700:675 | 16 |
| 4 | პაოკ | 83:87 | 83:63 | 66:72 | | 83:76 | 82:53 | 5 | 5 | 730:680 | 15 |
| 5 | შოლე | 70:77 | 76:79 | 64:73 | 48:66 | | 69:59 | 2 | 8 | 640:711 | 12 |
| 6 | ცრვენა ზვეზდა | 86:91 | 65:80 | 60:70 | 65:64 | 56:64 | | 1 | 9 | 636:784 | 11 |

| | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პანათინაიკოსი | | 100:80 | 96:69 | 70:72 | 79:76 | 86:82 | 9 | 1 | 802:690 | 19 |
| 2 | ოლიმპია | 71:86 | | 73:63 | 78:83 | 87:92 | 76:64 | 5 | 5 | 776:791 | 15 |
| 3 | რეალი | 63:66 | 76:74 | | 90:75 | 77:73 | 60:70 | 5 | 5 | 714:743 | 15 |
| 4 | ალბა | 54:73 | 69:74 | 84:78 | | 81:55 | 80:64 | 5 | 5 | 734:747 | 15 |
| 5 | თოფაში | 59:64 | 74:78 | 67:71 | 76:66 | | 77:73 | 4 | 6 | 715:738 | 14 |
| 6 | ჟალგირისი | 66:82 | 84:85 | 65:67 | 89:70 | 62:68 | | 2 | 8 | 719:751 | 12 |

| | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვილერბანი | | 61:54 | 70:65 | 60:59 | 84:71 | 100:58 | 8 | 2 | 711:645 | 18 |
| 2 | ოლიმპიაკოსი | 65:55 | | 65:63 | 62:73 | 62:69 | 79:68 | 6 | 4 | 668:627 | 16 |
| 3 | მაკაბი | 73:61 | 54:65 | | 89:74 | 87:66 | 84:62 | 6 | 4 | 773:714 | 16 |
| 4 | ულქერი | 73:80 | 64:86 | 85:79 | | 79:70 | 68:78 | 5 | 5 | 756:770 | 15 |
| 5 | ვარეზე | 58:60 | 57:74 | 79:87 | 82:86 | | 80:70 | 3 | 7 | 715:762 | 13 |
| 6 | პივოვარნა | 69:80 | 63:56 | 87:92 | 84:95 | 73:83 | | 2 | 8 | 712:817 | 12 |

| | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ეფესი | | 69:60 | 99:63 | 73:67 | 73:57 | 69:65 | 6 | 4 | 707:678 | 16 |
| 2 | ციბონა | 71:69 | | 71:61 | 69:63 | 93:87 | 71:69 | 6 | 4 | 744:759 | 16 |
| 3 | ფორტიტუდო | 76:56 | 92:78 | | 72:73 | 69:63 | 83:58 | 6 | 4 | 729:703 | 16 |
| 4 | ბუდუჩნოსტი | 86:80 | 95:90 | 75:83 | | 88:65 | 68:71 | 5 | 5 | 760:746 | 15 |
| 5 | სან ფერნანდო | 62:43 | 79:59 | 60:52 | 75:73 | | 77:60 | 5 | 5 | 699:689 | 15 |
| 6 | პო ორტეზი | 71:76 | 75:82 | 70:78 | 68:72 | 79:74 | | 2 | 8 | 686:750 | 12 |

### II ჯგუფური ეტაპი. 6 იანვარი - 17 თებერვალი

**E ჯგუფი**

ბარსელონა (ესპანეთი), ცსკა (რუსეთი), ბენეტონი (იტალია), ალბა (გერმანია), თოფაში (თურქეთი), ჟალგირისი (ლიტვა)

**F ჯგუფი**

პანათინაიკოსი (საბერძნეთი), პაოკ (საბერძნეთი), ოლიმპია (სლოვენია), რეალი (ესპანეთი), შოლე (საფრანგეთი), ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)

**G ჯგუფი**

ვილერბანი (საფრანგეთი), მაკაბი (ისრაელი), ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი), ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია), კახა სან ფერნანდო (ესპანეთი), პო ორტეზი (საფრანგეთი)

**H ჯგუფი**

ეფესი (თურქეთი), ფორტიტუდო (იტალია), ციბონა (ხორვატია), ულქერი (თურქეთი), ვარეზე (იტალია), პივოვარნა (სლოვენია)

რეგულარული ჩემპიონატი

# ონილი საქმეს ვერ შველის

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS სიეტლიდან

სიეტლი — პორტლენდი. გრეგ ენტონის (ბურთით) „პორტლენდთან" გერი პეიტონიც და მისი „სიეტლიც" დაეცნენ

16 დეკემბერი

**სიეტლი 81:107 პორტლენდი**

სიეტლი: პეიტონი (22), ბერი (13), პატერსონი (12), ბეიკერი (8), გრანტი (10 ქულა, 19 მოხსნა), მაქსველი (9), პერსონი (3), მაკკოი (2), სტეფანია, დევისი, ფოსტერი

პორტლენდი: სტუდემაიერი (20), სმიტი (15), პიპენი (4), ვოლესი (15), საბონისი (11); ენტონი (17), ოგმონი (8), შრემპფი (7), გრანტი (5), ონილი (5)

რა თქმა უნდა, ითამაშა „სიეტლის" ქართველმა ცენტრმა ვოვა სტეფანიამ. რაკი, მისმა გუნდმა ეს შეხვედრა 26 ქულით წააგო, დიდი მიხვედრა არ უნდა იმას, რომ შეხვედრის ბედი ბოლო წუთებზე არ გადაწყვეტილა. მიუხედავად იმისა, რომ „სიეტლი" შინ თამაშობდა, ფავორიტად მაინც მისი მეტოქე მიიჩნეოდა და მანაც, როგორც ხედავთ, სულ იოლად იმარჯვა. ბოლო თორმეტწუთეული უკვე ფორმალობად ქცეულიყო. ამიტომაც „სიეტლის" სათადარიგოებს დაეთმოთ ბრძოლის ველი. მათაც ბოლო მეოთხედი 17:28 წააგეს და თავიანთ გუნდს თავს ლაფი დაასხეს, მაგრამ იმაზე მეტად არა, ვიდრე ძირითადებმა.

სხვათა შორის, „პორტლენდის" სათადარიგოებმა ერთობ ივაჟკაცეს, მათ ანგარიშზე 42 ქულა მოდის მაშინ, როცა „სიეტლის" შვიდმა შემცვლელმა სულ 16 ქულა მოაგროვა. სამწუხაროდ, ამ თექვსმეტ ქულაში არ ურევია სტეფანიას მონაგარი, რომელიც გამთამაშებლებისთვის დამახასიათებელ მაჩვენებლებში გამოიხატა. სულ ხუთი მაჩვენებელი არსებობს კალათბურთში. ქულას თავი დავანებოთ. მოხსნა და დაფარება მაღლების საქმეა, ჩაჭრა და პასი კი დაბლებს უფრო ეხერხებათ. სტეფანიამ კი დაბალი კალათბურთელის თვისებები გამოამჟღავნა, ამ 213-სანტიმეტრიანმა კაცმა ერთი პასი გააკეთა და ორჯერაც ჩაჭრა. ეს იყო და ეს, მოედანზე გატარებულ სამ წუთში მეტი ვერაფერი მოასწრო, ერთხელაც ვერ შეარჩია ბურთის სროლისათვის ხელსაყრელი პოზიცია და არც უსვრია. ისე ჰქონდათ სტუმრებს დაცვაში საქმე აწყობილი, რომ სტეფანია კი არა, ბეიკერი ვერ ახერხებდა ვერაფერს.

აღსანიშნავია, რომ „სუპერსონიქსი" პირველად არ აგებს საკუთარ კედლებში ასე სამარცხვინოდ. ამ სეზონში „ზებგერთებმა" უკვე მოასწრეს საკუთარი გულშემატკივრის თვალწინ ასე შერცხვენა, 16 დღის წინ მათ 77:101 დათმეს „ლეიკერსთან", ახლა კი „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსთან" გაცამტვერდნენ. და ეს მაშინ, როცა „პორტლენდს" სიეტლში 1995 წლის 17 აპრილის შემდეგ არ მოეგო.

უკვე მეორე ნახევრის დასაწყისში ცხადი გახდა, რომ ფსიქოლოგიურად გატეხილი „სუპერსონიქსი" მძლავრ მეტოქეს გამარჯვებაში ველარ შეეცილებოდა. ამიტომ მასპინძლები საკუთარმა გულშემატკივარმა სტვენით და ლანძღვით „დააჯილდოვა". სამაგიეროდ, 17-ათასიანი აუდიტორია ოვაციებით მიესალმა რამდენიმე თვის წინ „სიეტლის" ერთ-ერთ ლიდერს, ახლა კი „პორტლენდის" სათადარიგოს, დეტლეფ შრემპფს, რომელიც ამ დარბაზში ბოლო ექვსი წლის განმავლობაში პირველად თამაშობდა სხვა გუნდის მაისურით. შესაძლოა, შრემპფმა მართებული გადაწყვეტილება მიიღო, როცა ამ სამი თვის წინ „პორტლენდში" გადაბარგდა. ეს გერმანელი ფრთა, რომელიც ნბა-ში აგერ მეთოთხმეტე სეზონს ატარებს, საკმაოდ ამბიციურია და იმედოვნებს, რომ როგორც „ბლეიზერსის" წევრი, ახლა მაინც შეავლებს ხელს ჩემპიონის თასს. ისე, 1996 წელს გერმანელი ახლოს იყო ამასთან, მაგრამ მაშინ „სიეტლმა" ფინალში დიდ „ჩიკაგო ბულზთან" წააგო.

შრემპფს ურიგოდ არ უთამაშია. მან მთელი მეორე ნახევარი დაჰყო მოედანზე და ამ 24 წუთში შვიდ ქულასთან ერთად პასებითაც ბლომად ამარაგა თანაგუნდელები (სულ თავის გუნდში ყველაზე მეტი, შვიდი პასი მიუგროვდა).

სიეტლელთა მთავარი მარბევარი კი სულ სხვა იყო. ლიგის ერთ-ერთმა ყველაზე დაბალმა კალათბურთელმა 178-სანტიმეტრიანმა დეიმონ სტუდემაიერმა პირდაპირ აიკლო მასპინძელთა კალათი ფარქვეშ უტიფარი შეჭრებით. მასპინძლებში კი გერი პეიტონის გარდა გამოირჩა ჰორას გრანტი, რომელმაც ათ ქულასთან ერთად სეზონში ყველაზე მეტი, 19 მოხსნა მიითვალა.

**ვაშინგტონი 108:104 ნიუ ჯერსი**

ვაშინგტონი: ჰოვარდი (28), რიჩმონდი (22)

ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (23), მარბერი (20 ქულა, 11 პასი)

**ატლანტა 88:95 ლეიკერსი**

ატლანტა: რაიდერი (33)

ლეიკერსი: ბრაიანტი (30)

**მაიამი 95:96 მილუოკი**

მაიამი: ლენარდი (29), მურნინგი (21 ქულა, 18 მოხსნა)

მილუოკი: ალენი (28), კასელი (20)

**დენვერი 116:106 საკრამენტო**

დენვერი: ვან ექსელი (38 ქულა, 10 პასი, 5 ჩაჭრა), მერსერი (25)

საკრამენტო: ვებერი (26), სტოიაკოვიჩი (19)

**დალასი 93:100 ნიუ იორკი**

დალასი: ნოვიცკი (24), ფინლი (20)

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (31)

**გოლდენ სტეიტი 108:116 დეტროიტი**

გოლდენ სტეიტ: სტარქსი (22), კეფი (21)

დეტროიტი: ჰილი (25), სტეკჰაუზი (23 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა)

„ვაშინგტონ ვიზარდსი" თავის დივიზიონის ცხრილის ფსკერზე იმყოფება და მისი წლევანდელი გამოსვლის შემხედვარე ვერავინ იფიქრებს, მათ იქიდან თავის დახსნა სერიოზულად გადაუწყვეტიათო. „ვაშინგტონს" ჰყავს ლიგაში ერთ-ერთი უძლიერესი უკანა ხაზი და არცთუ ურიგო თავდასხმა, მაგრამ წამყვანი მოთამაშეები ძირითადად თავს არ იტვირთავენ და საერთოდ ნაკლებად აღელვებთ გუნდის გამოსვლის ხარისხი.

„ნიუ ჯერსისთან", ცხრილში თავის უშუალო მეზობელთან ბრძოლაში სხვაგვარად იყო. მასპინძელთა მონდომებამ შედეგი გამოიღო და ცხრილის ფსკერზე ახლა „ნიუ ჯერსი" დაეშვა. „დიდებული რამაა გამარჯვება" — ამბობდა ვაშინგტონის მწვრთნელი გარ ჰედი — „ვფიქრობ, ბიჭებმა კარგად გაითვითცნობიერეს, რომ თუ ისინი შემართებით ითამაშებენ, გულშემატკივარიც მხარში ამოგვიდგება და დღეს ასეც მოხდა". ჰედი ნამდვილად ნასიამოვნები ჩანდა თავისი შეგირდების თავგამოდებით. ისე, ეს მოგება თავისით არ მოსულა. „ნიუ ჯერსი" ბოლომდე იბრძოდა და არაფერს უთმობდა მასპინძლებს. მატჩის ბედი „ვიზარდსის" თავდამსხმელმა ჯუონ ჰოვარდმა გადაწყვიტა. მან, გარდა იმისა, რომ გუნდს თამაშში პირველი 7 ქულა მოუტანა, მატჩის ბოლოსაც ივაჟკაცა — მან ნახტომში 100:98 დააწინაურა თავისიანები, შემდეგ ანალოგიური სროლა ჩაagდო და 102:98 გახადა. ბოლოს კი, როცა ანგარიში 106:104 იყო და მატჩის დასრულებამდე 8,7 წამი რჩებოდა, ორი საჯარიმოთი მატჩსაც წერტილი დაუსვა და სტუმრებს მოგების ყოველგვარი იმედი გადაუწურა.

მთელ ლიგაში საუკეთესო შედეგის მქონე „ლეიკერსი" ახლოს იყო მარცხთან. ჯორჯიაში, ატლანტაში, გამართული შეხვედრა ქვეყნის საპირისპირო მხარიდან ჩაფრენილ კალიფორნიელებს თავიდან კარგს არაფერს უქადდა. მართალია, მათი ლიდერი, ვეება შაკილ ონილი მშვენიერ ფორმაშია, მაგრამ „ატლანტამ" მის წინააღმდეგ გეგმა შეიმუშავა და კარგადაც განახორციელა. თუმც ამით საქმეს არ ეშველა.

ატლანტელი „ქორები" თავიანთ საუკეთესო ფორმაში არ არიან. ცენტრალური დივიზიონის რვა გუნდში მეშვიდე ადგილზე იმყოფება „ჰოქსი". ეს ამბიციური გუნდია და ახლა ყოველი მარცხი ძვირად უღირს. მარცხი მარცხია, გინდ „ლეიკერსთან" წააგე და გინდ „ჩიკაგოსთან". „ატლანტაც" თავიდანვე გამწარებით შეება დასავლეთელ გრანდს. როგორც ზემოთ ითქვა, საგანგებო ყურადღება დაეთმო შაკილ ონილის გაუვნებლებას. ლენი ვილკინსმა, „ჰოქსის" ღვაწლმოსილმა მწვრთნელმა, ეს, რაღა თქმა უნდა, ზაირელ ცენტრს — დიკემბე მუტომბოს მიანდო, რომელიც ლიგაში ერთ-ერთი უძლიერესი დამფარებელია და საერთოდ საკუთარი ფარის დაცვის ნიუანსებში ბრწყინვალედ ერკვევა. იგი სამჯერ დაუსახელებიათ სეზონის საუკეთესო დამცველად, რაც სხვას ვერავის მოუხერხებია. მუტომბომაც გეგმას გადააჭარბა, არათუ შეაჩერა ეს მთაკაცი, არამედ მოედნიდანაც გააგდო. მოქნილი აფრიკელის ხელში ჩავარდნილი ონილი უჩვეულოდ ცუდად ესროდა. მან 15 სროლიდან მხოლოდ ოთხი ჩააგდო, თამაშში კი სულ რაღაც ცხრა ქულა დაუგროვდა, რაც ამ სეზონში მისი ანტირეკორდია. მესამე მეოთხედში კი სულაც მუტომბოს ანკესს წამოეგო, მეექვსე პერსონალური მიიღო და მოედანიც დატოვა. თუმც ონილის გაგდება საკმარისი არ აღმოჩნდა. მუტომბოს თანაგუნდელებს რომ მისი ნახევარი გაეკეთებინათ, რაც დიკემბემ შეძლო, „ატლანტა" აუცილებლად მოიგებდა. ეს არ ეხება მხოლოდ აიზია რაიდერს, რომელიც შეტევაში სასწაულებს ახდენდა, სხვები კი ამაოდ ცდილობდნენ, უონილო „ლეიკერსისთვის" რაიმე მოეხსენებინათ. მძიმე შაკილი წარმატებით შეცვალა ყმაწვილმა სუპერვარსკვლავმა მარდმა კობი ბრაიანტმა, თავისიანთა შეტევებს შედეგიანად წარუძღვა და თავისი თავგამოდებით მასპინძლებს კოვზი ნაცარში ჩაუგდო.

დასავლეთის კონფერენციის ლიდერისგან განსხვავებით, აღმოსავლეთის უძლიერესი გუნდი „მაიამი ჰითი" მარცხს ვერ გადაურჩა. „მილუოკიმ" სტუმრად ერთი ქულით მოუგო და ლიდერის პოზიცია საფუძვლიანად შეურყია.

**ირაკლი ფირცხვილი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. მე-17 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 დეკემბერი | | | |
| 062 | ჰამბურგი-დუისბურგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 065 | ულმი-აინტრახტი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 067 | ლევერკუზენი-უნტერჰახინგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,3 |
| 069 | მიუნხენი-კაიზერსლაუტერნი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 070 | ფრაიბურგი-ვოლფსბურგი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | 19 დეკემბერი | | | |
| 066 | ჰანზა-შალკე | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 068 | დორტმუნდი-ჰერტა | 1,8 | 2,8 | 4,4 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-17 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 დეკემბერი | | | |
| 071 | ვალდჰოფი-მაინცი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 074 | კიოლნი-კოტბუსი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 19 დეკემბერი | | | |
| 076 | ოფენბახი-ფორტუნა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 077 | კიკერსი-კარლსრუე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 078 | ფიურტი-ალემანია | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 079 | ობერჰაუზენი-ზანქტ პაული | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| | 20 დეკემბერი | | | |
| 072 | მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. მე-18 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 დეკემბერი | | | |
| 080 | არსენალი-უიმბლდონი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 081 | ასტონ ვილა-უენსდი | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 082 | ბრედფორდი-ნიუკასლი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 083 | ლესტერი-დერბი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 084 | ლივერპული-ქოვენთრი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 085 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 086 | სანდერლენდი-საუთჰემპტონი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 087 | უოტფორდი-ევერტონი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 088 | ვესტ ჰემი-მანჩესტერი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | 19 დეკემბერი | | | |
| 089 | ჩელსი-ლიდსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ინგლისი. I დივიზიონი. 23-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 დეკემბერი | | | |
| 092 | ბარნსლი-უოლსოლი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 093 | ბოლტონი-სტოკპორტი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 094 | კრისტალ პალასი-ფულემი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 095 | ჰადერსფილდი-გრიმსბი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 096 | იფსვიჩი-ვესტ ბრომვიჩი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 097 | მანჩესტერ სიტი-სუინდონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 098 | ნოტინგემი-ქრიუ | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 099 | პორტსმუთი-პორტ ვეილი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 100 | ქუინზ პარკი-ჩარლტონი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | 19 დეკემბერი | | | |
| 101 | შეფილდი-ბლექბერნი ($17^{00}$) | 3,2 | 2,9 | 2,1 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 22-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 დეკემბერი | | | |
| 104 | ბორნმუთი-ოქსფორდი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 105 | ბარნლი-კარდიფი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 106 | კემბრიჯი-ოლდემი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 107 | ჩესტერფილდი-ჯილინგემი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 108 | მილუოლი-ნოტსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 109 | პრესტონი-ბლეკპული | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 110 | რედინგი-რექსემი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 111 | სკანთორპი-ბერი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 112 | სტოკი-როვერსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 113 | უიგანი-ბრენტფორდი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 22-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 დეკემბერი | | | |
| 116 | ბარნეტი-მენსფილდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 117 | ჩესტერი-ჰალიფაქსი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 118 | ექსეტერი-ჰარტლპული | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 119 | ჰალი-კარლაისლი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 120 | ლინკოლნი-შრიუსბერი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 121 | მაკლსფილდი-ლეიტონი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 123 | როტერჰემი-დარლინგტონი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 124 | სუონსი-ბრაიტონი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 125 | ტორკი-ჩელტენემი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 19 დეკემბერი | | | |
| 122 | როჩდეილი-პიტერბრო | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-20 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 დეკემბერი | | | |
| 126 | ლიონი-მეცი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 128 | სედანი-ლე ავრი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 129 | ნანსი-სენტ ეტიენი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 130 | მარსელი-ლანსი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 131 | ნანტი-ბასტია | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 132 | მონაკო-მონპელიე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 133 | სტრასბური-ტრუა | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### იტალია. სერია A. მე-14 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 დეკემბერი | | | |
| 135 | ვერონა-ვენეცია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 136 | ბარი-ინტერი | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| | 19 დეკემბერი | | | |
| 137 | კალიარი-ლეჩე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 138 | ლაციო-პიაჩენცა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 139 | მილანი-რეჯინა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 140 | პარმა-რომა | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 141 | პერუჯა-ბოლონია | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 142 | ტორინო-უდინეზე | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 143 | ფიორენტინა-იუვენტუსი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### იტალია. სერია B. მე-16 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 დეკემბერი | | | |
| 145 | ატალანტა-ალძანო | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 146 | კოზენცა-პისტოიეზე | 1,9 | 2,7 | 4.0 |
| 147 | ჯენოა-სავოია | 1,7 | 2.7 | 5.6 |
| 148 | მონცა-სამპდორია | 2,5 | 2.6 | 2.8 |
| 149 | პესკარა-სალერნიტანა | 2,1 | 2.6 | 3.5 |
| 150 | რავენა-ფერმანა | 1.35 | 3.5 | 8.0 |
| | 0:1 | 2.0 | 2,9 | 2.5 |
| 151 | ტერნანა-ემპოლი | 1,9 | 2.7 | 4.0 |
| 152 | ტრევიზო-ბრეშა | 2,6 | 2,6 | 2.7 |
| | 20 დეკემბერი | | | |
| 153 | ნაპოლი-ჩეზენა | 1,5 | 3.0 | 7.5 |

### იტალია. სერია C1A. მე-15 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 დეკემბერი | | | |
| 154 | ბრეშელო-ალბინოლეფე ($17^{30}$) | 2,1 | 2.6 | 3,5 |
| 155 | ჩიტადელა-სპალ ($17^{30}$) | 2,0 | 2,6 | 3.8 |
| 156 | კომო-კარარეზე ($17^{30}$) | 1,7 | 2.6 | 6.0 |
| 157 | ლივორნო-მონტევარკი ($17^{30}$) | 1,6 | 2.7 | 7.0 |
| 158 | ლუკეზე-კრემონეზე ($17^{30}$) | 1,5 | 3.0 | 7.5 |
| 159 | ლუმეცანე-რეჯანა ($17^{30}$) | 2,6 | 2.6 | 2.7 |
| 160 | მოდენა-სანდონა ($17^{30}$) | 1,7 | 2.6 | 6.0 |
| 161 | სიენა-პიზა ($17^{30}$) | 1.8 | 2.6 | 5.0 |
| 162 | ვარეზე-ლეკო ($17^{30}$) | 1.6 | 2.7 | 7.0 |

### იტალია. სერია C1B. მე-15 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 დეკემბერი | | | |
| 163 | ანკონა-ლოდიჯანი ($17^{30}$) | 1,5 | 2.9 | 8.0 |
| 164 | არეცო-ჯულიანოვა ($17^{30}$) | 1,7 | 2,6 | 5.0 |
| 165 | ატლეტიკო-მარსალა ($17^{30}$) | 1,6 | 2.7 | 7.0 |
| 166 | დი სანგრო-ბენევენტო ($17^{30}$) | 2,4 | 2,5 | 5.1 |
| 167 | ფ.ანდრია-აველინო ($17^{30}$) | 2,4 | 2.5 | 3.1 |
| 168 | გუალდო-კატანია ($17^{30}$) | 2,7 | 2,6 | 2.6 |
| 169 | სტაბია-კროტონე ($17^{30}$) | 2,5 | 2,6 | 2.8 |
| 170 | ნოჩერინა-ასკოლი ($17^{30}$) | 2.0 | 2.6 | 3,8 |
| 171 | ვიტერბეზე-პალერმო ($17^{30}$) | 2,3 | 2.6 | 3.1 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. მე-16 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 დეკემბერი | | | |
| 173 | ვალიადოლიდი-ალავესი | 2,3 | 2.8 | 2.9 |
| 174 | რეალი-ესპანიოლი | 1,4 | 3,5 | 7.0 |
| | 0:1 | 2,0 | 3.2 | 2.3 |
| 177 | დეპორტივო-სელტა | 1,7 | 3.0 | 4.7 |
| | 19 დეკემბერი | | | |
| 172 | ბეტისი-მალიორკა | 2.0 | 2.8 | 3.5 |
| 175 | ნუმანსია-რასინგი | 2.0 | 2.9 | 3.4 |
| 176 | ბილბაო-სარაგოსა | 2,0 | 2.9 | 3.4 |
| 178 | მალაგა-სოსიედადი | 2,2 | 2.9 | 3.0 |
| 179 | ვალენსია-რაიო ვალეკანო | 1,7 | 3.1 | 4.4 |
| 180 | ბარსელონა-ატლეტიკო | 1.3 | 4,0 | 7.5 |
| | 0:1 | 1,9 | 3.2 | 2.6 |
| 181 | ოვიედო-სევილია | 1,8 | 2.9 | 4.2 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. მე-19 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 დეკემბერი | | | |
| 191 | ბადახოსი-სალამანკა | 2,5 | 2.9 | 2.5 |
| 192 | ესტრემადურა-ალბასეტე | 1,6 | 3.0 | 5.6 |
| 189 | ეიბარი-ლოგრონიესი | 1.7 | 3.0 | 4.7 |
| | 19 დეკემბერი | | | |
| 182 | ტოლედო-მერიდა ($15^{00}$) | 2,8 | 2,9 | 2.3 |
| 183 | უელვა-ატლეტიკო B | 1,8 | 3,0 | 4.0 |
| 184 | სპორტინგი-ლეგანესი | 1,3 | 4,4 | 6.5 |
| | 0:1 | 1,9 | 3.3 | 2.5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | |
|---|---|---|---|
| 185 ტენერიფე-ოსასუნა | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 186 ლევანტე-კომპოსტელა | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 187 ვილიარეალი-კორდობა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 188 ელჩე-ლას პალმასი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 190 ხეტაფე-ლეიდა ($14^{30}$) | 2,1 | 2,8 | 3,3 |

პორტუგალია. მე-15 ტური

18 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| 198 სპორტინგი-მარიტიმუ | 1,5 | 3,2 | 6,5 |

19 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| 193 ალვერკა-ჟილ ვისენტე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 194 კამპომაიორენსე-სეტუბალი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 195 ბელენენსეში-სანტა-კლარა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 199 ლეირია-სალგეირუში | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 200 გიმარაეში-ბენფიკა | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 201 რიუ ავე-ბოავიშტა | 4,7 | 3,0 | 1,7 |

20 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| 196 პორტუ-ფარენსე | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

ჰოლანდია. მე-17 ტური

18 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| 202 ალკმაარი-ნაიმეგენი | 1,3 | 4,2 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| 203 პსვ-ჰერენვენი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 204 ტვენტე-როდა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 205 ტილბურგი-სპარტა | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 207 სიტარდი-ვიტესი | 3,6 | 2,9 | 1,9 |

19 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| 206 გრააფსხაპი-აიაქსი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| 208 უტრეხტი-ფეიენოორდი ($17^{30}$) | 4,2 | 2,9 | 1,8 |

თურქეთი. მე-13 ტური

18 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| 219 ანკარაგიუჯიუ-ქოჯაელი ($15^{30}$) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 226 დენიზლი-გალათასარაი | 4,2 | 2,9 | 1,8 |

19 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| 218 ბეშიქთაში-ანთალია | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 221 ერზურუმი-გიოზთეფე ($14^{30}$) | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 222 გენჩლერბირლიგი-ბურსა ($15^{30}$) | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 223 ისთანბული-გაზიანთეფი ($16^{00}$) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 224 ალთაი-ტრაბზონი ($16^{00}$) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 225 ვანი-ადანა ($14^{00}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |

შოტლანდია. მე-19 ტური

18 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| 227 სელტიკი-დანდი იუნაიტედი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 228 დანდი-აბერდინი | 1,6 | 3,2 | 4,0 |
| 229 კილმარნოკი-სენტ ჯონსტონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 230 მოზერუელი-რეინჯერსი | 4,7 | 3,0 | 1,7 |

19 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| 231 ჰართსი-ჰიბერნიანი | 1,9 | 3,0 | 3,5 |

ბელგია. თასის 1/8 ფინალი

19 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| 232 აალსტი-ბეერსხოტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 233 სტანდარდი-ვესტერლო | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 234 ლოკერენი-მეხელენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 235 მუსკრონი-სენტ ტრუიდენი | 1,4 | 3,6 | 6,5 |

## ტურში გატანილი გოლები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ინგლისი. XVIII ტური | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| იტალია. XIV ტური | 23 და ნაკლები | 1,9 | 25 და მეტი | 1,9 |
| ესპანეთი. XVI ტური | 26 და ნაკლები | 1,9 | 28 და მეტი | 1,9 |

კალათბურთი. NBA

18 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| 864 ნიუ იორკი-ვაშინგტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 865 მაიამი-შარლოტი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 866 ატლანტა-იუტა | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 867 კლივლენდი-ნიუ ჯერსი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 868 დეტროიტი-ფილადელფია | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 869 ჩიკაგო-ორლანდო | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 870 მილუოკი-ინდიანა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 871 დალასი-მინესოტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 872 ჰიუსტონი-ბოსტონი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 873 დენვერი-სან ანტონიო | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 874 ფინიქსი-საკრამენტო | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 875 სიეტლი-ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

19 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| 876 ნიუ ჯერსი-ატლანტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 877 ტორონტო-ლეიკერსი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 878 ვანკუვერი-კლიპერსი | 1,35 | 12,0 | 2,5 |

20 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| 879 ბოსტონი-ლეიკერსი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 880 ნიუ იორკი-შარლოტი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 881 ფილადელფია-დეტროიტი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 882 ორლანდო-იუტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 883 კლივლენდი-მინესოტა | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 884 ჩიკაგო-სიეტლი | 4,0 | 12,0 | 1,15 |
| 885 დალასი-მაიამი | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 886 დენვერი-პორტლენდი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 887 ფინიქსი-მილუოკი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 888 გოლდენ სტეიტი-საკრამენტო | 3,1 | 12,0 | 1,25 |

ჰოკეი. NHL

18 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| 895 ტორონტო-მონრეალი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 896 აილენდერსი-ბუფალო | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| 897 ფილადელფია-ტამპა ბეი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 898 კალგარი-ოტავა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 899 ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 900 პიტსბურგი-ფლორიდა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 901 კაროლინა-ატლანტა | 1,25 | 4,4 | 4,0 |
| 902 სენტ ლუისი-ბოსტონი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 903 ნეშვილი-კოლორადო | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 904 ვანკუვერი-დალასი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 905 ლოს ანჯელესი-ჩიკაგო | 1,3 | 4,4 | 4,0 |

19 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| 906 ფინიქსი-სან ხოსე | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 907 ანაჰაიმი-დეტროიტი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 908 აილენდერსი-ნიუ ჯერსი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 909 რეინჯერსი-ტამპა ბეი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 910 ფილადელფია-ნეშვილი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| 911 ედმონტონი-ოტავა | 2,0 | 4,4 | 2,0 |

20 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| 912 მონრეალი-პიტსბურგი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 913 კაროლინა-კოლორადო | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 914 ფლორიდა-ტორონტო | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 915 სან ხოსე-დეტროიტი | 2,0 | 4,4 | 2,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთიერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადამლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩააბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

დასაწყისი პირველ გვერდზე

სოკ-ის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი ოკეანის გაღმა ვიზიტამდე აცხადებდა, რომ ბედნიერი იყო მოახლოებული აშშ-ს კონგრესის წინაშე წარდგომის შესაძლებლობით.

კონგრესის წინაშე მისი გამოსვლის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო ის გამოძიებაც, რომელიც 1996 წელს ატლანტის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლების ქრთამით მოპოვებას უკავშირდება.

— ჩვენ აქ იმისთვის ვართ, რომ ოლიმპიური თამაშები ძალზე მნიშვნელოვანია, ამიტომაც კორუფცია ერთხელ და სამუდამოდ უნდა ამოვძირკვოთ ოლიმპიური მოძრაობიდან. უნდა მოვახდინოთ მისი რეაბილიტირება და ფურცლის ის ნაჭერი, რომელსაც რეფორმები ჰქვია, უნდა უკვდავვყოთ — განაცხადა წარმომადგენელთა პალატის წევრმა, მიჩიგანელმა რესპუბლიკელმა ფრედ აპტონმა, რომელიც ქვეკომიტეტს თავმჯდომარეობდა.

# სამარანჩის თავი მგლის ხახაში

## თუმცა, თავად ასე არ ფიქრობს და კმაყოფილიცაა იქ მოხვედრით



REUTERS ვაშინგტონიდან

სამარანჩი აშშ-ის კონგრესის წარმომადგენლობათა პალატაში გამოსვლისას

„არ მგონია, რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც თავს მგლის ხახაში ჰყოფ — თქვა სამარანჩმა გამგზავრებამდე, — მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, მოვალე ვარ, წავიდე აშშ-ში, რომელიც ოლიმპიურ მოძრაობაშიც ძალზე მნიშვნელოვანი ქვეყანაა. თუ კონგრესს ჩემთვის გააჩნია კითხვები, მაშინ მოხარული ვიქნები მათზე ვუპასუხო.

ყოველთვის იქნება ისეთი რამ, რაც მე გამაკვირვებს, მაგრამ მათი უმრავლესობა, რასაც მაბრალებენ, ჯერ არ დამტკიცებულა. თურმე ოფისში შვეულმფრენით დავდივარ, თვითმფრინავიდან გამოსვლისას აუცილებლად წითელ ხალიჩას ვითხოვ, გენერალ ფრანკოს ესპანელი ელჩიც ვყოფილვარ საბჭოთა კავშირში მაშინ, როდესაც დიპლომატიური ურთიერთობები არ გაგვაჩნდა.

ისინი, ვინც ამას ამბობენ, ვერ ერკვევიან ჩემი ქვეყნის თანამედროვე პოლიტიკაში. ყოველთვის ვამბობდი, რომ ის პრობლემები, რომელიც ესპანელთა მხრიდან გამაჩნია, ესპანეთშივე მოგვარდება, და არა უცხოელი ჟურნალისტების მიერ."

აღსანიშნავია, რომ გაზაფხულზე სამარანჩმა უარი განაცხადა აშშ-ს სენატის წინაშე ჩვენების მიცემაზე, რომელიც სოლტ ლეიკ სიტის სკანდალთან დაკავშირებულ გამოძიებას ეხებოდა. მერე, როდესაც მეორედ მიიღო მიწვევა ოქტომბერში, ამჯერად აშშ-ს კონგრესისგან, მაშინ ამერიკის მართლმსაჯულების დეპარტამენტსა და სოკ-ს შორის დისკუსიები გაიმართა. მაშინ სამარანჩმა განაცხადა, რომ იგი იანვარში დაბრუნდებოდა აშშ-ში, რათა ფედერალურ საგამოძიებო ბიუროსთან (FBI) სოლტ ლეიკ სიტისთან დაკავშირებული სკანდალის გამოძიების თაობაზე ესაუბრათ.

პარასკევს სოკ-მა განაცხადა, რომ სამარანჩი დაელაპარაკებოდა FBI-ს ვაშინგტონში ვიზიტის შემდგომ.

— თუკი FBI-ს ჩემდამი პრობლემები გააჩნია, მაშინ მე მათ განვიხილავ, როგორც სამსახურის ხასიათთან დაკავშირებულ რისკს — განაცხადა სამარანჩმა.

მანამდე კი FBI დაკითხა სოკ-ის ექვსი წევრი, მათ შორის სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი რიჩარდ პაუნდი.

ასე იყო თუ ისე, სამარანჩს ამერიკის კონგრესში ტყავი გააძრეს.

წარმომადგენელთა პალატაში ვაჭრობის ქვეკომიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრისას სამარანჩი წააწყდა მეტად მწვავე კითხვებს, ზოგჯერ ისეთებსაც, რომლებსაც აშკარად მტრული შეფერილობაც კი ჰქონდა. ეს კითხვები ეხებოდა როგორც მომავალ სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებთან, ისე 1996 წელს ატლანტაში გამართულ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებულ მექრთამეობის ამბებს.

„კითხვა ასეთია: შეგვიძლია ვენდოთ იმას, რომ რეფორმები მანამ გატარდება ცხოვრებაში, ვიდრე მწუხრი ჩამოწვება? რამდენად შეგვიძლია ვიყოთ დარწმუნებული იმაში, რომ ბიზნესის ამგვარი ერა ხინამდვილეში დასრულდა?" — იკითხა აპტონმა.

მისივე თქმით, სოკ-ში ალებ-მიცემობა ბოლო მთელი ათი წლის განმავლობაში ყვავის, მაგრამ ამის თაობაზე ამ ორგანიზაციის დიდმოხელენი თვალს ხუჭავდნენ და მხოლოდ ახლა, როცა „მთელი სიბინძურე ამოტივტივდა", სოკ-ის ხელმძღვანელობა შეფუცხუნდა. იგი ცდილობს ეგრეთ წოდებული რეფორმების რაღაც ფარატინა ქაღალდით თვალებში ნაცარი შეგვაყაროს.

დაკითხვების დასაწყისიდან ბოლომდე 79 წლის მოხუცი სამარანჩი, რომელიც აგერ უკვე 19 წელიწადია, რაც სოკ-ს მეთაურობს, თავგამოდებით იცავდა საკუთარ თავსაც და ამ ორგანიზაციაში მიღებულ რეფორმებსაც. იგი არაფრით დაეთანხმა, რომ ეს რეფორმები ფორმალური ხასიათისაა. სამარანჩმა რეფორმებს უწოდა „კარდინალური" და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბევრი მათგანი ოლიმპიურ ქარტიაშიც ჩაიწერა და სპორტული კანონის სტატუსი მიენიჭა.

ამასთან, სამარანჩმა ისიც აღიარა, რომ სოკ-ის ხელმძღვანელობას რაღაც შეეშალა, როცა უმალ ვერ გაერკვა თავიანთი ზოგიერთი წარმომადგენლის უკეთურობაში. ცხადია, იმ წარმომადგენლებში სამარანჩი გულისხმობდა მათ, ვინც ოლიმპიური თამაშების მასპინძლის შესარჩევ კენჭისყრამდე საეჭვო ვოიაჟებს აწყობდნენ ორივე კანდიდატ ქალაქში, რომლებმაც მერე მართლაც მოიპოვეს ამგვარი ასპარეზობის მასპინძლობის უფლება. ისინი ყველგან ღებულობდნენ არაერთ ძვირფას ძღვენს.

ამერიკელთა წინაშე გამოსვლისას ესპანელმა სამარანჩმა ფიცით მისცა ჩვენებები და საგანგებოდ დაქირავებული ვექილის სამსახურითაც ისარგებლა.

ცხადია, სამარანჩმა ჩამოუთვალა „მსაჯულთ" სოკ-ის რეფორმათა 50-ვე სიახლე, რომლებიც გასულ უქმეებზე ლოზანაში სოკ-ის 110-ე სესიაზე მიიღეს. მან მსმენელთ ისიც შეახსენა, რომ სოკ-მა თავისი რიგებიდან იმ ალებმიცემობაში მხილებული ექვსი ბობოლა წევრი გარიცხა, ხოლო ოთხმა გადადგომით თავად უშველა თავს მანამ, სანამ გააგდებდნენ.

ერთ მომენტში საუბარი პირადულზეც გადასულა, როცა უთხოვიათ, გვიამბე ლოზანის სასტუმროში შენს მდიდრულ აპარტამენტებზე, რომლის ხარჯებიც სოკ-ის ბიუჯეტიდან იფარებაო.

ამაზე სამარანჩი მეტად აპილპილებულა. მერე სოკ-ის პრეზიდენტს ისიც შეახსენეს, რომ მისი ცოლი ეწვია ამერიკას, სადაც საგანგებოდ მისთვის დახურული მოდების ჩვენებაც მოაწყვეს. და ეს ყველაფერი ატლანტის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს თურმე 12 ათასი დოლარი დაუჯდა.

სამარანჩს ისიც ჰკითხეს, იმ რეფორმათაგან თუნდაც ერთი თქვენ რატომ არ გეხებათო. პრეზიდენტს თავიდან კითხვა ვერ გაუგია და დაბნეულა, მერე კი უპასუხია: „იმიტომ, რომ ასეთი რეფორმების აუცილებლობა არ იყო".

ამერიკელები თავიანთ თავს ნებას აძლევდნენ ირონიულად, სარკასტულად და ზოგჯერ უბრალოდ უხეში რეპლიკებით ესაუბრათ. მაგალითად, ტეხასელმა რესპუბლიკელმა ჯო ბარტონმა არც აცია, არც აცხელა და სამარანჩს მოუწოდა, შენი უფლება-მოვალეობანი დათმეო.

„მე ვისურვებდი, რომ თქვენ გადადგეთ დღესვე, დაუყოვნებლივ!" — უთქვამს ბარტონს და იქვე მიუყოლებია, ეს თქვენ სპორტის სახელმწიფო მოღვაწის ნამდვილ სახელს შეგძენთო.

უთუოდ აღსანიშნავია, რომ სამარანჩი ამერიკაში ჩავიდა დიპლომატიური პასპორტით, იმ პასპორტით, რომელიც მას საბჭოთა კავშირში ესპანეთის ელჩობის დროიდან შემოუნახავს. ამიტომ, როცა მას FBI-იმ სთხოვა ეპასუხა მექრთამეობის საკითხებთან დაკავშირებულ უსიამოვნო კითხვებზე, სამარანჩს უპრობლემოდ შეეძლო ისინი, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაეფრინა, მაგრამ მან, როგორც უცხოური საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, კეთილი ნება გამოამჟღავნა და დათანხმდა.

— ბედნიერი ვარ. ამერიკის კონგრესის წინაშე ჩემი გამოსვლა ძალზე დადებითი იყო. მე იქ ნებაყოფლობით მივედი და თუ კვლავ მთხოვენ ამერიკაში გამგზავრებას, საწინააღმდეგო არაფერი მექნება — ეს უკვე ხუთშაბათს თქვა სამარანჩმა ესპანეთის სახელმწიფო ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ეტყობა, არ ცდებოდა სოკ-ის კომუნიკაციათა დირექტორი ფრანკლინ სერვან-შრეიბერი, როცა ამ შაბათ-კვირას გამართულ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტს სესიაზე სამარანჩს უდიდესი პარლამენტარი და ოლიმპიური მოძრაობის ჩერჩილი უწოდა.

**გიგა გურასაშვილი**



REUTERS ვაშინგტონიდან

სამარანჩთან ერთად ჩვენებები ამერიკის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰენრი კისინჯერმაც მისცა და საბოლოო შედეგებით ორივემ ფრიად გაიხარა



# ვარსკვლავი ამორძალთა ტომიდან




ჯინა დევისი — შეიარაღებული და სახიფათო

კინოს მოყვარულები ჯინა დევისს კარგად იცნობენ — 42 წლის ამერიკელმა ვარსკვლავმა თავის დროზე ოსკარიც კი მიიღო ფილმისთვის „შემთხვევითი ტურისტი", კარიერაში კი სხვა არაერთი დასამახსოვრებელი როლიც შეუსრულებია კომედიებსა თუ დრამებში — „ტელმა და ლუიზა", „გმირი", „ბუზი".

„სარბიელის" გვერდებზე მოხვედრა კი ქალბატონმა დევისმა თავისი უცნაური ჰობით დაიმსახურა. თუ პოლ ნიუმენი თავგადაკლული ავტომრბოლია, რობერტ რედფორდი კი — მეგოლფე, ჯინას გული მშვილდოსნობაზე შევარდნია და ამ ორ წელიწადში უბრალო მოყვარულიდან აშშ-ის ნაკრების რეალურ კანდიდატადაც იქცა.

ეს ინტერვიუ მსახიობს სულ რამდენიმე დღის წინ, ახალი სპეცეფექტებით სავსე ფილმის, „სტიუარტ ლიტლის" პრემიერამდე ჩამოართვეს, რომელშიც იგი მოლაპარაკე თაგვის დედობილს (!) განასახიერებს.

**— მეგონა, მშვილდით და ისრით შემოხვიდოდით.**

— ეს ძალიან საშიშია, კაცის კვლის სურვილი სულაც არ მაქვს.

**— როდესაც „სტიუარტ ლითლის" გადაღებებზე მშვილდით გამოცხადდით, ხალხს არ გაუკვირდა?**

— ყველა, ვინც გვერდით ჩაივლიდა, მეკითხებოდა, ეს ფილმისთვისაა საჭიროო, ვიდრე გადაღებები დაიწყებოდა, კარგი სამიზნე ვიშოვე, მერე კი სტუდიას დავუკავშირდი და ვთხოვე, რაიმე ფართობი გამომინახეთ-მეთქი. თუმცა კოლეგები იქაც თავს იყრიდნენ და ინტერესით მიცქეროდნენ. ეს გასართობი იყო.

**— როგორი სავარჯიშო მოედანი გამოგიყვეს?**

— სიგრძით 50 მეტრი იყო. ოლონდ ეგ არის, ქალები, როგორც წესი, 70 მეტრიდან ისვრიან და კარგი იქნებოდა, მეც ასე შემძლებოდა. მინდოდა, ქუჩაშიც გავსულიყავი, მაგრამ არ დამანებეს. უსაფრთხოების ყველა ზომა უნდა მიიღო და კარებიც დაკეტილი უნდა იყოს. მოედნის სიახლოვეს ყველგან პლაკატები იყო გაკრული: „ფრთხილად! მშვილდს ისვრიან".

**— ჯასტინ ჰუიში, ოქროსმედალოსანი მშვილდოსანი, რომლის ნახვამაც ამ სპორტით დაგაინტერესათ, ქუჩის მეორე მხრიდან, თავისი ფარეხის გავლით ისროდა.**

— სწორედ ეს იყო თავშესაქცევი. წარმოიდგინეთ — ის დგას ქუჩის გადაღმა მეზობლის ეზოში და ფარეხის გავლით თავისი სახლის უკან სამიზნეს არტყამს. მერე კი მანქანის გავლას ელის და ისევ ვარჯიშობს.

**— როდესაც ხალხი მშვილდოსნობაში ძალას ცდის, ისარი უბრალოდ მიწაზე ვარდება.**

— ეს მართლაც ძნელია. თავიდან გამუდმებით ვწუწუნებდი, არაფერი გამომდის-მეთქი.

**— მაშინ რატომ არ დაანებეთ თავი?**

— არ ვიცი. ბავშვობაში სპორტული და ათლეტური არ ვყოფილვარ, მაგრამ ფილმების გამო ბევრი რამის სწავლა მომიხდა. „მათ საკუთარ ლიგაში" ლამის კეტბურთელი გავხდი, „ძილის წინ კოცნაში" — დაქირავებული მკვლელი და ყველაფერი დიდი ძალისხმევის გარეშე ავითვისე. ვიფიქრე, იქნებ რაიმე აღმოუჩენელი ნიჭით ვარ დაჯილდოებული-მეთქი, მით უმეტეს, რომ თვალისა და ხელის შესანიშნავი კოორდინაცია მაქვს. თანაც ჯასტინს ხშირად ვუყურებდი ტელევიზორში, მშვილდოსნობის ვარჯიში კი საკუთარ ეზოშიც შეიძლებოდა და გადავწყვიტე, მეცადა.

**— ესე იგი ერთ დღეს გაიღვიძეთ და თავს უთხარით, მშვილდოსანი უნდა გავხდეო?**

— დიდი ხანია, მინდოდა, რომელიმე სპორტისთვის მომეკიდა ხელი და ვერ ამერჩია რომლისთვის, მერე ყველა სახეობას მშვილდოსნობა ვამჯობინე.

**— როდის დაიწყეთ ვარჯიში?**

— 1997 წლის გაზაფხულზე.

**— შარშან, ზაფხულში, უკვე ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობდით!**

— სწორედ ასე იყო, კარგად გავერთე. სულ ვფიქრობდი, არ მჯერა რომ ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირზე ვარ-მეთქი. ეს, სიმართლე გითხრათ, მართლა უცნაური იყო.

**— გეგონათ, რომ ამ ბარიერსაც გადალახავდით?**

— არა, ჩემი აზრით, ამის ძალიან პატარა შანსი არსებობდა. ამჟამად აშშ-ის კლასიფიკაციაში 22-ე ვარ.

**— ეს წარმოუდგენელია!**

— გმადლობთ. მაგრამ გუნდში მხოლოდ სამი მშვილდოსანი აჰყავთ და ასე უცებ საუკეთესოთა სამეულში მოხვედრა თითქმის შეუძლებელია.

**— მშვილდოსნობაში ვარჯიშს კვლავ გააგრძელებთ?**

— რა თქმა უნდა. ჯერჯერობით ამას გადაღებების დროსაც კი ვახერხებ.

**თარგმნა ჭაჭა არჯევანიძე**


თამილა კახიძე


თენგიზ გიორგაძე


გარუნ აკოფოვი

დასაწყისი პირველ გვერდზე

# ვაკეთოთ საქმე, ვიყოთ მართლები!

კონფერენციის დღის წესრიგი ადრეც გამოქვეყნდა პრესაში და სპორტულ ჟურნალისტთა საფიხვნომაც სწორედ დღის წესრიგის მიხედვით ჩაიარა — დამსწრეებმა თავდაპირველად ასოციაციის ალმასკომის ანგარიში მოისმინეს, შემდეგ იყო სარევიზიო კომისიის მოხსენებაც, ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა სპორტული ჟურნალისტების ყურადღება მიაპყრო წესდებაში შესატან ცვლილებებს, დაჯილდოვდნენ სახელობითი პრემიების ლაურეატები, ბოლოს კი გაიმართა ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

ახლა დაწვრილებით ზემოთქმულსა და ჟურნალისტთა სახლში მიმდინარე სხვა მოვლენებზე.

სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა თავიდანვე განუცხადა კონფერენციის მონაწილეებს, რომ ბევრი ლაპარაკით თავს არავის შეაწყენდა და თავის მართლაც ზომიერ მოხსენებაში ზოგადად მიმოიხილა ასოციაციის საქმიანობა.

პრეზიდენტს არაერთხელ უთქვამს და კიდევ გაიმეორა, რომ სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მთავარი დანიშნულება სწორედ მასმედიის ინტერესების და საავტორო უფლებების დაცვა, მათი სამუშაო პირობების გაუმჯობესებაა და აქედან გამომდინარე, ასოციაცია ყველანაირად ეცადა თავისი ძირითადი ფუნქციის შესრულებას.

— სამწუხაროა, რომ ჩვენმა შეხვედრებმა სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, სხვადასხვა სახეობების ფედერაციათა მესვეურებთან ფაქტობრივად უკვალოდ ჩაიარა. დიდი მცდელობის მიუხედავად, ასოციაციას მარტოს მოუხდა პრობლემების დაძლევა. საუბარია არა მხოლოდ სპონსორულ, თუნდაც სიმბოლურ თანხაზე. მოგეხსენებათ, ჩვენს პირობებში მორალური მხარდაჭერაც ბევრს ნიშნავს და ხშირად ამის ნაკლებობასაც ვგრძნობდით.

ეს ყოველივე განსაკუთრებით XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენების, გუნდების, მწვრთნელების სპორტულ მოღვაწეთა დაჯილდოების ცერემონიალის მოწყობისას ვიგრძენით, თუმცა ბოლოს და ბოლოს მოვახერხეთ, ყველაფერი მოგვეგვარებინა და, ვფიქრობ, ამით ჩინებული საქმე გაკეთდა.

პრეზიდენტის მოხსენების შემდეგ დამსწრეებმა სარევიზიო კომისიის დაახლოებით ორწუთიანი ანგარიშიც მოისმინეს. ძნელია, მწარე ღიმილის გარეშე ისაუბრო კაცმა იმ 2610 ლარზე, რომელზეც ასოციაციას უხდება წლიდან წლამდე მუშაობა. აქ კომენტარი ზედმეტია.

წესდებაში ცვლილებები შეეხო იმ პუნქტებს, სადაც ლაპარაკია სპორტული ჟურნალისტების სტატუსზე. ყურადღება გამახვილდა ჟურნალისტის პროფესიული ეთიკის ნორმებზეც.

რაც შეეხებათ ლაურეატებს, ასეთი სამი ამაგდარი ჟურნალისტი იყო. თამილა კახიძეს და თენგიზ გიორგაძეს გადაეცათ მიხეილ კაკაბაძის სახელობის პრემია, გარუნ აკოფოვს კი ნოდარ გუგუშვილის სახელობის პრემია ერგო.

ამის შემდეგ სსჟა-ს მორიგი არჩევნებიც გაიმართა.

ასოციაციის კონფერენციის მონაწილეებმა ერთხმად და ხელახლა აირჩიეს სსჟა-ს პრეზიდენტის პოსტზე ელგუჯა ბერიშვილი, ასევე ერთხმად დაუჭირეს მხარი პირველი და მეორე ვიცე-პრეზიდენტების პოსტზე ზურაბ ფოცხვერიას და თამარ ბალავაძეს, აირჩიეს სსჟა-ს გენერალური მდივანიც — მერაბ რატიშვილი („სარბიელი") და ალმასკომის შემადგენლობა.

ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნებით სსჟა-ს მორიგი კონფერენცია დასრულდა. წინ ბევრი ღონისძიება და უფრო მეტი პრობლემაა, რომლებზეც ასოციაციის ხელახლაარჩეული პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი. თავად მოახსენებს მკითხველს:

„უწინარესად, მინდა მადლობა ვუთხრა ჩემს კოლეგებს, კონფერენციის მონაწილეებს, რომლებმაც მხარი დამიჭირეს და კიდევ ერთხელ ამირჩიეს ამ პოსტზე. მადლობა იმისთვისაც, რომ დადებითად შეფასდა ჩვენი ძალისხმევა. ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი: ამ წლების მანძილზე რამდენიმე კარგი საქმე მართლაც გავაკეთეთ, ზოგიც წამოვიწყეთ, მაგრამ ბოლომდე მიყვანილი არ არის. ჩვენი უახლოესი გეგმები სწორედ უკვე დაწყებულ საქმეებს უკავშირდება. მათ შორის უმთავრესი, რა თქმა უნდა, სპორტის ენციკლოპედიის ორტომეულის მომზადება და გამოცემაა. ამ წიგნში თავს მოიყრის 10 ათასამდე სტატია და 4 ათასამდე ფოტო. საქმის მესამედი გაკეთებულია, მაგრამ მთავარი წინ არის. უწინარესად, ფინანსურ პრობლემათა მოგვარებას ვგულისხმობ.

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან შესაბამისი ხელშეკრულება კი გავაფორმეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე არაფერი მიგვიღია. იმედია, გაისად მოგვხედავენ. ღრმად მწამს, რომ ასეთი წიგნი აუცილებლად სჭირდება ჩვენს ქვეყანას, ქართულ სპორტს. ასევე მნიშვნელოვანია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის შექმნა, რომელშიც აისახება ჩვენი სპორტის ისტორია, ამ ისტორიის მთავარი ამბები... ფილმის სცენარზე მუშაობა უკვე დაწყებულია. ვვარაუდობთ, რომ 2000 წლის ბოლოს ფილმს მაყურებლის სამსჯავროზე გამოვიტანთ. გაისადვე გვინდა გამოვცეთ წიგნი, რომელშიც შევა საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენების, გუნდების, მწვრთნელებისა და სპორტის მოღვაწეების გამოსავლენი რეფერენდუმის მასალები, სრული ინფორმაცია ამ რეფერენდუმის ლაურეატებზე. გამოცემა თბილისის საკრებულოს და მერიის მხარდაჭერით დაფინანსდება.

ბოლოს, კიდევ ერთი ჩანაფიქრის თაობაზე... გვინდა ჩამოვაყალიბოთ სპორტულ ჟურნალისტთა პრესკლუბი, სადაც პერიოდულად შევიკრიბებით, პროფესიულ პრობლემებზე ვისაუბრებთ და ჩვენთვის საინტერესო ადამიანებსაც შევხვდებით."

**ძოტე გოგიშვილი**

რაგბი


ბრედ ჯონსტონი

# საქართველო — იტალია
## ახლა რაგბი

თებერვლის დამდეგს საქართველოს ნაკრები ექვსი ერის პირველობაში ჩაებმება. ჩვენებურები ამ ტურნირის B ჯგუფში რუმინეთთან, ესპანეთთან, პორტუგალიასა და ჰოლანდიასთან ერთად იბრძოლებს პირველობისათვის. მათ გარდა „ბორჯღალოსნები" მაროკოსაც გაეჯიბრებიან, რომელიც უკონკურსოდ ითამაშებს. თუმცა ოფიციალური მატჩების დაწყებამდეც არ აპირებენ ქართველი მორაგბეები უქმად ყოფნას და ერთი ტესტ-მატჩიც გაუხერხებიათ — 26 იანვარს საქართველო იტალიას ეწვევა და ექვსი ერის A ჯგუფის ბინადარ „სკუადრა ატურას" შეერკინება. როგორი იქნება „ბორჯღალოსნების" შემადგენლობა, ჯერჯერობით უცნობია და, ალბათ, იტალიაში გამგზავრებამდე ორიოდ კვირით ადრე გაირკვევა, ნაკრებს კი, უწინდებურად ფრანგი კლოდ სორელი უხელმძღვანელებს.

ქართველები გვესტუმრებიან და არიქა, არ შევრცხვეთო, უფიქრიათ იტალიური რაგბის მამებს და თავიანთი ნაკრების გასაწვრთნელად ახალზელანდიელისთვის უხმიათ. ბრედ ჯონსტონი 49 წლისაა და „ოლ ბლექსის" ღირსება 45-ჯერ დაუცავს. აქედან ოთხჯერ კაპიტნის სამკლაურით გაძღოლია „შავებს". მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ ჯონსტონს მწვრთნელობისთვის მიუყვია ხელი და საკმაო წარმატებებიც მოუპოვებია ამ საქმეში. ამ შემოდგომაზე გამართულ მსოფლიოს თასზე იგი ფიჯის ეროვნულ ნაკრებს თავკაცობდა და ოკეანეთელები ჯგუფიდანაც გაიყვანა, მაგრამ მეოთხედფინალის საგზურის მოსაპოვებლად ბრძოლაში ფიჯელებს ინგლისელებმა აჯობეს.

„პირველი, რაცაა გასაკეთებელი, ეს იტალიელი მორაგბეების ფსიქოლოგიური მომზადებაა. ფიზიკურად და ტექნიკურად თითქმის ყველაფერი რიგზეა" — განაცხადა ჯონსტონმა ახალი სამუშაოს მიღების შემდეგ. მართლაც, იტალიელებს საკუთარი ძალების რწმენა ნამდვილად სჭირდებათ გამანადგურებელი ანგარიშებით მარცხების შემდეგ. მსოფლიოს თასამდე „სკუადრა ატურამ" სამხრეთ აფრიკასთან ტესტში 0:101 წააგო, მსოფლიოს თასზე კი ინგლისმა (67:7) და ახალმა ზელანდიამ (101:3) გაანადგურეს. ამ მარცხებს შეაწირა კიდეც იტალიელთა მწვრთნელი მასიმო მაშოლეტი.

ჯონსტონი საქმეს უკვე მომავალი კვირიდანვე შეუდგება და პირველ შეკრებას 20-23 დეკემბერს ჩაუტარებს შეგირდებს. შემდეგ შობა-ახალი წლისთვის დაასვენებს და მერე განაახლებს მათ დამოძღვრას. საკუთარი მუშაობის ნაყოფს კი პირველად 26 იანვარს იხილავს „ბორჯღალოსნების" წინააღმდეგ.

ახალი მწვრთნელი ჰყავს ახალ ზელანდიასაც. მსოფლიოს თასის დამთავრების შემდეგ თანამდებობიდან გადამდგარ ჯონ ჰარტს როგორც იქნა უშოვეს შემცვლელი. 42 წლის უეინ სმიტი „კენტერბერის" თავკაცი იყო და 1998 და 1999 წლებში ზედიზედ ორჯერ მისმა გუნდმა ზე-12-ის ტურნირში იპირველა.

თუმცა კლუბში მიღწეული წარმატებების მიუხედავად, სმიტის „ოლ ბლექსის" მთავარ მწრთნელად დანიშვნა ერთგვარად მაინც მოულოდნელი იყო. მსოფლიოს თასზე „ჩავარდნის" (მე-4 ადგილმა ახალ ზელანდიაში „ეროვნული გლოვა" გამოიწვია) ერთ-ერთი პასუხისმგებელი ხომ იგიცაა, რადგან ამ ტურნირში სმიტი ახალი ზელანდიის ნაკრების ტექნიკური მრჩეველი იყო. ასეა თუ ისე, უეინ სმიტმა ჯონ ჰარტსის ადგილი დაიკავა და მაშინვე განაცხადა: ვისაც ნაკრებში სურს მოხვედრა, ნამდვილი „შავივით" უნდა მოიქცეს და ითამაშოსო.

**გაიოზ თალაკვაძე**

გიო ახვლედიანის

# ფიზკულტურა

ამასწინათ, ვუყურებ ტელევიზორს და გამოჩნდა ამერიკის პრეზიდენტი კლინტონი. დაიკაპიწა სახელოებით ერთი ორჯერ დაჰკრა ფორთოხლისფერი ბურთი მიწას, გაუშვა და ჩააჯინა კალათში. ისევ აიღო, ახლა სხვა კუთხეში მივიდა,გააქანა და კვლავ ჩააგდო. ერთი სიტყვით, ჩანდა, კაი „ბრასოკი" ჰქონია საშუალო მანძილიდან.

ახლა ამას ბევრი ლაპარაკი არ უნდა — კოლეჯის დროიდან აქვს გამოყოლილი. თორემ, ბოლო დროა სულ გოლფის ყვანჯით ვხედავთ და არა მგონია, კალათბურთს დროს უთმობდეს.

კარგი შეგრძნებაა არა, კოლეჯის დროიდან რომ ისე გაქვს გამოყოლილი სპორტული ჩვევა, რომ შეკრება-გამოკლებასავით გამოგდის ყველაფერი. სპორტული კაცი ხარ, თავისუფალი დრო ჩაგივარდება და ვარჯიშობას მისდევ. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, მიღებული სპოტული ცოდნა საშუალებას გაძლევს ორმოცდათხუთმეტი წლის კაცს, კალათში ზუსტად და მოხდენილად ისროლო.

კლინტონს შევეშვათ და ამასწინათ შევიტყვე, ახალი ზელანდიის სკოლებში სერფინგი სავალდებულო საგნად შემოუღიათო. იმ კუნძულეთში, ოკეანის კიდეზე, ისედაც ყველა დაფაზე დგას და ტალღებზე დალივლივებს, მაგრამ განათლების სამინისტროს სხვა მიზანიც ჰქონია — სპორტული მომზადება იქეთ იყოს და საგნის შემოღებით, ნიჭიერი ბავშვი ადრევე ჩაუყრის საფუძველს თავის სპორტულ კარიერას, თანაც ყოველგვარი ფინანსური დანამატის გარეშე.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ საქართველოში ძალიან ცოტა ხალხია ისეთი, კაცობაში შესულს რომ სპორტთან კავშირი, ან რაიმე სპორტული ჰქონდეს შერჩენილი. გამონაკლისი მხოლოდ ყოფილი პროფესიონალები არიან: სპორტულად გაზრდილი კაცი სიარულშიაც იცნობა. და ვინ უნდა გაზარდოს ადამიანი სპორტულად? ცხადია, რომ სკოლამ და კოლეჯმა.

ჩვენს სკოლებში ფიზკულტურა არასოდეს ყოფილა დიდად პატივდებული საგანი. როგორღაც ისე უყურებდნენ ხოლმე. არადა მოსწავლეთათვის (გამორჩევით ბიჭებისთვის) ყოველთვის ჯიგრიანი საგანი იყო და სიხარული და გართობაც ბევრი იყო შიგ. კვირაში ერთხელ იყო ეს ფიზკულტურა და ოთხჯერ მაინც უნდა ყოფილიყო.

დღეს კი, რა?

დღეს ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. თუ ბავშვი სპორტის რომელიმე სახეობაზე ცალკე არ დაიარება, იმას სპორტული აღზრდისა არაფერი სცხია. არადა, ხომ სწორედ სკოლაში უნდა იყოს სპორტი იმგვარი მიზნობრიობით გახურებული, რომ ადამიანს სამუდამოდ გაუჯდეს სხეულში. სხვანაირად, იქნება ორმოცი წლის კაცების ქოშინი და ოხვრა კიბეზე ასვლის დროს. ჯანმრთელი ნაცია ფიზკულტურის დარბაზში ყალიბდება და არა ბიბლიოთეკაში. არა, ბიბლიოთეკაც, მაგრამ რა ჯობია იმას, ძიაკაცს რომ ბურთის დარტყმა, ან მიზანში სროლა იმგვარად უსწავლია სკოლაში რომ, ახლაც შეუძლია მოგხიბლოს?

ბევრი რამ ჯობიაო, იტყვით თქვენ, მაგრამ ძალიან ბევრიც არ ჯობია.

სასკოლო სპორტის კარგად დაფინანსებული პროექტები რომ სულზე მოუსწრებდა მოწაფეებს, ნაღდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მაიკლ ბერკოვიჩის რჩეული საკრივო ფურცლები



ფურცელი ორმოცდამეათე

# უდიადესი

*ათიოდ დღეში მთავრდება მეოცე საუკუნე. ეს ასწლეული სხვა ათას რამესთან ერთად კრივის საუკუნეც იყო. მრავალმა სპორტულმა დაწესებულებამ ჩაატარა ჟურნალისტებისა და ხალხის გამოკითხვანი საუკუნის სპორტსმენთა, საუკუნის ფეხბურთელთა, კალათბურთელთა, მძლეოსანთა და მოკრივეთა, ან უბრალოდ საუკუნის დიად ხასიათთა გამოსავლენად. ამ სიათაგან ბევრში პირველი იყო მოკრივე მუჰამედ ალი, რომელიც კრივის მოყვარულებმა და სპეციალისტებმა კარგახანია შერაცხეს უდიადეს მოკრივედ და ეს საუკუნის მიწურულის დაფნის გვირგვინები ერთგვარად მაინც, ფაქტის კონსტატაცია იყო და მეტი არაფერი.*

*ალის გამორჩეული ცხოვრება, ხასიათი, ნიჭი და ოსტატობა ჩვენს საკრივო ფურცლებზეც არაერთხელ გამკრთალა და ახლაც, ბერკოვიცის გვერდის ორმოცდამეათე და უკანასკნელ ფურცელზე, კვლავ ალის გავიხსენებთ. „საკრივო ისტორიების" ორწლიანი არსებობა დასრულდება ნაწყვეტით მუჰამედ ალის ავტობიოგრაფიული წიგნიდან „უდიადესი!".*

*ნაწყვეტი ეხება იმ დროს, როცა ჯარისკაცობაზე უარისმთქმელ ალის სასამართლოში დაატარებდნენ, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ჩამოართვეს და ყველა პრომოუტერი უარს ეუბნებოდა ჩხუბის მოწყობაზე, თუნდაც რომელიმე რიგით მოკრივესთან. ალი ეძებდა გამოსავალს ამ მდგომარეობიდან. ჩემპიონი კი უკვე ჯო ფრეზერი იყო. ეს ის წელიწადი იყო, როცა პრესა და საზოგადოება ალის მოღალატედ და ტრაბახა კაცად თვლიდა. ქვემოთ გამზადებული ნაწყვეტი მოგვითხრობს, თუ როგორ ამსხვრევდა ალი თავის გარშემო შექმნილ ჯებირებს.*

*მაშ, ფილადელფია, 1970 წელი.*

*ვუსმინოთ უდიადესს...*



ალი დღეს

„ერთ საღამოსაც ძილი გამიტყდა. მორიგი შეხვედრა ჩამიშალეს, ამჯერად სიეტლში. ამერიკის ლეგიონი და ვილაც პატრიოტები მუჰამედ ალის თავიანთ ქალაქში არ ჩაუშვებენო. ამხელა კამპანია გაშლილიყო ჩემს წინააღმდეგ და ნუთუ არ მოიძებნებოდა ძალა, ნიაღვარს რომ შეაჩერებდა? უბრალო ხალხი გამახსენდა, ქუჩაში რომ მიმოდიან, ისინი. ერთნი ჩემს გამარჯვებას ელიან, მეორენი — მარცხს. მაგრამ მათ მთავარი აერთიანებთ: უნდათ რინგზე მიხილონ ვინმე ძლიერის წინააღმდეგ. ყველაზე ძლიერი კი ჯო ფრეზერია.

მეორე დილით სამი მილი ვირბინე ორგანდი პარკში და შინ დასასვენებლად მობრუნებული ზუსტად იმდენ ხანს ვიწექი დივანზე, რამდენი ხანიც ჯოს დასჭირდებოდა იანკ დარემის სახლში მისვლამდე. ვიცოდი, რომ იმ დილით იანკთან უნდა მისულიყო.

დავრეკე. იანკმა აიღო.

— იანკ, — ვუთხარი პირდაპირ — ალალად მიპასუხე, ჩემთან შეხვედრას თავს არიდებთ?

— გაგიჟდი?

— მაშინ, რატომ არ იწყებთ მოლაპარაკებებს?

— კეშ, გააფრინე? არ იცი რატომ? ნებართვას არ მოგცემს სასამართლო. ციხეში გასტუმრებას გიპირებენ და იქ ხომ არ გავმართავთ ბრძოლას?

— მაგრამ ხალხს ხომ უნდა ჩვენი ბრძოლის ნახვა? ეგებ როგორმე დაგვემტკიცებინა, რომ ხალხს ძალიან უნდა ჩემი და ჯოს დაჯახება...

— რა მოიფიქრე, კეშ?

— ჯო მანდაა? მიეცი ყურმილი...

— გისმენ, — ჯო იყო.

— გამიგონე ჯო, დღეს ვარჯიშობ?

— კი ოთხზე.

— და სად?

— ქოლამბიის დარბაზში, რა იყო?

— ის იყო, რომ ოთხზე ვიჩხუბებთ, მე მოვალ და დავცხებთ ერთმანეთს.

ჯო ერთხანს დუმდა, მერე კი ყველაფერს მიხვდა.

— გავიგე, ვითომ, არა? რომ გავაბრაზოთ, ანკესი გადავუგდოთ, არა? შენები შენ დაგაკავებენ, ჩემები მე, ჩვენ კიდევ ერთმანეთს გავლანძღავთ და გავექაჩებით.

— ყოჩაღ, ჯო. ახლა ჩამოვრეკავ ყველგან, გაზეთებს, ტელეარხებს დავიბარებ, ვეტყვი, ვითომ შენ გითქვამს, ალი აქ ვერ მობედავსო. კარგი?

— მიდი, შეუბერე.

— ვეტყვი, რომ გითქვამს, კინწისკვრით გავაგდებო. ეგენი მე მიცნობენ. ეს ერთი ნაბიჯი იქნება იმისკენ, რომ ოდესმე მართლა შეგვახვედრონ ერთმანეთს.

— ეს დამაჯერებელი უნდა იყოს, კეშ, ვინ დაგვიჯერებს?

— მისმინე, ჯო. ჩვენ მაგათ იდიოტები ვგონივართ. ორი დებილი ნიგერი, რომლებსაც ისე ეზიზღებათ ერთმანეთი, რომ ქუჩაშიაც მუშტით იწევენ. მთელ მსოფლიოს უნდა, რომ ორმა იდიოტმა ნიგერმა ერთმანეთი დაასისხლიანოს. უამრავი წერილი მომდის...

— მეც მომდის...

— ჰოდა, რატომ უნდა შეგვიშალონ ხელი...

— ციხეში გისტუმრებენ და...

— ამას პრესას ვეტყვი, ლექსიც კი დავწერე, „სანამ მწეველ ჯოს არ ვცემ, ციხეში ვერ ჩამსვამენ". ჩემი ბოლო ლექსია.

— მეც დაგიწერე ლექსი.

— ჰოდა, ძალიან კარგი. მისმინე, ჯო. მე კარიერა მომისპეს. ეს ერთადერთი შანსია. გამოვაცხადებ, რახან რინგზე არ მიშვებენ, ასე გავარკვევთ-მეთქი, გაიგე?

— მაგათი დედაც! — აყვირდა ჯო — გავარტყი ათ მილიონ მაყურებელს. ორი ჩვენნაირი ნაბოზარი ნიგერი ვერ დაეტევა ამ ქალაქში. კლეი უნდა წავიდეს!

— სწორია, ჯო. აი ეგრე იყვირე... ოთხზე მანდა ვარ.

— უთხარი, რომ ჩემთანაც დარეკონ, ეგ ამბავი რომ დავუდასტურო. ვეტყვი, ფილადელფიაში არაფერი ესაქმება-მეთქი, როგორც ძველ დროში, უხელთათმანოდ გავლახავ-მეთქი... აბა კარგად, კეშ!



ალი ჯარის წინააღმდეგ ქადაგებს



ფრეზერი თავის განთქმულ ცაციას უქნევს ალის



ალი რინგზე დაბრუნდა და ჯერი ქვორი დაამარცხა




შერისხული ალი გაზეთში თავის ამბავს ეძებს

დავჯექი და ფილადელფიისა და ნიუ ჯერსის გაზეთებში ჩამოვრეკე. ტელეწამყვანი სონი ჰოპკინსი გამახსენდა. ხალხის დაქოქვის იშვიათი უნარი ჰქონდა. მასაც დავურეკე. ცოტა ხანში უკვე მე დამიწყეს რეკვა. ვაშინგტონიო, ლოს ანჯელესიდან, პარიზიდან, ლონდონიდან...

— მართალია? ფორმაში ხართ? — ასოშეიტედ პრესი, იუპი... დიდი ტელეარხები.

— ფორმისა ნუ გედარდებათ, დავნაყავ...

ოთხის ნახევარზე მეგობრებმაც მოაღწიეს ჩემამდე. მე ჯინსის პიჯაკი ჩავიცვი, თეთრწითელი პერანგი და „ბროგანის" მძიმე ფეხსაცმელები. ახალ ამბებში უკვე გადმოსცემდნენ, აი, რა ხდებაო. მეგობრებთან ერთად ჩავჯექი მანქანაში და ძლივს დავიძარით — ჩემს სახლთან ორმოცდაათამდე მანქანა გახიდულიყო. მეზობლები ტაშს მიკრავდნენ, ახლომდებარე აფთიაქიდან კაცი გამოვარდა და რაღაც აბები მომაჩეჩა, ენერგიას შეგმატებსო. ამასობაში პოლიციელები მოვიდნენ და ერთმა მათგანმა მითხრა, მე უნდა გაგიძღვე „ქოლამბიის" დარბაზამდე, რათა გზა არ აგერიოსო.

ასე წავედით, წინ მოციმციმე პოლიციის მანქანებით, უკან ორმოცდაათი ჟურნალისტური ავტობუსით.

ჩვენ ლაშქარს ხალხი მისდევდა, ორი თითით გვაჩვენებდნენ, მოიგებთო. იყო ერთი ტაშისცემა და შეძახილები, ვილაცეებმა ამერიკის დროშებიც კი გაიტანეს. მე თავი გადმოვყავი მანქანიდან და ლექსი დავჭექე. ამან დიდად გაახალისა ხალხი.

დარბაზამდე მანქანით ვერ მივედით. ჭედვა იყო.

წინ მანქანების ტყე ჩანდა.

— ფეხით უნდა წამოხვიდეთ — მითხრეს პოლიციელებმა — ორი საათია აქ მანქანები დგას. თქვენ გელოდებიან.

ამან საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ჯო მხარში მიდგას. მაგრად უმუშავია—მეთქი, გავიფიქრე, რამდენი ხალხი შეუყრია-მეთქი.

ჩვენმა ქუჩაში გამოჩენამ ბრბო მთლად გალარია. ხალხს ფანჯრები დაელო.

შეძახილები მესმოდა:

— აი, ალი! ჯოს გალახვას აპირებს!

— როგორც იქნა!

— იჩხუბეთ, კეშ!

ძალებისა და თავდაჯერების არნახულ მოზღვავებას ვგრძნობდი. ამგვარად ბოლოს მაშინ ვიყავი, ჯარში გამწვევი კომისიის კარი რომ გამოვიხურე.

ეს ჩვენი გამონაგონი მხოლოდ გათამაშება იყო და მეტი არაფერი, მაგრამ მე ისე მესალმებოდნენ, როგორც არასდროს.

ბოლოსდაბოლოს მივადექით „ქოლამბიას" კარს. ჩემი თანამდევი ბრბო იმხელა შექნილიყო, რომ ნაგაზებიანი პოლიციელებიც კი გამოიძახეს. ძაღლები ხალხს უყეფდნენ და პოლიცია ძალიან წვალობდა, რათა ბრბო გაეკონტროლებინა.

— სად არის ჯო ფრეზერი? ჯო, გამოიყვანეთ!

კარს დავცხე მუშტები.

— გააღე, ჯო! ვიცი, მანდა ხარ! გააღე და კაცურად შემხვდი. რა ჩემპიონი შენა ხარ? მე ვარ ჩემპიონი! გააღე, ჯო!

ბრბო აბობოქრდა.

— გააღე, ჯო! შეხვდი!

ვილაცამ გამოლო კარი. მგონი იანკი დარემი იყო. გააღო და გზა გვიტია. ბრბომ განზე მიმაგდო და დარბაზში იხუვლა. პოლიციელებმა ძლივს შემიყვანეს შიგნით. ხელკეტებიც კი დასჭირდათ...

ჯო რინგის ახლოს იჯდა, მშვიდად იზომებდა ხელთათმანს თავის განთქმულ ცაციაზე, თითქოს ჩემს ყბაზე უნდა გამოსცადოსო. თავს მშვენივრად ვგრძნობდი. ჯო მხარს მიჭერდა. სიკვდილამდე მადლობელი ვარ მისი. ამიტომ მიყვარს ძმურად. ვინ აიტკივებდა თავს ჩემი გულისთვის?

ის რინგზე აძვრა. აღიარებული ჩემპიონი იყო. მე ქვემოთ ვიდექი — კანონგარეშე კაცი..."

რა თქმა უნდა, ჩხუბი არ მომხდარა. გაქაჩვა-გამოქაჩვა და შოუ დასრულდა. ამ მახვილგონიერმა აქციამ კი გვარიანად შეუწყო ხელი ალის რინგზე დაბრუნებას.

ისინი კი, მწეველი ჯო ფრეზერი და ლუისვილელი უდიადესი, მაინც შეხვდნენ ერთმანეთს.

მათი ბრძოლები კლასიკად იქცა.

და მგონი, სისულელეა მოკრივეს კრივი აუკრძალო, იმის გამო რომ კაცის მოკვლა არ უნდა.

სისულელეა, არა?

ნახვამდის.

მძლეოსნობა

# ბუტე, ბუტე...



მორის გრინი

პლანეტის ორი ყველაზე სწრაფი მორბენალი, ამერიკელი მორის გრინი და მის თანამემამულე მაიკლ ჯონსონი გასულ სეზონში არცერთხელ არ შეეჯიბრებიან ერთმანეთს. მაგრამ ამას ვინ ჩივის, ამბობენ, ერთმანეთთან უბრადაც არიანო.

და მართლაც...

— ის მე არ მელაპარაკება — დაიჩივლა გრინმა — „ასოშეითედ პრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, ბრიტანეთში გამართულ საზეიმო ცერემონიალზე. იქ გრინი რადიოსადგურ ბი-ბი-სი-ის მიერ წლის საუკეთესო უცხოელ სპორტსმენად გამოცხადდა.

— წინათ ყველაფერი ნორმალურად იყო, მაგრამ ახლა საკმარისია შევიდე გასახდელში, სადაც ჯონსონია და ის მაშინვე გადის იქიდან. ვერ გამიგია, რით არის ეს გამოწვეული? — მხრებს იჩეჩავს გაოცებული გრინი.

შეგახსენებთ, რომ 25 წლის გრინი მსოფლიოს რეკორდსმენია 100-მეტრიან, ხოლო 32 წლის ჯონსონი 200-მეტრიან დისტანციაზე. ამ ზაფხულს სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატზე გრინმა მოიგო ორივე ფინალური გარბენი 100 და 200 მეტრზე, ხოლო ჯონსონმა 400 მეტრზე. მაგრამ ისინი ერთ ბილიკზე არ შეხვედრიან ერთმანეთს. გრინი თვლის, რომ ჯონსონი შეგნებულად არიდებს თავს მასთან პაექრობს. თავად კი, როგორც ამას წინათ გაუწყეთ, მზადაა ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილზე შეეჯიბროს მას.

ახლა გრინის ამოცანაა გააუმჯობესოს ამ ზაფხულს ათენში 100 მეტრზე დამყარებული თავისივე მსოფლიოს რეკორდი (9,79) და 9,76 წამი აჩვენოს. მისი მწვრთნელი კი დარწმუნებულია, რომ მორისი შეძლებს უფრო მაღალი შედეგის (9,6) ჩვენებას.

მწვრთნელიც და გრინიც არ გამორიცხავენ, რომ ამ ფანტასტიკური მწვერვალის დაძლევა სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე იქნება შესაძლებელი.

ბიჭა ბურასაყვილი

ბიათლონი

# სადაც თოვლია იქა [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი ბიატლონში სლოვაკეთის ოსრბლში უნდა გამართულიყო, მაგრამ უთოვლობის გამო ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს კიდევ ერთი კვირით დარჩენილიყვნენ სლოვენიის პოკლიუკში და აქ შეესრულებინათ კვირის გეგმა. ისე, კაცმა რომ თქვას, ამინდი არც პოკლიუკში სწყალობდათ სპორტსმენებს — გადაულებელ თოვას ძლიერი ქარიც დაერთო. კაცების 20 კილომეტრიან ინდივიდუალურ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ ნორვეგიელები ოლე ბიორნდალენი და ფროდ ანდრესენი. ამით მშვენივრად ისარგებლა ფრანგმა რაფაელ პუარემ და წლევანდელი გამარჯვებების ანგარიშიც გახსნა. მეორე იყო ბელარუსი ვადიმ საბურინი, მესამე გერმანელი ფრენკ ლუკი.

ქალები 15 კილომეტრზე სცდიდნენ ძალას. იმარჯვა გერმანელმა უში დიზლმა. მეორე შედეგი აჩვენა სვეტლანა იშმურატოვამ, რომელმაც, მართალია ყველაზე სწრაფად გაირბინა დისტანცია, მაგრამ გერმანელზე ერთი საშიზნით ნაკლები დაამსხვრია. მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა თასის ლიდერი მაგდალენა შველი ფორსბერგი.

საერთო ჩათვლა

კაცები

1. ოლე ბიორნდალენი (ნორვეგია) — 106
2. სვენ ფიშერი (გერმანია) — 94
3. რაფაელ პუარე (საფრანგეთი) — 88
4. ფრენკ ლუკი (გერმანია) — 86
5. პაველ როსტოვცევი (რუსეთი) — 82

ქალები

1. მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი) — 128
2. უში დიზლი (გერმანია) —105
3. ალიონა ზუბრილოვა (უკრაინა) — 105
4. კორინა ნიოგრე (საფრანგეთი) — 85
5. გალინა კუკლევა (რუსეთი) — 73

გუშინ სლოვენიაშივე გაიმართა შეჯიბრება სპრინტერულ დისტანციაზე. კაცებს 10 კმ და ორი სასროლეთი ჰქონდათ გასავლელი. შეუდარებელი იყო ნორვეგიელი ფროდ ანდრესენი, მეორე მივიდა ფინიშთან გერმანელი სვენ ფიშერი, მესამე ფრენკ ლუკი.

დღეს გუშინდელ სპრინტში მონაწილენი გამოდევნებით შეჯიბრებაში დაასრულებენ დავას. სტარტიდან პირველი ანდრესენი გავა, 7 წამის შემდეგ ფიშერი, 21 წამის შემდეგ ლუკი და ა.შ.

ირაკლი ბერიაშვილი





უში დიზლი

მთის თხილამურობა

# იანიკას მუხლი უჭირს



იანიკა კოსტელიჩი

სამთომოთხილამურეთა წლევანდელი სეზონის აღმოჩენა — ხორვატი იანიკა კოსტელიჩი, რომელიც ქალებში მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლას ლიდერობდა, ხუთშაბათს მძიმედ დაშავდა და ერთი წლით გამოეთიშა ასპარეზობას.

17 წლის სპორტსმენი შვეიცარიულ სენტ მორისში კორვილიას ტრასაზე სწრაფდაშვებაში ვარჯიშობდა, ერთი ნახტომის დროს წონასწორობა დაკარგა, ჯერ მოუხერხებლად დაეშვა მარჯვენა ფეხზე, მერე ზურგით დაასკდა მიწას და ხანმოკლე სრიალის შემდეგ უსაფრთხოების ბადეში გაეხვია.

კოსტელიჩი სასწრაფოდ გადაიყვანეს მახლობელ საავადმყოფოში, სადაც მუხლის მძიმე დაზიანება დაუდგინეს. მთავარი ექიმის, ადრიან ურფერის დიაგნოზი უმოწყალო აღმოჩნდა: ხორვატმა მუხლის თითქმის ყველა მყესი გაიწყვიტა და მენისკის ხრტილიც გაიტეხა. ტრავმის სრული მოცულობა ჯერ დადგენილი არ არის, მაგრამ ურფერის თქმით კოსტელიჩი, რომელიც შემოწმების დროს მძაფრ ტკივილებს განიცდიდა, მინიმუმ ერთ წელს ველარ ისრიალებს.

„ეს ძალიან საწყენი დღეა ყველა ჩვენგანისთვის. იმედი მაქვს, იგი მალე დაგვიბრუნდება და ისევ ძველებურად კარგ ფორმაში“ — განაცხადა კოსტელიჩის მთავარმა მოცილემ, იტალიელმა იზოლდე კოსტნერმა.

კორვილიას ტრასა წლეულს 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გადააკეთეს და ამ სიახლემ ჯერჯერობით კარგი არაფერი მოიტანა: სულ 24 საათის მანძილზე აქ სამი ადამიანი დაშავდა მძიმედ.

ოთხშაბათს მხარი იტკინა შვეიცარიელმა მონიკა ჩირკიმ, მანამდე რამდენიმე წუთით ადრე კი ტრასის სკაუტი ნიკო რასი დაეცა და ქუსლი დაიზიანა.

თუმცა კოპერ მაუნთინში გიგანტური სლალომის ეტაპის მომგები ფრანგი რეგინა კავანიუ ტრასას მაინცდამაინც რთულად და სახიფათოდ არ მიიჩნევს: „პრობლემა ის არის, რომ ის ახალია და კარგად არ ვიცნობთ, ისე სასაყვედურო არაფერი გვაქვს“.

კოსტელიჩი, ალბათ, სხვა აზრისა იქნება.

ბახა არჯევანიძე

ჰოკეი

# შაიბები სიცოცხლისთვის

16 დეკემბერი

**მონრეალი — ნიუ ჯერსი 1:2**

1:0 0:1 0:1

1:0 დარი 9'38 (2); 1:1 პანდოლფო 20'47 (3); 1:2 მაკეი 59'39 (11)

**ფილადელფია — ფინიქსი 5:3**

1:1 1:2 3:0

0:1 ტკაჩუკი 7'02 (13); 1:1 მაკჯილისი 9'47 (3); 1:2 ტკაჩუკი 20'33 (14); 1:3 დრეიკი 31'38 (6); 2:3 ჯონსი 39'03 (2); 3:3 ლეკლერი 57'12 (16); 4:3 რეკი 58'55 (15); 5:3 ჰალი 59'31 (5)

**ვანკუვერი — ოტავა 1:2**

0:2 0:0 1:0

0:1 ჟიუნო 7'47 (3); 0:2 მაკიჩერნი 12'26 (10); 1:2 ოკუანი 59'32 (6)

ძვლის სიმსივნით დაავადებული როჯერ ნელსონისთვის, რომელსაც ექიმები მინიმუმ ხუთი, მაქსიმუმ კი თხუთმეტი წლით სიცოცხლის გახანგრძლივებას აღუთქვამენ, საუკეთესო წამალი, ალბათ, მაინც მისი შეგირდების წარმატებული ასპარეზობაა. ფილადელფიელებიც აფასებენ მამაცი მწვრთნელის გადაწყვეტილებას, თავის გუნდთან დარჩეს მანამ, სანამ ინტენსიური მკურნალობა არ დასჭირდება. ეს კი გაისამდე არ მოხდება. ამჟამად „მფრინავებმა“ ფინიქსს მოუგეს. განსაკუთრებით მარკ რეკი უნდა გამოვარჩიოთ. დაშავებული ერიკ ლინდროსის არყოფნაში იგი მშვენივრად ართმევს თავს ორმაგ დატვირთვას. ახლა რეკი (1+2) პირველ სამეულს გაუძღვა და ჯერ პარტნიორებს — კეიტ ჯონსსა და ჯონ ლეკლერს (1+2) გაატანინა, მერე კი თავადაც გამარჯვების გოლი მიითვალა.

ვანკუვერს კი ერთბაშად სამი ტრავმამოშუშებული ლიდერის — მარკ მესიეს, ალექსანდრ მოგილნისა და ადრიან ოკუანის დაბრუნებამაც ვერ უშველა. მართალია, ოკუანმა მესიეს დახმარებით, როგორც იქნა, დალაშქრა რონ ტაგნატის (21 მოგერიება) კარი, მაგრამ ექვსმატჩიანი წაგება-ფრის სერიის შესაწყვეტად ამან არ იკმარა.

ვერც მონრეალი გადაურჩა მარცხს, თანაც შინ. კანადელებმა ქულა ბოლო წამებზე დაკარგეს, მანამდე კი მათმა ფორვარდმა დაინიუს ზუბრუსმა შაიბა ახლო მანძილიდან ცარიელ კუთხეში ვერ შეაგდო.

სამველ ლარიბიანი





REUTERS მონრეალიდან

ნიუჯერსელებმა, მეკარე მარტინ ბროდომ და მცველმა ლაილ ოდელაინმა მონრეალელ ჯიმ კამინსს (29) ცოცხალი თავით არ გაატანინეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია

XVII ტური

**ვერდერი 0:2 ბაიერნი**

0:1 იანკერი (71), 0:2 პაულო სერჟიო (82)

**არმინია 1:2 შტუტგარტი**

1:0 ბომე (60), 1:1, 1:2 დანდი (75, 82)

მეორე ბუნდესლიგა

XVII ტური

**ბერლინი 0:0 ქემნიცი**

**ბოხუმი — ჰანოვერი**

გადაიდო

## საფრანგეთი

XX ტური

**ოსერი 1:0 პსჟ**

1:0 ბატიკლი (80)

**ბორდო 1:0 რენი**

1:0 ვილტორდი (51)

## თურქეთი

XIII ტური

**სამსუნი 1:1 ფენერბაჰჩე**

## ინგლისი

I დივიზიონი

XXIII ტური

**ტრანმერი 1:2 ნორვიჩი**

**ვულვზი 2:1 ბირმინგემი**

II დივიზიონი

XXII ტური

**ბრისტოლი 0:0 უიკომბი**

**კოლჩესტერი 3:0 ლუტონი**

III დივიზიონი

XXII ტური

**ნორთჰემპტონი 1:1 პლიმუთი**

**იორკი 2:2 საუთენდი**

## იტალია

სერია B

XVI ტური

**ვიჩენცა 1:2 კიევო**

## ბელგია

თასის მერვედფინალი

**სტანდარდი 2:1 ვესტერლო**

**აალსტი — ბეერსხოტი**

გადაიდო





# კრივი მადრიდში

მსოფლიო კრივი მადრიდში: საბჭოს (ვბკ) ზე-ველთერის წონის ჩემპიონი ესპანელი ხავიერ კასტილეხო (მარჯვნივ) დანიელ მიქაელ რასკს უნდა შეერკინოს და ქამარი დაიცვას. რასკს გამარჯვების დიდი იმედი ჰქონია, თუმც, ჯერჯერობით, მხოლოდ კასტილეხოს ფოტოს თუ ეჯგიმება.



# პუტინის ილეთი

*რუსის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინს იმით ვიცნობთ, რომ ჩეჩნეთის დაბომბვით სურს მაგარი ბიჭის სახელის დავდება. ახლა კი, რუსული ტელეკომპანია „ესტეერი" ახალ სურათსაც გვთავაზობს. პუტინს ძიუდო სცოდნია და პეტერბურგის ერთ-ერთ სპორტულ კლუბში ორთაბრძოლაშიც ჩართულა.*

## ატლანტიკის გადასაცურად



თავისუფლების ქანდაკებას ეთხოვება საოკეანო კატამარანი „ფლეისთეიშენ", რომელიც გუშინ გავიდა ნიუ იორკის ნავსადგურიდან. „ფლეისთეიშენს" კაპიტნობს ცნობილი მოგზაური სტივ ფოსეტი, ეკიპაჟში კი კიდევ ცხრა კაცია. კატამარანს მიზნად აქვს დაამყაროს ახალი მსოფლიო რეკორდი — ატლანტიკა გადაცუროს 6 დღეს, 13 საათსა და 3 წუთზე ნაკლებ დროში. წინ 2,888 მილია — კატამარანმა ლუზა ინგლისურ კორნუოლში უნდა ჩაუშვას.




# ალეზის ემზადება



*ფორმულა-ის ახალი სეზონისთვის მზადება დიდი ამბით მიმდინარეობს. ბარსელონას ახლო, მონტმელოს ტრასაზე ფრანგი ჟან ალეზი ტესტაობს და მანქანას ახურებს. ისა და მისი გერმანელი თანაგუნდელი ნიკ ჰეიდფელდი პროსტის მანქანას ცდიდნენ.*


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli